ვაცისტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ოქტომბერი **სამშაბათი** 2009
№253 (12 932) ფასი 60 თეთრი

MS ყვითელი
MS ...
MS
მჭირდება!!!




## სანიკიძეც გაიხსნა

ლეგიონერები >> გვერდი 13

## რა უნდა ასეთ კაცს სემინარზე?!

### კაპელო კალჩოს დაუპირისპირდა



**ფაბიო კაპელომ** იტალიური ფეხბურთი მიწასთან გაასწორა. კოვერჩანოში, „სკუადრა აძურას" ბაზაზე, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მოწყობილი სემინარის შემდეგ, კაპელომ „სქაი სპორტთან" სკანდალური განცხადება გააკეთა: *„სერია A-ს რეალურად „ულტრასები" (ფანების რადიკალური დაჯგუფება - რედ.) მართავენ. ფედერაციის ხელმძღვანელებს ვერ ვატყობ მონდომებას, რომ მათ წინააღმდეგ სპეციალური კანონების შემუშავება, ან რაღაც ზომების მიღება სურდეთ. იტალიურ ფეხბურთში სიმულანტებს აქებენ და პრიზებს აძლევენ, მაშინ, როცა ინგლისში ასეთებს სახალხოდ არცხვენენ".*

კაპელოს ნათქვამს მალევე მოჰყვა გამოხმაურება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** განაცხადა, რომ ფედერაცია სულაც არ არის „ულტრასების" მძევალი, რომ მისი უწყება, მთავრობასთან ერთად, ყველანაირად ცდილობს მათ წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარებას და ასე შემდეგ.

გაცილებით მკაცრი იყო შეფასებაში იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეფი **ჯანი პეტრუჩი:** *„კაპელოს გამონათქვამებს მე ყურადღებას არც მივაქცევდი, მის წინადადებებში აზრს ვერ ვხედავ. სამწუხაროა, რომ ასეთი კაცი სემინარის ჩასატარებლად მოვიწვიეთ".*

ნიკოლოზ ნეფარიძე




## სოხაძის ბრინჯაო და მაჩხანელის მესამე ლელო

ლეგიონერები >> გვერდი 14



## ლადო გოლი: ექვსჯერ შვიდ მატჩში

>> გვერდი 5

# ციფრები, სტუმრები, პერსონები...

ჩვენს ჩემპიონატში, ხშირ შემთხვევაში, ტური ისე ჩაივლის, განსაკუთრებული არაფერი მოხდება. ერთი შეხედვით, განვლილი, XII ტურიც ასეთთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ; მაგრამ რამდენიმე „განსაკუთრებული“ ფაქტი თუ მოვლენა მაინც გამოვარჩიეთ და სწორედ ამაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. ისე, ლამის, მეორე ათეული წელიწადია, ჩვენი ჩემპიონატის მატჩებში იმ „განსაკუთრებულსა თუ ღირსშესანიშნავს“ რომ ვეძებთ; რას ვიზამთ - ქართული ფეხბურთის რეალურ სახეს, ყველაფერთან ერთად, ცარიელი ტრიბუნებიც ნათლად ასახავს. კიდევ კარგი, „სამტრედია“ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას (სადაც 2000-ზე ნაკლები კაცი არ დადის თამაშებზე), თორემ ჩემპიონატში საშუალო დასწრება 400-500-ს არც ასცდებოდა...

## მცირე სტატისტიკა

„განსაკუთრებულიო“, ვთქვით და, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი უნდა ვახსენოთ, რომ ტური ნაკლებად შედეგიანი იყო - ხუთ შეხვედრაში რვა გოლი გავიდა. ამაზე ნაკლები მაჩვენებელი ჩემპიონატის დასაწყისიდან მხოლოდ ერთხელ იყო: მეოთხე ტურში... მხოლოდ ოთხი გოლი რომ ვიხილეთ. არადა, ბოლოსწინა ტურში, ერთდროულად 23 გოლი რომ გავიდა, ვიფიქრეთ - არიქა, ჩვენს ფეხბურთელებს „მადა გაეხსნათ“ და სტადიონებზე „ჯიუტად მოსიარულე“ ერთეული ქომაგებიც ამით მაინც დატკბებიან-თქო...

გოლებზე ვლაპარაკობთ და, რალა თქმა უნდა, ბომბარდირთა დავაზეც უნდა ვთქვათ, „სამი მუშკეტერი“ რომ დანინაურდა. ისე, სხვათა შორის, ამ სამიდან... გარეგნობით ორი, მართლაც, წააგავს **ალექსანდრ დიუმას** ცნობილ პერსონაჟებს; თუმცა, ლირიკა-კლასიკა-რომანტიკა „დროებით“ დავივიწყოთ და ის ვთქვათ, რომ **ანდერსონ აკინოს, ნიკა გელაშვილსა** და **ვახტანგ კვარაცხელიას** შორის წარმართული ბომბადირთა დავა, ალბათ, სეზონის ბოლომდე გაგრძელდება. განვლილ ტურში ამ სამეულიდან აკინომ და გელაშვილმა იყოჩაღეს: „ოლიმპის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და „დუბლს“ საგოლე პასიც მიუმატა; ასევე ძალიან ახლოს იყო „დუბლის“ შესრულებასთან წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ნიკა გელაშვილიც, მაგრამ „გაგრასთან“ მატჩში პენალტი ვერ გამოიყენა - მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა. მეკარეების თემაც იმდენად აქტუალური იყო ამ ტურში, რომ ცალკე ყურადღებას იმსახურებს; მანამდე კი გასული ტურის კიდევ ერთი „განსაკუთრებული“ ფაქტი უნდა გამოვარჩიოთ: ხუთი მატჩიდან მასპინძლებმა ვერც ერთი მოიგეს! ასეთი რამ კი, ჩემპიონატის დაწყებიდან ჯერ არ მომხდარა; თუმცა, მეორე მხრივ, დიდ მოულოდნელობად არც უნდა შეგვეფასებინა: ხუთიდან ოთხ შეხვედრაში წყვილში უპირობო ფავორიტებად ხომ სტუმრები მიიჩნეოდნენ...

## მეკარეების თემა

ბომბარდირებს ამხელა ყურადღება დავუთმეთ და მეკარეებმა რალა დააშავეს? მით უფრო, რომ ისინი ამ ტურში, მართლაც, ცალკე აღნიშვნას იმსახურებენ. საერთოდ, ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ გუნდში ძირითად შემადგენლობაში როტაცია ყველაზე ნაკლებად მეკარეებს ეხებათ. რა თქმა უნდა, ასევე ყველა მწვრთნელისთვის სასურველია, რომ გუნდში ორი თანაბარი ძალის მეკარე ჰყავდეს; მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ მეკარეების რიგრიგობით (ანუ, მონაცვლეობით) ასპარეზობას სასურველი შედეგი არ მოაქვს. ჰოდა, ამიტომაც არსებობს ძირითადი და სათადარიგო მეკარის სტატუსი, მაგრამ ისეც არ უნდა მოხდეს, რომ ძირითადმა მეკარემ თავი შეუცვლელად იგრძნოს - ასეთ შემთხვევაში ხომ, შესაძლოა, მოტივაცია დაკარგოს და ყოველივე ეს კი, რალა თქმა უნდა, თავისთვისაც და გუნდისთვისაც უარყოფითად იმოქმედებს. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ განვლილ ტურში, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ფაქტის მომსწრენი გავხდით: სათადარიგოთა სკამზე მოუწიათ დაჯდომამ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მეკარეებს! **გრიგოლ ბედიაშვილი** („ვიტ ჯორჯია“), **ზურაბ მამალაძე** („ზესტაფონი“) და **რევაზ თევდორაძე** („გაგრა“) თავიანთ გუნდებში ძირითად და შეუცვლელ ფეხბურთელებად ითვლებიან (მამალაძე და თევდორაძე სულაც კაპიტნები არიან), მაგრამ ამ ტურში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა მიზეზის გამო, სტატუსის შეცვლამ მოუწიათ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი შემცვლელების (შესაბამისად - **არდალიონ მიქაბერიძე, როინ კვასხვაძე, ლადო ნადირაშვილი**) მიმართ მწვრთნელებს სასაყვედურო არაფერი ექნებოდათ. სხვანაირად ვერც იქნებოდა: მიქაბერიძემ და კვასხვაძემ თავიანთი კარი მშრალად შეინახეს, ხოლო ნადირაშვილმა სულაც პენალტი მოიგერია!

მეკარეების თემა ამ ამპლუის კიდევ ორი მოთამაშით უნდა გაავაგრძელოთ: გამოცდილმა **გრიგოლ ჭანტურიამ** („ოლიმპი“) უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი და „სამტრედიის“ შემტევთა არაერთი დარტყმა მოიგერია, ხოლო „ლოკომოტივმა“ რომ თავის მწირ მარაგს კიდევ ერთი ქულა მიუმატა, უპირველეს ყოვლისა, **მაქსიმე ქვილითაიას** დამსახურებაა. სხვათა შორის, ქვილითაიამ ამ სეზონში უკვე მერამდენედ დაამტკიცა ის ძველისძველი და ტრაფარეტული გამოთქმა, რომ კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო...

## ძველ-ახალი მწვრთნელები

ბომბარდირებიო, მეკარეებიო, - ეს ყველაფერი, კარგია, მაგრამ მწვრთნელების ღვაწლისა თუ დამსახურების დავიწყებაც არ შეიძლება; ბოლოს და ბოლოს, საბოლოო იქნება თუ შუალედური, ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებელი ხომ მთავარი მწვრთნელია! პასუხისმგებლობა კი მაშინ უფრო მატულობს, როცა მწვრთნელი თავის ახალ გუნდში სადებიუტო შეხვედრას ატარებს. ასეთი შემთხვევა კი ამ ტურში ორი იყო, თუმცა **გიორგი ყიფშიძესა** და **თემურ მახარაძეს** სხვადასხვა შედეგი ჰქონდათ. აქვე, მეტოქის ფაქტორიც უნდა ვახსენოთ: ყიფშიძის ხელმძღვანელობით „სიონი“ ხომ მოქმედ ჩემპიონს ხვდებოდა; თანაც, **მერაბ კოჭლაშვილის** ხელმძღვანელობით, „ვიტ ჯორჯია“ წაუგებლად ასპარეზობას განაგრძობს და, რატომღაც ბევრს რომ არ ეგონა, კვლავაც საჩემპიონო დავაშია ჩართული. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „სიონის“ საშინაო მარცხი ნამეტან წარუმატებლობად არ უნდა შეფასდეს; მით უმეტეს, რომ ბოლნისურ კლუბში არცთუ სახარბიელო კი არა, მწვავე ფინანსური მდგომარეობაა...

აი, თემურ მახარაძემ კი თავისი სამწვრთნელო „ჯადოსნური ჯოხი“ ახალ გუნდშიც „მოიქნია“ და სადებიუტო შეხვედრაში დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. თან, სად - სამტრედიაში, სადაც მანამდე გამარჯვება მხოლოდ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს „ზესტაფონს“ ჰქონდა მოპოვებული. მახარაძისთვის უცხო არ არის ფორსმაჟორულ სიტუაციებში გუნდის ჩაბარება - „სიონი“ ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაიბარა და მერე იმდენს მიაღწია, რომ ამ უხელფასო გუნდმა ექვსმატჩიანი წაუგებელი სერიაც შემოგვთავაზა. ეგ კი არა, სწორედ მახარაძის ხელმძღვანელობით მოახერხა „სიონმა“ სტუმრად თბილისის „დინამოს“ დამარცხება - ასეთი რამ კი ამ გუნდების მრავალწლიანი ურთიერთდაპირისპირებისას არასდროს მომხდარა!

XII ტურის მატჩები შაბათს იყო დანიშნული, ხუთშაბათს კი მახარაძემ... ახალი გუნდი ჩაიბარა: „სიონზე“ ბევრად ამბიციური და „წელგამართული“; აქაც, დღედღენახევარი რჩებოდა სადებიუტო შეხვედრამდე და ახალ მწვრთნელს ბევრი რამ უნდა შეეცვალა; თუმცა, „ოლიმპის“ შემადგენლობა ოდნავ სახეშეცვლილი ვიხილეთ (უფრო, ტაქტიკური თვალსაზრისით) და ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური ფავორიტიც სამტრედიიდან სამი ქულით ხელდამშვენებული ჩამოვიდა. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ტურის მწვრთნელობა“ სწორედ თემურ მახარაძემ დაიმსახურა - ახალ გუნდს სადებიუტო შეხვედრაში დიდი ანგარიშით რომ გაამარჯვებინა!

## კრიზისი და ნათება

გია გეგუჩაძის „ზესტაფონი“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია და კვლავაც ერთპიროვნულად (თან - დამსახურებულად!) ლიდერობს; ასევე ლოგიკურია, რომ „ზესტაფონს“ კვალში უდგანან „ოლიმპი“ და „ვიტ ჯორჯია“ - ამ ორივე გუნდს ხომ რეალურად ხელეწიფება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა; აი, რაც შეეხება „დინამოს“... ჰო, ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა კვლავ ვერ გაიმარჯვა; მართალია, ამჯერად არცთუ სუსტი კი არა, საკმაოდ ძლიერი მეტოქეც ჰყავდა „სპარტაკის“ სახით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: თბილისის „დინამო“ ზედიზედ ოთხი მატჩია ვერ იმარჯვებს! აქედან გამომდინარე, უკვე იმის თქმაც შეიძლება, რომ **კახა კაჭარავას** გუნდს გარკვეული კრიზისი აქვს, თორემ ჩემპიონატების „მარადიული ფავორიტი“ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ორ ქულას რომ აილებს, კრიზისის გარდა, ამას სხვა რალა უნდა დავარქვათ. საერთოდაც, „დინამოში“ მიმდინარე პროცესები დღესდღეობით მეტად აქტუალურია და იმედია, უახლოეს დღეებში „ლელოს“ მკითხველი უფრო მეტ და, რაც მთავარია, ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. ისე როგორც უკვე „შეპირებულ“ ტურის „გამონათებაზეც“ - 17 წლის **ნიკა ძალამიძეზე** მოგახსენებთ, ვისი თამაშის ცქერაც ერთ სიამოვნებად ღირს...

**გია ტუხაშვილი**

## XII ტურის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: თემურ მახარაძე (3) ოლიმპი






გაგრა-ზესტაფონი 0:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 12 | 8 | 4 | 0 | 21-6 | 28 |
| 2. ოლიმპი | 12 | 8 | 3 | 1 | 25-10 | 27 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 20-12 | 25 |
| 4. დინამო | 12 | 5 | 4 | 3 | 21-10 | 19 |
| 5. სპარტაკი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| 6. სიონი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-12 | 14 |
| 7. სამტრედია | 12 | 4 | 1 | 7 | 16-28 | 13 |
| 8. გაგრა | 12 | 2 | 3 | 7 | 14-20 | 9 |
| 9. ბაია | 12 | 2 | 2 | 8 | 10-20 | 8 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 0 | 3 | 9 | 4-19 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 11 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 10 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 10 |

### XIII ტური

**30 ოქტომბერი, პარასკევი**

ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ბაია-სამტრედია
ლოკომოტივი-სპარტაკი

**31 ოქტომბერი, შაბათი**

ოლიმპი-გაგრა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

## პირველი ლიგა — X ტური

**ტორპედო-IBSU 2:3**

1:0 რ. კვერნაძე (31), 1:1 ქუცურუა (38), 1:2 ქუცურუა (44), 2:2 რ. კვერნაძე (53), 2:3 ქუცურუა (84-პენ)

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, ბ. ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, გურული, გ. ჩხეტიანი (90+2. თ. თურმანიძე), ლალაძე (70. ხარებავა), რ. კვერნაძე, ლ. კირკიტაძე, შ. ჯიქია, გ. იმედაძე (78. ზაქარაშვილი).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, გ. თურმანიძე, ჩიხლაძე, ღონღაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

IBSU: ჯოლოგუა, პირველი, ტეტუნაშვილი, თავბერიძე, მაჩალაძე (85. ოდიშარია), ქუცურუა, ბართია, ა. კუჭუხიძე (74. ცხოიძე), ლ. ნორაკიძე, გ. ჯიშკარიანი, ლ. მელქაძე (70. ზ. ნიკოლაძე).

სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, ნ. გვიჩია, ბენდიანაშვილი, არახამია

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ბ. ბიბილაშვილი, მელქაძე, ნორაკიძე, ლალაძე, პირველი, ნიკოლაძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**ჭიათურა-ბათუმი 0:3**

0:1 სამსეიშვილი (16), 0:2 დემურაძე (25), 0:3 ბეჟანიძე (81)

ჭიათურა: ბადურაშვილი (46. დ. შეყილაძე), ნ. ტყემალაძე, ცუცქირიძე, ჭუმბურიძე, ბრეგვაძე, ასანიძე, ბ. გიორგაძე, დ. ტაბატაძე (59. ვაშაძე), სარალიძე (26. თ. შეყილაძე), სევასტოპულო, ლაშხი.

*სათადარიგოები:* მეცხოვრიშვილი, თემურ მიშველიძე, რობაქიძე, დარბაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

ბათუმი: შ. მამინაშვილი, ფარტენაძე, თედორაძე, ხუხია, ლ. რამიშვილი, სამსეიშვილი, ზ. ლობჟანიძე, დემურაძე, ე. გრიგალაშვილი (53. ბეჟანიძე), ტულუში, ბოხუა (56. მ. ჯორბენაძე/75. ზოიძე).

*სათადარიგოები:* ბაციკაძე, მალაზონია, ბერიძე, კეკელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ბოხუა, ხუხია, მ. ჯორბენაძე, ცუცქირიძე

გაძევება: სევასტოპულო

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ჰერეთი-მესხეთი 4:0**

1:0 კუპატაძე (20), 2:0 წვერავა (36), 3:0 წვერავა (78), 4:0 წვერავა (90)

ჰერეთი: ტუხაშვილი, ფარულავა, ხარაიშვილი, დონდოლაძე, გ.გ. მაჭარაშვილი (46. ლ. დათუნაშვილი), შ. ლობჟანიძე, პაპუაშვილი, უშარაული, ლომსაძე, კუპატაძე, კ. წვერავა.

*სათადარიგოები:* მატვიენკო, გ. ე. მაჭარაშვილი, ბ. ფოფხაძე, გერგიშვილი, ყორღანაშვილი.

*მოთამაშე-მწვრთნელი:* კარლო წვერავა

მესხეთი: ძამუნაშვილი (85. რეხვიაშვილი), ცნობილაძე, თ. გრიგალაშვილი, თელიაშვილი, ბარძიმაძე, ლეკიშვილი, ო. დარჩია, პარუნაშვილი, სუდაძე, ინასარიძე, ქურდაძე (83. ს. მუმლაძე).

*სათადარიგოები:* ზამბახიძე, პეტაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

გაფრთხილება: ინასარიძე, ლეკიშვილი, ტუხაშვილი, წვერავა, პაპუაშვილი

გაძევება: ბარძიმაძე

არბიტრი: ი. ურუშაძე

**ჩიხურა-მერცხალი 2:1**

0:1 სიამაშვილი (30), 1:1 დეკანოიძე (80), 2:1 ზ. ნოზაძე (87)

ჩიხურა: დოლაძე, გვეტაძე, ცარციძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, ზაბახიძე (72. ნ. მაჭარაშვილი), ქამუშაძე, ლ. კობახიძე, დეკანოიძე (90+2. ა. ივანიშვილი), გ. ენუქიძე (62. ზ. ნოზაძე), სტეფანიშვილი.

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, იაკობაშვილი, დ. ენუქიძე, ძინძიბაძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

მერცხალი: ძაგანია, ვ. რამიშვილი, ნაჭყებია, ტუტოიანი, ქათამაძე, ხამაშურიძე, მ. ქობულაძე (54. ჭკუასელი), სურგულაძე (86. ს.გ. ჩიგოგიძე), ს.ვ. ჩიგოგიძე, რ. ჭეიშვილი, სიამაშვილი.

*სათადარიგოები:* თ. ჩხატარაშვილი, გოგუა

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ლ. კობახიძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**გურია-35-ე ს.ქ 6:2**

1:0 კვერენჩხილაძე (31), 2:0 კვერენჩხილაძე (33), 2:1 მ. ლომსაძე (45), 3:1 ტ. კუკულაძე (55), 4:1 კვერენჩხილაძე (57-პენ), 5:1 შენირული (60), 6:1 კვერენჩხილაძე (70), 6:2 ლვინიაშვილი (83)

გურია: გოგუაძე, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, კილაძე (64. მგელაძე), ქურიძე, შენირული (73. იმნაძე), გოგიბერიძე, წილოსანი, ტ. კუკულაძე (54. ა. იმნაიშვილი), ს. ურუშაძე, კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* ეზიეშვილი, ჯაყელი, ლ. ციკოლია, მ. კოტრიკაძე

*მწვრთნელი:* რამაზ ფირცხალაიშვილი

35-ე ს.ქ: ჯალაღონია, თ. ბიბილაშვილი, ჭაფოძე (33. ფურცელაძე), თარაშვილი, ბელთაძე (46. ლვინიაშვილი), გოგოხია, დ. ყაველაშვილი, ბახტაძე, მ. ლომსაძე, თეთრუაშვილი (61. გურეშიძე), გავაშელიშვილი.

*სათადარიგოები:* მანია, კოსტავა

*მთავარი მწვრთნელი:* კახა გოგიჩაიშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**მარტვილი-მეშახტე 4:2**

1:0 ლომიძე (4) 2:0 ც. ბუკია (15), 3:0 ამბროლაძე (41), 4:0 იობაშვილი (71), 4:1 მიქაბერიძე (74-პენ), 4:2 კეჭეყმაძე (86)

მარტვილი: შეროზია, ბერიშვილი (46. ვარდუაშვილი), ჩხიკვაძე, (46. მელიავა), იობაშვილი, ლომიძე, წოწორია, ილურიძე, ც. ბუკია, ხვადაგიანი, ო. ტორაძე, ამბროლაძე (60. ლ. კუჭუხიძე).

*სათადარიგოები:* ბერუაშვილი, გიორგობიანი, პაპადოპულოსი, თ. თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

მეშახტე: მემარნიშვილი, ჯიშიაშვილი, გ. სიჭინავა, გ. ტორაძე, ძაგანია (78. ბაბუნიძე), დოლონაძე (46. ჭკადუა), ქომეთიანი (46. იაგო დეისაძე) ლომაშვილი, მიქაბერიძე, კეჭეყმაძე, იაკობ დეისაძე.

*სათადარიგოები:* ლ. რაზმაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ჩხიკვაძე, ლომაშვილი, გ. ტორაძე

გაძევება: ლომაშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ნ/დინამოელი-კოლხეთი (ფ) 1:1**

1:0 გ. მაისურაძე (11), 1:1 გ. ციკოლია (84)

ნ/დინამოელი: ძაძამია, მერეჩკო, კაკაშვილი, დაბრუნდაშვილი, გ. დარასელია (70. ი. კობახიძე), ი. ქათამაძე, ხვთისავრიშვილი, დეკანოსიძე, ი. შენგელია, გ. მაისურაძე (81. მამუდოვი), ლაბარტყავა (63. გულორდავა).

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, ელიზბარაშვილი, კვარაცხელია, ჩუხუა

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან გაგუა

კოლხეთი: გ. შენგელია, თურქია, თედიაშვილი, ფარცვანია, ლუსტა (46. გ. კილასონია), გელაჭეიშვილი, ჯოჯუა, დ. სიჭინავა, გოგონაია (26. აბურჯანია), ციცხვაია, ნიქარიშვილი (74. გ. ციკოლია).

*სათადარიგოები:* ცხვიტარია, გულუა, ნარსია

მთავარი მწვრთნელი: ზაზა ინაშვილი

გაფრთხილება: სიჭინავა, ჯოჯუა

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო 2008 | 10 | 8 | 0 | 2 | 32-6 | 24 |
| 2. ბათუმი | 10 | 6 | 3 | 1 | 12-3 | 21 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 9 | 6 | 2 | 1 | 19-7 | 20 |
| 4. ჩიხურა | 10 | 6 | 1 | 3 | 13-10 | 19 |
| 5. ნ/დინამოელი | 9 | 5 | 3 | 1 | 19-12 | 18 |
| 6. მარტვილი | 9 | 5 | 1 | 3 | 15-12 | 16 |
| 7. გურია | 9 | 4 | 2 | 3 | 17-15 | 14 |
| 8. მეშახტე | 10 | 4 | 1 | 5 | 17-27 | 13 |
| 9. ჰერეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-14 | 11 |
| 10. მერცხალი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 9 | 3 | 1 | 5 | 13-20 | 10 |
| 12. IBSU | 9 | 2 | 3 | 4 | 13-13 | 9 |
| 13. მესხეთი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 7 |
| 14. ჭიათურა | 9 | 1 | 0 | 8 | 9-29 | 3 |
| 15 35-ე სკოლა | 9 | 0 | 1 | 8 | 6-21 | 1 |

*მესხეთმა ჩემპიონატი -3 ქულით დაიწყო*

## ჭაბუკთა ლიგა

### 92-92 წლიანები

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ზესტაფონი | 0:1 |
| დინამო (თბ)-ლოკომოტივი | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 1:4 |
| ბაია-ოლიმპი | 6:1 |
| სამტრედია-სიონი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 6 | 2 | 0 | 29-13 | 20 |
| 2. ბაია | 8 | 6 | 2 | 0 | 23-10 | 20 |
| 3. ზესტაფონი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-18 | 16 |
| 4. სამტრედია | 8 | 4 | 3 | 1 | 22-14 | 15 |
| 5. გაგრა | 8 | 4 | 0 | 4 | 16-18 | 12 |
| 6. ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 19-18 | 11 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 1 | 4 | 11-15 | 10 |
| 8. სიონი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-18 | 4 |
| 9. სპარტაკი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-14 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 8 | 0 | 2 | 6 | 7-19 | 2 |

### 94-95 წლიანები

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 |
| დინამო (თბ)-ლოკომოტივი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 3:4 |
| ბაია-ოლიმპი | 0:3 |
| სამტრედია-სიონი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| 2. ბაია | 8 | 6 | 1 | 1 | 21-5 | 19 |
| 3. დინამო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-10 | 15 |
| 4. სამტრედია | 8 | 4 | 0 | 4 | 10-9 | 12 |
| 5. სპარტაკი | 8 | 4 | 0 | 4 | 9-13 | 12 |
| 6. ლოკომოტივი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-9 | 10 |
| 7. სიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-12 | 9 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 9. ზესტაფონი | 8 | 0 | 3 | 5 | 5-17 | 3 |
| 10. გაგრა | 8 | 0 | 2 | 6 | 4-18 | 2 |

U 17

# ბიძგი ქართულ ფეხბურთს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა, შოტლანდიიდან დღეს გამთენიისას უნდა დაბრუნებულიყო. განვლილი ბატალიების შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანისა** და ნაკრების ფეხბურთელთა შთაბეჭდილებებს აუცილებლად შემოგთავაზებთ, მანამდე კი იმ მცირე კომენტარს გაგაცნობთ, რომელიც დევდარიანმა უეფას ოფიციალურ ვებგვერდს მისცა.

*„ელიტრაუნდში გასვლით უბედნიერესი ვარ. ჩემმა ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს, რაც დაუფასდათ კიდეც. ჩვენ შემტევ და სანახაობრივ სტილს მივდევთ და ორმაგად სასიხარულოა, ქართულმა ფეხბურთმა ეს წარმატება ჩვეული ტაქტიკით რომ მოიპოვა. დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთს არ ულხინს, მაგრამ მჯერა, 17-წლამდელების გამარჯვება საქმის გამოსწორებას ბიძგს მისცემს. ეს წარმატება ქართულ ფეხბურთს ყველა დონეზე გამოაცოცხლებს“,* - თქვა ჩვენი ნაკრების თავკაცმა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ელიტრაუნდი მომავალი წლის მარტში გაიმართება. ჩვენს მომავალ მეტოქეებს წილისყრა 9 დეკემბერს გამოავლენს. ელიტრაუნდში 13 ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. 28 ნაკრები შვიდ ოთხგუნდიან ჯგუფს შეადგენს, თითოეული ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე თითო ნაკრები იასპარეზებს. ამ შვიდ გუნდს ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ლიხტენშტაინი დაემატება. ფინალური ეტაპი მომავალი წლის 18-30 მაისს ჩატარდება.

ჯერჯერობით, ელიტრაუნდში გასული ყველა გუნდი არ გარკვეულა, იქ უკვე გასული სხვა ნაკრებებისა და შესაბამისად, ჩვენი პოტენციური მეტოქეების ჩამონათვალი კი ასეთია: ხორვატია, ბელგია, თურქეთი, საფრანგეთი, უკრაინა, უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, ესპანეთი, რუმინეთი, ავსტრია, პოლონეთი, ირლანდია, შვედეთი, ჩრდ. ირლანდია, პორტუგალია, უელსი, ბოსნია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი დევდარიანი

გამოხმაურება

# ეს რა ნიჭიერი ხალხი ყოფილხართო...

## საფეხბურთო ევროპამ საქართველო ბავშვებით აღმოაჩინა

უკვე ვწერდით, რომ შოტლანდიაში, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, საქართველოს ნაკრებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია - **გიორგი დევდარიანის** გუნდმა გადამწყვეტ ბრძოლაში კვიპროსს 4:2 სძლია და ელიტრაუნდში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

მატჩის შემდეგ შოტლანდიაში მყოფ საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ გენერალური დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს** დავუკავშირდით. შეგახსენებთ, რომ დევდარიანის გუნდში ამ სკოლის აღზრდილი 10 ფეხბურთელი თამაშობს:

*„გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ თამაშზე დამსწრე სპეციალისტები ჩვენებით აღფრთოვანებულები დარჩნენ. ბიჭებმა ძალიან კარგი ფეხბურთი აჩვენეს. კვიპროსი ძლიერი და დაბალანსებული გუნდია, მაგრამ ჩვენებმა მოახერხეს და შემტევი ფეხბურთი ითამაშეს, ნამდვილი ქართული სულისკვეთება გამოავლინეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. სტადიონზე მოსული სპეციალისტები ჩვენების თამაშითა და ნიჭიერებით ალტაცებულნი დარჩნენ. დარწმუნებული ვარ, ეს თაობა კიდევ უფრო მეტს მიაღწევს. მერწმუნეთ, ქართველებს ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია, მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების ვირწმუნოთ, გუნდი სწორი გზით განვითარდეს და ყველანაირად ხელი შევუწყოთ. გუნდს ჰყავს ნიჭიერი და თანამედროვედ მოაზროვნე მწვრთნელი, არის გამორჩეული თაობა და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ამ გუნდში ათი კაცი ჩვენი სკოლის ფეხბურთელია და ეს განსაკუთრებით მეამაყება. თუმცა, მთავარი არა ჩვენი სკოლის, არამედ, საქართველოს წარმატებაა“,* - გვითხრა ჭუმბურიძემ.

გუნდს თან ახლდა „საბურთალოს“ დამფუძნებელი, „იბერიაბიზნესჯგუფის“ პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი.** აი, მისი შთაბეჭდილებაც:

*„იცით, რა არის ბედნიერება? შოტლანდიის ნაკრებში სულ „სელტიკის“, „რეინჯერსის“, „აბერდინის“, „დანდის“ და სხვა ცნობილი კლუბების გაზრდილები თამაშობდნენ, პორტუგალიის ნაკრებში „ბენფიკას“, „სპორტინგის“, „პორტუსა“ და ასე შემდეგ. საკმაოდ ძლიერ კლუბებში თამაშობენ კვიპროსელებიც - „ტოტენჰემში“, პირეოსის „ოლიმპიაკოსში“... აი, ასეთ ნაკრებთა შორის ქართულმა გუნდმა არათუ წარმატებას მიაღწია, სტადიონზე მოსული გულშემატკივრები და სპეციალისტები გააოგნა. დევდარიანის ბიჭებმა აზრიანი, გამართული, 21-ე საუკუნის ფეხბურთი აჩვენეს. წარმოიდგინეთ, 2:0 ვიგებდით, მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა, მაგრამ ჩვენები არ მოეშვნენ, ძალები მოიკრიბეს და 4:2 მოიგეს. ბევრ ქართულ ნაკრებს ან გუნდს გაიხსენებთ, რომელიც ასეთ დროს ხასიათს გამოავლენდა და დაწინაურებას კიდევ მოახერხებდა? ჩვენებმა კვიპროსელებს ფიზიკურად გადაუარეს. არადა, შეუძლებელია იმ პირობების შედარება, რომელშიც ჩვენი ბიჭები და კვიპროსელები ვარჯიშობენ. მეორე ტაიმში ჩვენებმა მეტოქეს ბურთი „დაუმალეს“. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბრაზილიელებს ვუყურებდი, რაც უნდა ბევრი გაეტანათ, ჩვენი ბიჭები ორჯერ მეტს გაიტანდნენ. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, კვიპროსელებმა კი, ფაქტობრივად, ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს. ჩვენ არც ერთი გადაზრდილი ფეხბურთელი არ გვყოლია, როცა კვიპროსელები უფროსი ასაკის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ჩვენი გოლების დროს ერთმანეთს ცოლშვილს აგინებდნენ (იცინის). დარწმუნებული ვარ, ჩვენს ნაკრებს ევროპელების დონის მოსამზადებელი პირობები რომ ჰქონდეთ, პორტუგალიელებსაც მოუგებდნენ.*

*ასეთი შემართული და ერთსულოვანი გუნდი არ მინახავს. კვიპროსელებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს, მეორე სუნთქვა გაეხსნათ. სხვათა შორის, დათო სხირტლაძემ ისეთი ლამაზი გოლი გაიტანა, ხალხმა ტაში დაუკრა. მე ვერავის გამოვარჩევდი, მთელმა გუნდმა მოედანზე თავი დასდო. გიორგი ჭანტურიამ კი ყველაზე რთულ მომენტში ლიდერის თვისება გამოავლინა და უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა. ასეთი ამაყი იშვიათად ვყოფილვარ. უნდა გენახათ, რა ხდებოდა ჩვენების გასახდელში. ხალხი სიხარულისგან ტიროდა... ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მსურს, აღვნიშნო: მნიშვნელოვან ტურნირამდე იქნება თუ მატჩამდე, გიორგი დევდარიანმა ტრადიციად აქცია - ნაკრების წევრები ტაძარში მოსალოცად მიჰყავს. ასე მოხდა შოტლანდიაში გამგზავრებამდეც: სვეტიცხოვლობაზე გუნდი პატრიარქმა დალოცა. დალოცა ასევე კვიპროსთან მატჩამდეც, თბილისიდან... ამიტომაც იყო, ბიჭები მოედანზე საოცარი ენერგიით გავიდნენ. შოტლანდიაში მცხოვრები ქართველობაც დაგვიდგა გვერდში, „პირველი არხის“ ყოფილი სპორტული ნამყვანი არმაზ მეტრეველი და სხვები... მათ „საქართველო, საქართველოს“ სკანდირება რომ დაიწყეს, ბიჭებს უფრო მეტი ძალა მიეცათ. ამ ასაკის ნაკრებთა მატჩებს ბევრი ცნობილი კლუბის წარმომადგენელი და სელექციონერი ესწრება. გაოცებულები არიან - რამდენ ნიჭიერი საფეხბურთო ერი ყოფილხართო. ესაა წარმატების შედეგი - უცებ ყველამ შენიშნა ის, რაც ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ მიზეზთა გამო ამ პოტენციალს გასაქანს ვერ ვაძლევთ. მოკლედ, უზომოდ ბედნიერები და ამაყები ვართ“.*

გავიხსენოთ, რომ ზაფხულში დევდარიანის გუნდმა ლიტვაში პალანგის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. სამწუხაროდ, ბოლო ერთ თვეში, ყველაზე გადამწყვეტ ეტაპზე, ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ნაკრები უცხოურ შეკრებაზე ვერ გაუშვეს და მთელი ეს შრომა კინაღამ წყალში ჩაიყარა. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდულ და 19-წლამდელთა ნაკრებს საერთაშორისო შეხვედრები თუ შეკრებები არ ჩაუგდიათ, ეს ისე, ცნობისთვის...

მაგრამ სამართალმა პური ჭამა - ნიჭმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ შედეგი მაინც გამოიღო.



საქართველო-კვიპროსის მატჩის მომენტი

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები რუსეთში

# ფედერაციის პრეზიდენტის შეცვლამ ანჟელები დააიმედა

## გოჩა ხოჯავა: ...მხოლოდ ამ შემთხვევაში არ გადავალ რუბინში

**მახაჩყალის „ანჟის" ქართველები - ნახევარმცველი გოჩა ხოჯავა და მცველი ედიკ საჯაია დაშავდნენ და დარჩენილ ტურებს გამოტოვებენ. ამჟამად ფეხბურთელები საქართველოში იმყოფებიან. ვისარგებლეთ შემთხვევით და ორივეს ინტერვიუ ვთხოვეთ...**

- ფაქტობრივად, „ანჟი" პრემიერლიგაში უკვე გადასულია. მე ის უფრო მახარებს, რომ ეს ქართველების დამსახურებაა. ომარ თეთრაძე „რომაში" ნათამაშები კაცია, საქართველოშია გაზრდილი და იცის ნამდვილი ფეხბურთის ფასი კატეგორიულად გვიკრძალავს ბურთის წინ უაზროდ გადაგდებას, მხოლოდ პასით თამაშს გვთხოვს. ჩვენი ლიდერობა სწორედ ამან განაპირობა, რუსეთის პირველ ლიგაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს ჩვენ ვთამაშობთ. ადრე მეგონა, ზღაპრებს ჰყვებოდნენ, თითქოს პრემიერლიგაზე რთული ტურნირი იყო. რეალურად ასეც ყოფილა, პრემიერლიგაში კლასის ხარჯზე იბრძვიან, ჩვენთან კი გამუდმებული ჭიდაობა და ბრძოლაა საჭირო.

**- როგორც ვიცით, ახალი სეზონიდან ყაზანის „რუბინში" გადადიხარ...**

- ყაზანელებთან კონტრაქტი გავაფორმე და თუ რამე სასწაული არ მოხდა, „რუბინში" ვითამაშებ. „ანჟიში" დარჩენის მხოლოდ ერთი შანსია: თუ პრემიერლიგაში გადასვლის შემთხვევაში „ანჟი" ისეთ კონტრაქტს შემომთავაზებს, როგორსაც ყაზანელები მპირდებიან. ასეთი მოლაპარაკება არსებობს და თუ ეს პირობები შესრულდა, სხვა კლუბში არ გადავალ.

**- რუსეთის ჩემპიონს პრემიერლიგის დებიუტანტს ამჯობინებ?!**

- ფული არაფერ შუაშია, მახაჩყალაში სათამაშო პრაქტიკის გარანტია მაქვს, ყაზანში კი ასეთ გარანტიებს არავინ მომცემს.

**- „ბარსელონას" მძლეველ „რუბინში" თამაში ურიგო საქმე არ არის, მაგრამ საქართველოს ნაკრებში გზა მაინც დაკეტილი გაქვს...**

- შეიძლება, მე იმ დონის ფეხბურთელი არ ვარ, საქართველოს ნაკრები რომ გავაძლიერო, მაგრამ ჩემთვის შოკი იყო ექტორ კუპერის ერთ-ერთი ინტერვიუ, რომ თურმე 24 წლის ფეხბურთელი ვეტერანი ვყოფილვარ. როცა მითხრეს - კუპერმა „ლელოსთან" თქვა, ხოჯავა და გვაზავა ვეტერანი ფეხბურთელები არიანო, მივხვდი, რომ ჩემზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა. ძალიან მწყდება გული, რომ ერთ შანსსაც არ მაძლევენ. იქნებ, მართლა არაფრად ვვარგივარ, მნახონ და შემაფასონ!

**- ფედერაციაში ხელმძღვანელობის შეცვლით, შენ მიმართ დამოკიდებულება ხომ არ შეიცვლება?**

- არ ვიცი, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ყურადღებას არა მხოლოდ მე, „ანჟის" ყველა ქართველს მიაქცევენ. ფედერაციაში ხელმძღვანელობა შეიცვალა, სულ სხვა ადამიანები მოვიდნენ და ვნახოთ...

**- ნაკრებში თემურ ქეცბაიას დანიშვნაზეა ლაპარაკი. მოდი, გულწრფელად ვილაპარაკოთ - მასთან „ანორთოსისში" ვერ გაძელი და წამოხვედი...**

- მაშინ ბავშვი ვიყავი, თანაც - შეყვარებული. ცოლის მოყვანას ვაპირებდი და თბილისიდან შორს ვერ გავძელი (იცინის). სიმკაცრის გამოც ვერ გავუძელი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ გუნდში სიმკაცრე აუცილებელია. ახლა გავუძლებ კი არა, მასთან სიამოვნებით ვივარჯიშებ. თემური ძალიან ძლიერი მწვრთნელია. მაშინ „ანორთოსისში" ქინქლაძე და გერმანიის ნაკრებში ნათამაშები მარკო ჰაბერი თამაშობდნენ. ფეხბურთში ბევრი ჰქონდათ ნანახი და კარგი მწვრთნელის ფასიც იცოდნენ. მათთანაც კი, თემური ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო. საქართველოს ნაკრებსაც ასეთი მკაცრი მწვრთნელი სჭირდება, აქ ლოიალობით საქმე არ გაკეთდება.

**- შენი აზრით, რატომ არ გიწვევდნენ ეროვნულ გუნდში?**

- წარმოდგენა არ მაქვს, ეტყობა, მათ სატრანსფერო ინტერესებში ვერ მოვხვდი.

**- ხოჯავამ ბოლოსწინა ტურში ისეთი მძიმე ტრავმა მიიღო, ჩემპიონატი დაასრულაო, წერდნენ. არადა, ჩვეულებრივად დადიხარ...**

- მე და საჯაიამ კუნთი გავიჭიმეთ. მართალია, სიარულის დროს არაფერი მეტყობა, მაგრამ ფეხი მტკივა და ვარჯიშსაც ვერ ვახერხებ, ამიტომაც ჩამოვედი.

**- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას აპირებდი. ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე შესაბამისი განცხადება შეიტანე?**

- სეზონი დამთავრდება და შევიტან.

**- უეფამ გამოაქვეყნა ჩაწყობილი მატჩების სია, სადაც „ანჟის" ორი თამაშია მოხსენიებული...**

- პრემიერლიგაში კავკასიური გუნდი გადასვლა არ უნდათ და თავად მიხვდებით, ეს ინფორმაცია როგორ და რანაირად მოხვდა უეფაში. ამიტომ არ გვიკვირს, შარი რომ მოგვდეს. ისეთ აბსურდს გვაბრალებენ, ვხვდებით, საიდანაც უბერავს ქარი. გვაბრალებენ გარიგებას „სიბირთან", რომელიც ჩვენი კონკურენტია. მეორე ჩაწყობილ თამაშად „ნიჟნი ნოვგოროდთან" 4:0 რომ მოვიგეთ, ის მიიჩნიეს. ეს გუნდი თავის მოედანზე ფრედ გვეთამაშა. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება - თუ გუნდთან გარიგებული ხარ, დაგითმობს თამაშს...

**- უეფა ასეთ დაუნდობელ ვერდიქტს გადაუმოწმებლად არ გამოაქვეყნებდა...**

- მეც ამას ვამბობ, რომ არ სურთ პრემიერლიგაში კავკასიური კლუბის გადასვლა და ინფორმაციასაც თავად აწვდიან უეფას. არ მინდა ყველაფრის თქმა, სხვაგვარად გამიგებენ. სხვათა შორის, ინფორმაცია პირველად რუსულმა გაზეთებმა გაავრცელეს.

**- დაღესტანში ყოველდღე რაღაცას აფეთქებენ. რამდენად უსაფრთხოა იქ თამაში და ცხოვრება?**

- ფეხბურთელებს არ ეხებიან, ეს აფეთქებები მახაჩყალის გარეთ ხდება.



ედიკ საჯაია (მარცხნივ) და გოჩა ხოჯავა

ვაჟა დანელიას ფოტო

## ედიკ საჯაია: ანჟის ძალა ქართველობაშია

- ვისაც ნაკრებში უთამაშია, არა მგონია, იქ დაბრუნებაზე არ ფიქრობდეს. რა თქმა უნდა, ჩავარდნა მქონდა, საქართველოში ძალიან არასპორტულ ფორმაში ვიყავი, წონა მაწუხებდა, მაგრამ „ზესტაფონში", თემურ მახარაძესთან, ფორმა აღვიდგინე და „ანჟიში" ძველებურად ავთამაშდი, მაგრამ მაინც დავიწყებული ვარ. არადა, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ახლა ტრავმა კი მაწუხებს და ბოლო ტურებში „ანჟის" ვერ დავეხმარები, მაგრამ რუსეთის პირველ ლიგაში თამაშით ის დრო გამახსენდა, მოსკოვის „ტორპედოს" ძირითადში რომ ვთამაშობდი. სამწუხაროდ, რუსეთის პირველი ლიგის კლუბებს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერებზე ბევრად უკეთესი პირობები აქვთ და ამან ჩემზე ძალიან კარგად იმოქმედა. ვიცოდი, რუსეთში რა რთული მოთხოვნები იყო, მაგრამ ასეთ დიდ განსხვავებას ვერ წარმოვიდგენდი. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველ ლიგაში უფრო მეტი ჯანია საჭირო, პრემიერლიგაში კიდევ ახერხებენ ტექნიკისა და კლასის ხარჯზე ნაკლები ენერგიის დახარჯვას. მე იმდენი დრო გამიცდა და იმდენი დავკარგე, ძალიან მოვინდომე და რაღაც გამომივიდა. რუსეთში მეტი იყო საჭირო და სხვა რა გზა მქონდა. სხვათა შორის, მოსკოვის „ტორპედოში" ასეთი მძიმე დატვირთვები არ გვქონია, რუსეთში ჩემპიონატის დონე მართლა ძალიან გაიზარდა. სხვათა შორის, ომარ თეთრაძე ძალიან დამეხმარა, თორემ იქ გაჩერება გამიჭირდებოდა. თავიდან პრეზიდენტი ალმაცერად მიყურებდა, საკონტროლო მატჩებში მაინცდამაინც კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ ომარი მენდობოდა და მგონი, წლევანდელი სეზონი ურიგოდ არ ჩამიტარებია. ყოველ შემთხვევაში, ახლა პრეზიდენტიც კმაყოფილია.

**- გასაგებია, რომ საკლუბო კარიერამ თავისი გავლენა იქონია, ნაკრებშიც არ გიწვევდნენ და ამის გამო რუსეთის მოქალაქეობა მიიღე. თუმცა, როგორც ვიცით, „ანჟის" ქართველობა მოქალაქეობის აღდგენას აპირებს...**

- დიახ, „ანჟის" ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, საქართველოს პასპორტის დაბრუნებას ვაპირებთ. სხვათა შორის, ნაკრებში დაბრუნებით ბევრჯერ დამაიმედეს, მაგრამ საბოლოოდ იმედგაცრუებული ვრჩებოდი და საკლუბო კარიერაზე უარს ვერ ვიტყოდი, ბოლოს და ბოლოს, ოჯახი მყავს და შემოსავალზე უარი მეთქვა? ქართველობასა და სამშობლოზე კი არ მითქვამს უარი.

**- ყოველთვის ამბობთ, რომ მახაჩყალაში ქართველებს პრობლემა არ აქვთ, მაგრამ ჩვენდამი რუსეთის დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია...**

- ეტყობა, „ანჟის" ქართველობა ცუდად არ ვთამაშობთ. ურიგო სეზონი ნამდვილად არ გვქონია. გეცოდინებათ, სანდრო იაშვილი და ოთარ მარცვალაძე რა კარგ ფორმაში არიან. ახალი სეზონიდან მარცვალაძე ძალიან კარგ კლუბში ითამაშებს. გიორგი ნავალოვსკიც ერთ-ერთი საუკეთესოა და „რუბინი" იწვევს. იქვე გადადის გოჩა ხოჯავაც და ახლა შეგიძლიათ, ყველაფერი თავად შეაფასოთ. ომარი კახა ალადაშვილსაც ძალიან ემადლიერება. ზურაბ არზიანი ყველაზე ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველი მგონია. მას რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში იწვევდნენ, სადაც მოსკოვის „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და „დინამოს" ფეხბურთელები თამაშობენ. არზიანმა კატეგორიული უარი უთხრა - ქართველი ვარ და მხოლოდ ჩემი ქვეყნის ფორმას მოვირგებო. ამ დროს კი, საქართველოს ნაკრებში მისით ერთხელაც არ დაინტერესდნენ. არ ვიცი, ამას რა ჰქვია. ხოჯავაზე ცალკე ვილაპარაკებ. ერთი ამბავია ატეხილი - გინდა თუ არა, გოჩა ნაკრებში უნდა ვათამაშოთო. მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიწვევა ვინმეს დასანახად, თორემ რომ მიიწვიონ და ის ერთი მატჩი მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშოს, მერე იტყვიან - ესეც თქვენი ხოჯავაო. ძალით ვერავის ათამაშებ, ეს შენი სურვილიც უნდა იყოს. რა, არ იციან, რომ ნიჭიერი ფეხბურთელია? ერთი თამაში მახსენდება, რამდენიმე მეტოქე მოატყუა და ულამაზესი გოლი გაიტანა, ხალხი ხუთი წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს. არანაირად არ ვაჭარბებ, მახაჩყალის „ანჟის" ძალა ქართველობაშია, ჩვენ გუნდს სხვანაირად ვათამაშებთ და თეთრაძეს სწორედ ეს მოსწონს.

**- რუსეთში შესვლა-გამოსვლა მუდმივ სავიზო პრობლემებს უკავშირდება და არ მოგბეზრდათ ეს პრობლემები?**

- ევროპაში თამაში რომ უფრო სასიამოვნოა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგაში თუ ვითამაშებთ, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ სხვა ლიგაში თამაშსაც თავისუფლად შევძლებთ.

ოლიმპი

## ქარქაშაძე არ წასულა, ბაჯელიძე ბოლნისში გაუფროსდა

რუსთავის „ოლიმპსა" და ბოლნისის „სიონში" საკადრო ცვლილებების კასკადი გრძელდება. ორიოდე დღის წინ პოსტიდან გადადგა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** და სპორტული დირექტორის პოსტი დაიკავა, მის ნაცვლად კი, თავად კორღალიძის ინიციატივით, **თემურ მახარაძე** მიიყვანეს.

ეს „ოლიმპში" ბოლო საკადრო გადაადგილება არ ყოფილა. ცვლილებები კიდევ გაგრძელდა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს **ბადრი ქარქაშაძე** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად **სანდრო ბურნაძე** დაინიშნა, მართალი არ აღმოჩნდა.

გუშინ დავუკავშირდით კორღალიძეს, რომელმაც ინფორმაცია დაგვიზუსტა: *„ქარქაშაძე არავის გაუშვია, ბატონი ბადრი თავის პოსტზე რჩება, ისევე, როგორც სანდრო ბურნაძე, რომელიც მარნეულში სპორტის სამსახურის უფროსად აგრძელებს მუშაობას".*

ბურნაძე არა, მაგრამ თბილისის „მერანისა" და „სიონის" ყოფილი ნახევარმცველი **ლევან ბაჯელიძე** ნამდვილად დაინიშნა ბოლნისური კლუბის სპორტულ დირექტორად. ეს ნიჭიერი ფეხბურთელი ტრავმებმა გაანვალა, რის გამოც კარიერა ნაადრევად დაასრულა. მანამდე, ლევანი „სიონის" ფეხბურთელი იყო...

და კიდევ - რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ვილი ელიგულაშვილი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება „ოლიმპის" დაფინანსებაზე, ჯერჯერობით უცნობია. ბატონი ვილი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი გახლდათ და მისი მონდომების დამსახურებაცაა, ქარხნისთვის მძიმე პერიოდში რუსთაველ კლუბს რომ არ გაუჭირდა. შეგახსენებთ, რომ „ოლიმპის" მთავარი დამფინანსებელი სწორედ მეტალურგიული ქარხანა იყო...

ლეგიონერი

## დანიის სუპერლიგა საინტერესო უნდა იყოს...

დანიის სუპერლიგის კლუბ „მიდტიულანდის" ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო ინფორმაციას წავაწყდით: გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალან კუნი** ამბობს - 190 სანტიმეტრი სიმაღლის თავდამსხმელ **რევაზ ბარაბაძეს** ვსინჯავთო. ინფორმაცია ფეხბურთელის ოჯახში გადავამოწმეთ.

*„დანიელები თავად დაგვიკავშირდნენ და ერთი კვირაა, რეზო „მიდტიულანდში" ვარჯიშობს. იყო სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ეს ყველაზე კონკრეტული და საინტერესო წინადადება აღმოჩნდა. წესით, დანიის სუპერლიგაში თამაში ძალიან საინტერესო ვარიანტი უნდა იყოს. რეზო ფორმას აღიდგენს და იმედია, მერე ეს ევროპის უკეთეს ლიგაში გადასასვლელად გამოადგება. მთავარია, ჩაირიცხოს. თუმცა ჯერ არც ტრანსფერის საკითხი გადაწყვეტილა და არც კონტრაქტზე ულაპარაკიათ. მართალია, ის დღემდე კონტრაქტით „ანჟის" ფეხბურთელია, მაგრამ დანიაში სწორედ მახაჩყალელებთან შეთანხმებით წავიდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებს შემოგვთავაზებენ დანიელები",* - გვითხრა ფეხბურთელის მამამ **კობა ბარაბაძემ**.

13 ტურის შემდეგ „მიდტიულანდი" 14 ქულით VIII-IX ადგილებს იყოფს „სონდერიისკესთან".

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯები

# ქართველები ევროპაში

ბოლო პერიოდში საერთაშორისო სანაკრებო მატჩებს არაერთი ქართველი მსაჯი მოემსახურა. რაღა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ უეფამ ერთდროულად ჩვენს ამდენ არბიტრსა და თანამსაჯს გამოუცხადა ნდობა.

9 ოქტომბერს ნოვი სადში სერბეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში კვიპროსს უმასპინძლა და 2:0 გაიმარჯვა.. ამ მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** იყო, რომელსაც **ზურაბ ჯვარიძე** და **მამუკა ელიკაშვილი** დაეხმარნენ. მეოთხე მსაჯის ფუნქციები **გიორგი დოგრაშვილმა** შეასრულა.

იმავე დღეს ქალაქ ესხენში ლიხტენშტაინელმა ახალგაზრდებმა პოლონელებს უმასპინძლეს და 0:5 განადგურდნენ. ამ შეხვედრის არბიტრი **ლაშა სილაგავა** იყო, ასისტენტებად **ზაზა მენთეშაშვილმა** და **ზაზა ფიფიამ** იმუშავეს, სათადარიგო არბიტრად კი **გიორგი ვადაჭკორია** გაამწესეს.

ქართველი მსაჯები 17-წლამდელთა შესარჩევ ტურნირზეც მიიწვიეს. ესპანეთი-ლიტვის მატჩი (9:1) **გიორგი ვადაჭკორიამ** განსაჯა, მისი ასისტენტი კი **ბესიკ ჭიჭინაძე** იყო. ლიტვა-ფარერებზე (3:2) მათ იგივე როლი ერგოთ, რუმინეთ-ლიტვაზე (1:0) კი ჭიჭინაძე თანამსაჯი იყო, ვადაჭკორია - სათადარიგო არბიტრი.

12-19 ნოემბერს კი ბელგიაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის ერთ-ერთ ჯგუფში ერთმანეთს მასპინძლები, ნორვეგიელები, ყაზახები და ანდორელები შეეჯიბრებიან. ამ ჯგუფში არბიტრად **ლევან სილაგავა** დანიშნეს, ასისტენტად კი **ლევან ფიფია**.

ლევან ჯანეზაშვილი

ქალთა ფეხბურთი

# თხუთმეტით დავიწყეთ...

ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ჩაერთო. მაგრამ რად გინდა - **მამუკა სვანაძის** გუნდმა შაბათს დანიასთან 15:0 წააგო. ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ჭკუასელი, პასიკაშვილი, ქველიძე, მალიძე (46. ხუბულური), თოდაძე, მატვეევა, ჭიჭინაძე, გაბელია, პოლოსიანი (30. დოლიძე), ტატუაშვილი, სხირტლაძე (65. კახიძე).**

საქართველოს ნაკრები მორიგ შეხვედრასაც სტუმრად გამართავს - 29 ოქტომბერს, შოტლანდიასთან, რომელმაც შაბათს საბერძნეთის გუნდი 1:0 დაამარცხა.

დავით ცაბაძე

უცხოურ პრესაში

# ერთხელ, სომხეთში...

**ჩისამბა ლუნგუ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ზუგდიდის „ბაიაში" დაფასებული ფეხბურთელია. ეს კი დიდი შეღავათია იმ უსიამოვნებებთან ერთად, რაც ამ ზამბიელ ფეხბურთელს აქამდე გამოუვლია. საქართველომდე იგი სომხეთში იმყოფებოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პირდაპირ შემოგთავაზებთ საინტერესო სტატიას ჩისამბა ლუნგუს შესახებ, რომელსაც სომხურ საფეხბურთო ვებგვერდ „არმფუტბოლზე" წავაწყდით და „ერთხელ სომხეთში" ჰქვია.**

**აქ საქმე მხოლოდ ჩისამბა ლუნგუს არ ეხება. სტატია დეტალურ წარმოდგენას ქმნის სომხური ფეხბურთის დონესა და შიდა სამზარეულოზე. ქართული ფეხბურთის პატრონებმა სხვაზე რა უნდა ვთქვათ, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩნენ ქვეყნები, რომლებიც ბევრი საფეხბურთო ასპექტით ჩვენზე უარეს მდგომარეობაში არიან. ასე რომ, არც მთლად ისე უნდა იყოს საქმე, სომხეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები იქაურ ფეხბურთზე „ალფრთოვანებით" რომ ყვებიან.**



ჩისამბა ლუნგუ

„ცოტაც და საბოლოოდ დაგვავიწყდებოდა 18 წლის ნიჭიერი ზამბიელი ნახევარმცველი **ჩისამბა ლუნგუ**, მაგრამ შევიტყვეთ, რომ იგი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს და უმაღლესი ლიგის ბინადარ ზუგდიდის „ბაიას" ღირსებას იცავს. ქართულ ფეხბურთს იგი უცებ შეეწყო და იქ ყველას უჩვენა საკუთარი შესაძლებლობები. ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, მალე ჩისამბა ლუნგუ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიონ.

აი, ასეთ წარმატებებს მიაღწია მეზობელ ქვეყანაში ფეხბურთელმა, რომელმაც ერევანში სამი თვე გაატარა, აქ კლუბი ვერ იპოვა და სომხეთი მის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებით იმედგაცრუებულმა დატოვა.

თავიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „პიუნიკის" ხელმძღვანელობაზე და თითქოს მისი დედაქალაქურ კლუბში ჩარიცხვა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევისას საკუთარ თავზე საინტერესო ამბები გაიგო – ერევნის ერთ-ერთი კლინიკის ექიმებმა უთხრეს, რომ გულზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ამის გამო ფეხბურთს ვერ ითამაშებდა. არადა, სომხეთში არ მოიძებნება ისეთი სპორტული ექიმი, რომელიც კარდიოლოგიაში სათანადოდ ერკვევა. „პიუნიკმა" კი აფრიკელზე უარი თქვა.

ერევნის სხვა კლინიკაში მძიმე დიაგნოზი არ დადასტურდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ჩისამბას მოსკოვში ურჩიეს გამოკვლევებზე წასვლა. ეს მისი ერევნული თავგადასავლის მხოლოდ პირველი სერია იყო.

ლუნგუ მოსკოვიდან ერევანში ორ კვირაში დაბრუნდა, ხელთ კი მოსკოვის კლინიკის მიერ გაცემული ცნობა ეპყრა, რომლის მიხედვითაც პროფესიული ფეხბურთის თამაშში ხელს არაფერი უშლიდა. მაგრამ „პიუნიკში" ეს არ დაიჯერეს და მის აყვანაზე კვლავ უარი თქვეს. ჩისამბამ ერევნის მეორე კლუბში, „ბანანცში" სცადა დამკვიდრება, მაგრამ ერთკვირიანი სინჯების შემდეგ იქიდანაც გაუშვეს.

ამის შემდეგ ზამბიელმა კაპანს მიაშურა, მაგრამ არც იქაურ „განძასარში" მიიღეს, რადგან „ავტორიტეტული" სომეხი ექიმების მცდარი დასკვნისა მტკიცედ დაიჯერეს. ჩისამბას „ავადმყოფობის" ამბავი მთელ სომხეთში გავარდა და დედაქალაქურმა „მიკამ" და „ულისმა" საერთოდ სინჯების გარეშე თქვეს მის სამსახურზე უარი.

საბრალო ლუნგუს „პიუნიკმა" მხოლოდ ერთი თვის გასამრჯელო მისცა, რაც მას გზისა და კვების ფულადაც არ ჰყოფნიდა. მან ფორმის შესანარჩუნებლად რამდენჯერმე ივარჯიშა ქვედალიგელ „იმპულსსა" და ფუტზალის კლუბ „ტალ გრიგთან" ერთად. განამებულ ჩისამბას ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა სამშობლოში.

კიდევ კარგი, ქართული ვარიანტი გამოუჩნდა. საქართველოში მას ძალიან თბილად დახვდნენ. „ბაიაში" ადაპტაცია საერთოდ არ გასჭირვებია და ზუგდიდელ გულშემატკივრებს მალე შეაყვარა თავი.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ამ ისტორიიდან? ძალიან მარტივი და ტრივიალური. სომხურ კლუბებში მენეჯმენტი და პროფესიონალიზმი ნულს უტოლდება. სწორი სელექციისთვის ფულის ხარჯვა არაა იმდენად მთავარი, რამდენადაც საგნის ცოდნა და სწორად მუშაობა.

რაც შეეხება სპორტულ მედიცინას (რომელიც სომხეთში, ფაქტობრივად, არც არსებობს), აქ სერიოზული ინვესტიციების გარეშე არაფერი გამოვა. დღესდღეობით, არც ერთ სომხურ კლუბს არ შეუძლია თანამედროვე სამედიცინო ცენტრის აშენება და მაღალი დონის სპეციალისტების მოწვევა. არადა, ამის გარეშე სომხური ფეხბურთისა და საერთოდ, სპორტის განვითარება უტოპიად დარჩება".

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ლეგიონის უქმეები

# ყოფილ გუნდს მოუგო და გალიდერდა



გიორგი ადამია ნეფთჩის წინააღმდეგ

ქართველი მწვრთნელის, **კახა ცხადაძის** „ინტერი" აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი მას შემდეგ გახდა, რაც ბაქოურმა გუნდმა 4:2 დაამარცხა აუტსაიდერი „სტანდარდი", კახას ყოფილი გუნდი. 8 ტურის შემდეგ „ინტერს" 19 ქულა აქვს და 2 ქულით უსწრებს „ყარაბახს". ლიდერის და აუტსაიდერის მატჩმა „შაფაზე" 850 მაყურებელი მოაგროვა. ცხადაძემ კარში კვლავ არ დააყენა **გიორგი ლომაია**, მის ნაცვლად ისევ **რაიმონდო ვილსონმა** ითამაშა, საქართველოს ნაკრების გოლკიპერი კი სათადარიგო იყო. ბულგარეთთან განადგურების შემდეგ გიორგის ჯერ არ უთამაშია. სასტარტოში იყო **კახაბერ მჟავანაძე, დავით ოდიკაძე** კი 65-ე წუთზე გამოჩნდა **ანდრეის რუბინსის** ნაცვლად. სტუმართა რიგებში კი **გიორგი სეთურიძემ** და **სერგი ორბელაძემ** ითამაშეს. ამ მატჩამდე ცხადაძის მეტოქეს მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** მოუხსნეს და მას ქართველი ასისტენტებიც, **გოჩა თამაზაშვილი** და **ბადრი კვარაცხელია** მიაყოლეს. მატჩის 59-ე წუთზე მჟავანაძემ საშუალო მანძილიდან ლამაზი დარტყმით აზერბაიჯანში თავისი გოლების ანგარიში გახსნა.

ბაქოურმა დერბიმ „ბაქოსა" და „ნეფთჩის" შორის მაყურებელთა დიდი ინტერესი არ გამოიწვია, „ტოფიკ ბაჰრამოვზე" მატჩს 300 მაყურებელი დაესწრო. **გიორგი ადამიამ** კი თავი ვერაფრით გამოიჩინა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და 55-ე წუთზე შეცვალეს. **ამირან მუჯირმა** მეორე ტაიმი ითამაშა. „ბაქო" 0:2 დამარცხდა. გუნდში აშკარად კრიზისია, „ბაქო" 7 ქულით მე-9 ადგილზეა 12-გუნდიან პრემიერლიგაში.

ზაქათალის „სიმურგი" „ხაზარს" ეწვია და 0:3 დამარცხდა. სამმა ქართველმა საინგილოს გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა (**კახა ჩხეტიანი, თემურ ლონლაძე** და **დავით ბოლქვაძე**), ტრავმირებული **რომან ახალკაცი** არ გამოჩენილა. ლენქორანში შეხვედრას 6,5 ათასი მაყურებელი დაესწრო. როგორც საქართველოში, აზერბაიჯანშიც ფეხბურთს გულშემატკივარი მხოლოდ რეგიონებში შერჩა. ჩვენებურთაგან ერთადერთი თემურ ლონლაძე დაემუქრა მასპინძელთა კარს შორიდან, მაგრამ „ხაზარის" მეკარემ იყოჩაღა. „სიმურგი" 16 ქულით მე-3 ადგილზეა.

„გაბალამ" სტუმრად 1:0 დაამარცხა „თურანი" და 14 ქულით მე-5 ადგილზე დამკვიდრდა, სტუმართა ქართველი ფლანგელი **რევაზ გეწაძე** მოედანზე 88-ე წუთზე გამოჩნდა. **გოგა ბერაიას** კი დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. ევლახში „ქარვანმა" ერთ-ერთ ლიდერ „ყარაბახს" ქულები აართვა - 1:1. **ალექსანდრე ინწკირველმა** შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა შორის, ხოლო **მიხეილ მესხი** დიდი ხანია არ გამოჩენილა „ქარვანის" რიგებში.

შულავანის „ოლიმპიკი" შინ „მულანს" დაუზავდა - 0:0. მატჩში მსაჯმა 10 ყვითელი ბარათი დაარიგა. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად **ნუგზარ კვირტიამ** ითამაშა, **რამაზ ჯაბნიძე** კი 54-ე წუთზე შემოვიდა. **რომან გოგინაშვილი** მესამე ტურია არ ჩანს. „ოლიმპიკი" 9 ქულით მე-8 ადგილზეა.

სომხეთის ჩემპიონატში ერთ დროს სომხური ფეხბურთის ფლაგმანი ერევნის „არარატი" პირველ ლიგაში გავარდა. ასე რომ, **გიორგი ალავიძეს, ბიძინა ცინცაძეს** და **გიორგი კრასოვსკის** გაისად ან პირველ ლიგაში მოუწევთ თამაში, ან - კლუბის გამოცვლა. „მიკამ" კი ჩემპიონობის რეალური შანსი დაკარგა, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე **სოსო გრიშიკაშვილისა** და **ირაკლი ცანავას** გუნდი „პიუნიკს" 4 ქულით ჩამორჩება.

დასასრულს უახლოვდება ბელარუსის პირველობაც, ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ტურით ადრე მინსკის „მტზ-რიპო" 29 ქულით მე-11 ადგილზეა. ეს არცთუ კარგი შედეგია, მაგრამ ერთი-ორი თვის წინათ გუნდს გასავარდნად ჰქონდა საქმე. **გივი კვარაცხელიას** გუნდი მუდმივ ჩემპიონ ბატე-ს ესტუმრა და 2:2 ეთამაშა. ქართველმა ნახევარმცველმა მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო, 71-ე წუთზე კი ის შეცვალეს. *„კვარაცხელია იმიტომ შევცვალე, რომ ამ ეტაპზე არ არის მზად 90 წუთი ითამაშოს. ბოლოს ველარ ასწრებდა დაცვაში, ჩვენ კიდევ ამ პოზიციაზე დასვენებული ფეხბურთელი გვჭირდებოდა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ „მტზ-რიპოს" მწვრთნელმა **სერგეი ციკალომ**. 30 წლის ქართველი 25 თამაშიდან 11 გოლით გუნდის ბომბარდირია, არადა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს.

**ნუკრი მანჩხავა** სერიოზული ტრავმის გამო მეორე წრეში დააკლდა ჟოდინოს „ტორპედოს". მისმა გუნდმა ბოლო ტურში მინსკში „დინამოსთან" ფრე გაახერხა - 0:0. ჟოდინოელები 36 ქულით მე-4 ადგილზე არიან და ევროთასების საგზურისთვის იბრძვიან.

**კლიმენტი წიტაიშვილის** „ნეა სალამინამ" უკიდურესად ცუდად დაიწყო ჩემპიონატი, გუნდი 6 ტურის შემდეგ 2 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. ბოლო ტურში გუნდი სტუმრად ენპ-ს დაუზავდა - 1:1. 30 წლის ქართველმა ფორვარდმა მოედანზე პირველი ტაიმი დაჰყო. კიდევ უფრო ცუდად აქვს საქმე **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსს", რომელიც 1 ქულით ბოლო ადგილზეა. „ერმისში" თამაშობს **ლევან მაღრაძე**, ამ გუნდმა 5:3 დაამარცხა „არისი", ლევანმა შეუცვლელად ითამაშა. „ერმისი" 4 ქულით მე-12 ადგილზეა. **ირაკლი გეფერიძის** აეპ-ი „ანართოსისმა" 3:0 გაანადგურა. ქართველს არ უთამაშია, მისი გუნდი 7 ქულით მე-9 ადგილზეა. მოკლედ, კუნძულზე ქართველთა გუნდები აუტსაიდერები არიან.

ყაზახეთის ჩემპიონატში „ატირაუმ" შინ „ყიზილჟარს" 4:1 მოუგო. ამ შეხვედრაში მასპინძელთა ფლანგელმა **გიორგი ფეიქრიშვილმა** ჯერ 42-ე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო მეორე ტაიმის მე-2 წუთზე გოლი გაიტანა. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუმ" 1:1 ითამაშა „ორდაბასის" წინააღმდეგ, ქართველი მცველი სათადარიგო იყო. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, „ჟეტისუ" 41 ქულით მე-5 ადგილზეა და ჩემპიონატსაც ამ ადგილზე ჩაამთავრებს, „ატირაუ" 37 ქულით მე-6 ადგილზეა.

ირანის პრემიერლიგაში **ჯაბა მუჯირის** „ფოლადი" 7 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. „ფოლადმა" ჯაბას გარეშე უმასპინძლა „ესტეღლალს" და 1:1 დაუზავდა.

ლატვიაში „მეტალურგსთან" გამანადგურებელი მარცხის შემდეგ რიგის „სკონტომ" მოულოდნელად სტუმრად დაამარცხა „ვენტსპილსი" - 2:0. **დავით გამეზარდაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, „სკონტოს" კაპიტანს გოლი არ გაუტანია. „სკონტო" 66 ქულით მესამე ადგილზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წუხელ...

# ლადო გოლი: ექვსჯერ შვიდ მატჩში

გუშინ ისრაელის ჩემპიონატის მორიგ ტურში ჩემპიონმა ჰაიფას „მაქაბიმ" „ბეითარს" უმასპინძლა და **ლადო დვალიშვილის** გოლის წყალობით 2:1 დაამარცხა. ეს მოხდა 54-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო. ამ გოლით (მეექვსე ამ ჩემპიონატში) საქართველოს ნაკრების ფორვარდი თანაგუნდელ **შლომი არბაიტმანს** დაეწია. 7 ტურის შემდეგ „მაქაბის" ქულათა მაქსიმუმი (21) აქვს.

**ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელმა" სტუმრად აჰი ნაზარეთის „მაქაბი" გაანადგურა - 4:0. ჩვენებური ნახევარმცველი სათადარიგო იყო, თუმცა მოედანზე უკვე 29-ე წუთზე გამოჩნდა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო. მენთეშაშვილის გუნდი 12 ქულით მე-4 ადგილზეა.

დანიის ჩემპიონატში **დავით დევდარიანის** „ორჰუსი" შინ „ნორდსილანდთან" დამარცხდა - 0:2. ქართველი ნახევარმცველი 65-ე წუთზე შეცვალეს. „ორჰუსი" 20 ქულით მე-6 პოზიციაზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაპოლი

## დე ლაურენტისი დარწმუნებულია: მილანს მოვუგებთ!

ხვალ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პაექრობა, რომელიც ნეაპოლში გაიმართება. „ნაპოლი“ „მილანს“ უმასპინძლებს და მრისხანე მეტოქისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამართვას აპირებს. სამხრეთელთა პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი „როსონერის“ დამარცხებას მოახერხებს:

*„მწამს, რომ სამ ქულას სწორედ ჩვენ მოვიპოვებთ. ვუყურე „მილანის“ თამაშს „კიევოსთან“ და მოხიბლული დავრჩი - ლეონარდოს გუნდმა ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშა და გამარჯვება დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ გამარჯვება სწორედ ჩვენ დაგვრჩება. „ნაპოლი“ აღმავლობის გზაზეა და ფლორენციაში მოპოვებული გამარჯვება ამის ნათელი დადასტურება გახლდათ. „ფიორენტინა“ აშკარად დავჯაბნეთ და სამი ქულა დავიმსახურეთ. „მილანთან“ ჩვენმა გულშემატკივრებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა, მათი მხარდაჭერის დიდად მეიმედება“.*

აურელიო დე ლაურენტისმა სატრანსფერო საკითხებზეც ილაპარაკა: *„კარგით, გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ უდიდესი სურვილი მაქვს, მომავალ სეზონში „ნაპოლის“ მაისურით ჯამპაოლო პაცინი ვიხილო. შესანიშნავი ფორვარდია, გოლზე დაგეშილი, მე კი სწორედ ასეთები მომწონს. ყველაფერს ვილონებ, რომ პაცინი გადმოვიბირო“.*

ჟურნალისტების ვარაუდით, ჯამპაოლოს „ნაპოლიში“ გადასვლის ალბათობა საკმაოდ დიდია. საქმე იმაშია, რომ მიმდინარე სეზონში „სამპდორიას“ რიგებში ბრწყინვალედ ასპარეზობს **დანიელე მანინი**, ფეხბურთელი, რომელიც სწორედ „ნაპოლიდან“ გადავიდა გენუურ კლუბში. თუმცა, ფეხბურთელი სანახევროდ ისევ სამხრეთელებს ეკუთვნის - ამ ბერკეტის ამოქმედება დე ლაურენტისს თავისუფლად შეუძლია, ანუ, პაცინის სანაცვლოდ გენუელებს თანხასთან ერთად, მანინის სრულად დათმობა შესთავაზოს.

**ლაშა ნიკლაური**


აურელიო დე ლაურენტისი



მილანი

## ლეონარდო: ევროპაში თამაში უფრო ადვილია

### ნესტა დიდას ემადლიერება

„მილანმა“ ზედიზედ მესამე პაექრობა მოიგო, თანაც ისე, რომ შეხვედრის მსვლელობისას მდევრის როლში გახლდათ. ამბობენ, მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო და მაშინ, ქებათა ქება **ლეონარდოს**, მისი გუნდი ანტრაქტის შემდეგ სასწაულებს სჩადის. მართლაც არ არის სახუმარო საქმე, მიჯრით სამჯერ შემოატრიალო შეხვედრის ჩარხი საშენოდ. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია - „კიევო“ „მილანმა“ **ალესანდრო ნესტას** დუბლით დაამარცხა. სანდრო რომ ბრწყინვალე მცველია, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ შეტევაში თამაშით აქამდე ნამდვილად არ გამოირჩეოდა. გატანილი გოლები მან ემოციურად აღნიშნა, ნამატჩევს კი შემდეგი განაცხადა:

*„ბედნიერი ვარ, რომ გუნდისთვის სარგებელი მომაქვს. თავს არ ვზოგავ და ვცდილობ, თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯო. ჩემს ასპარეზობას ურიგოს ვერ ვუწოდებ, მაგრამ გადამეტებაც არ ივარგებს. თამაში „მილანმა“ მოიგო და არა ნესტამ. ჩემი აზრით, გამარჯვებაში არანაკლები წვლილი ნელსონ დიდამ შეიტანა, ვინაც ბოლო წუთზე ფანტასტიკური „სეივი“ გააკეთა და მეტოქეს გოლის გატანა არ დაანება. სწორედ ამან გაგვიხსნა გზა გამარჯვებისკენ, რისთვისაც ბრაზილიელ კიპერს მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო. დიდასთვის ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში ფსიქოლოგიური კუთხით - „რეალთან“ მან ბავშვური შეცდომა დაუშვა, თუმცა ძალები მოიკრიბა და „კიევოსთან“ მართლაც ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა. მჯერა, რომ ნელსონი ასევე გააგრძელებს ასპარეზობას, მისი იმედი ყოველთვის გვქონდა, გვაქვს და გვექნება“.*

ჟურნალისტების წინაშე ლეონარდოც წარდგა, ვინაც ბოლოდროინდელი წარმატებებით უზომოდ ბედნიერია: *„ყველაფერი თავის ადგილზე დგება, გუნდმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგო, რამაც დიდი სიხარული მომანიჭა. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებსაც ჩემს მიმართ უარყოფითი ემოცია არ გამოუხატავთ, არადა, კარგა ხანს წარუმატებლად ვასპარეზობდით და ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდათ. ამ გამარჯვებებმა ნათლად დაგვანახვა, რომ სწორი გზით მივდივართ. მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და მუშაობა გავაგრძელოთ. ბევრს მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს სხვა განწყობით ვთამაშობთ, ეროვნულ ჩემპიონატში კი მოტივაცია არ გვყოფნის. არადა, ეს ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, იტალიის ჩემპიონატში გაცილებით რთულია თამაში და ეს სიტყვები ნუ გაგაკვირვებთ. აპენინური გუნდები ძალიან მჭიდროდ გეთამაშებიან, სივრცეებს არ გაძლევენ და მუდმივ პრესინგში გამყოფებენ. ევროპაში კი ყველაფერი სხვაგვარად არის, მეტოქე გიტევს, თვითონაც თამაშობს და შენც გაძლევს თამაშის საშუალებას. ჩემი შეგირდები ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას და მათთვის სივრცეებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანია, ორივე ფრონტზე თანაბარი წარმატებით ვიასპარეზოთ, ამისთვის კი მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო“.*

ამასობაში, სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა **ადრიანო გალიანიმ** და შემდეგი განაცხადა: *„ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აქტიურობას ნამდვილად არ ვგეგმავთ, რადგან გუნდი ისედაც კარგად არის დაკომპლექტებული. ერთადერთი ფეხბურთელი დაგვემატება, ვისაც წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. ეს გახლავთ დევიდ ბექჰემი - გადაწყვეტილია, რომ ინგლისელი იანვარში უკვე ლეონარდოს განკარგულებაში იქნება. ბევრს ლაპარაკობენ, რომ კლას-იან ჰუნტელაარი ზამთარში „მილანს“ დატოვებს, ეს ასე ნამდვილად არ არის. ჰოლანდიელი მეტოქის საჯარიმოში ძალიან სახიფათოა, უბრალოდ, ჯერ ადაპტაციის პროცესს გადის. სიმშვიდე სჭირდება და ნახავთ, როგორ მოუმატებს“.*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

## სნეიდერი გამოკვლევაზე

**უესლი სნეიდერი** „ინტერში“ ახალი გადასულია, თუმცა უკვე მოასწრო თავის გამოჩენა და გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. გასულ ტურში, „ნერაძურიმ“ „კატანია“ დაამარცხა და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში - კმაყოფილი გახლდათ **ჟოზე მოურინიო**, რომელმაც ნამატჩევს მხოლოდ იმაზე დაიწუწუნა, სამწუხაროდ, სნეიდერი დაგვიშავდაო.

ჰოლანდიელ ნახევარმცველს დღეს გამოკვლევას ჩაუტარებენ და ზუსტად გვეცოდინება, თუ რამდენ ხანს მოუწევს უქმად ყოფნა. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სნეიდერი ორ უახლოეს შეხვედრას ყველა შემთხვევაში გამოტოვებს - ხუთშაბათს, სერია A-ს მორიგი ტურის ეგიდით, „ინტერი“ „პალერმოს“ დაუპირისპირდება, მომავალ უქმეებზე კი მილანელებს „ლივორნოსთან“ მოუწევთ შეჭიდება.

ამ შეხვედრებს სრულ მზადყოფნაში ხვდება **სალი მუნტარი**. განელ შუახაზელს ბოლო პერიოდში სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ბევრი იმასაც ამბობდა, სალი დეკემბერში გუნდს გამოიცვლისო. „კატანიასთან“ მუნტარიმ, როგორც იქნა თავი გამოიჩინა და მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ნამატჩევს აფრიკელი ბედნიერი გახლდათ: *„ბოლო პერიოდში საკუთარ თავზე ძალიან ბევრს ვმუშაობდი და ვცდილობდი, ხარვეზები აღმომეფხვრა. დღესაც ლაპარაკობენ იმაზე, რომ უახლოეს მომავალში „ინტერი“ უნდა დავტოვო - რა გითხრათ, პირადად მე ასეთი გეგმები არ მაქვს და თუ ვინმე წყვეტს ჩემს მაგივრად, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ჩემი მიზანია, რომ გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. ამიტომ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გოლი გავიტანე და გულშემატკივრები გავახარე“.*

აქვე, კიდევ ერთი ინფორმაცია „ინტერის“ შესახებ. როგორც „ტუტო სპორტი“ იუწყება, უახლოეს დღეებში დეიან სტანკოვიჩი კლუბთან ახალ, სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. სერბი ნახევარმცველი მიმდინარე სეზონს ფანტასტიკურად ატარებს, რაზეც თერთმეტ თამაშში გატანილი ხუთი გოლი ნათლად მეტყველებს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ახალი კონტრაქტი გაუმჯობესებული პირობებით იქნება შედგენილი, რომლის მიხედვითაც, სერბი წელიწადში ოთხ მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ სტანკოვიჩი 31 წლის გახლავთ და როგორც ჩანს, კარიერის დასრულებას ჯერ კარგა ხანს არ აპირებს.

**ლაშა ნიკლაური**

ტრავმები

## ტოტი და იაკვინტა დანის ქვეშ

**ფრანჩესკო ტოტის** გარეშე „რომა“ ძალიან ცუდად გამოიყურება, გასულ უქმეებზე დედაქალაქელებმა საკუთარ კედლებში აუტსაიდერ „ლივორნოსთან“ წააგეს. **კლაუდიო რანიერიმ** ნამატჩევს თავი იმართლა და ყველაფერი ტოტის არყოფნას დააბრალა:

*„ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ დავმარცხდით და ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. დამაგვირგვინებელ ფაზაში ბევრს ვცოდავთ, რასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზი. ფრანჩესკო ტოტის არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია, რომლის შევსებასაც ვერ ვახერხებთ. იმედია, კაპიტანი მალე გამოჯანმრთელდება და მოედანს დაუბრუნდება. გულშემატკივრებმა მარცხი მძიმედ აღიქვეს, თუმცა მინდა ისინი დავამშვიდო და ვუთხრა, რომ დაღმასვლას აუცილებლად აღმასვლა მოჰყვება - ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული“.*

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ტოტის ოპერაციას გაუკეთებენ. „რომას“ ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ფრანჩესკო სარეაბილიტაციო კურსით განიკურნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ოპერაცია ამ კვირაში ჩატარდება და გაცხადდება, რამდენი დრო დასჭირდება მოედანზე დასაბრუნებლად „ჯალოროსის“ კაპიტანს.

მარცხენა მუხლზე საოპერაციოა „იუვენტუსის“ ფორვარდი **ვინჩენცო იაკვინტაც**. ამის გამო მას 40 დღე გაუცდება.

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ნოიერი ზამთარში მიუნხენში?

### გერმანიის ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალისტი: საიდუმლო წყაროდან ვიცი, რომ მანუელი ზამთარში ბაიერნში გადავა და ამაზე ნებისმიერს დავენიძლავები!

**53 წლის** გიუნტერ იაუხი გერმანიაში ყველაზე ავტორიტეტულ და სერიოზულ ჟურნალისტადაა მიჩნეული. მის სიტყვას დიდი წონა აქვს. გიუნტერი გერმანიაში ძალიან პოპულარულია და სიტყვებს ჰაერზე არასდროს ისვრის. ასე რომ, წარმოუდგენელია, ეს განცხადება დაფიქრების გარეშე, არასერიოზულად გაეკეთებინა.

*„ზუსტად ვიცი, რომ მანუელ ნოიერი ზამთარში „ბაიერნში“ გადავა. შემიძლია, ნებისმიერს დავენიძლავო, რომ ეს ტრანსფერი განხორციელდება,“* - განაცხადა იაუხმა შაბათს, „სქაი-სპორტის“ თოქ-შოუში. ამ განცხადების შემდეგ, „ბაიერნის“ ქომაგებმა უკვე წარმოიდგინეს „ბაიერნის“ ფორმაში გამოწყობილი ნოიერი.

ცნობილი ჟურნალისტის პროგნოზს პრეისტორიაც აქვს: „ბაიერნის“ მენეჯერ **ული ჰიონესს** „შალკეს“ მეკარის შეძენა ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა და თვითონ მანუელიც (კონტრაქტი 2012 წლამდე) თანახმა იყო, კარიერა რეკორდმაისტერში გაეგრძელებინა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, რადგან ნოიერს გელზენკირხენის დატოვება **ფელიქს მაგათმა** აუკრძალა. „დესპოტმა ფელიქსმა“ თქვა, არაფრისდიდებით არ დავუშვებ იმას, რომ „შალკემ“ ისეთი ფიგურა დაკარგოს, როგორიც ნოიერიაო. და რატომ უნდა შეეცვალა მაგათს მას მერე აზრი?

თოქ-შოუში იაუხთან ერთად, „ბაიერნის“ პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერიც** იჯდა, რომელმაც თქვა: *„ბაიერნი“ ყოველთვის შეეცდება მანუელ ნოიერის შეძენას, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სანამ „შალკეს“ ფელიქს მაგათი წვრთნის, არაფერი გამოგვივა, რადგან მე კარგად ვიცნობ ფელიქსს. ის ნოიერს არ დათმობს! ისე კი, ჩემი აზრით, ნოიერი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და ძალიან გამიხარდებოდა, ჩვენთან რომ გადმოვიდეს.“*

ბეკენბაუერმა ძალიან კარგად იცის, რომ „ბაიერნს“ ნოიერის გადაბირების შანსი გაეზარდა, რადგან „შალკე“ ვალებში იხრჩობა - როგორც ამბობენ, გელზენკირხენულ კლუბს დღეისათვის 230 მილიონი ევრო აწევს ვალად. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულში, როცა მაგათმა ნოიერის ტრანსფერს ვეტო დაადო, მან „შალკეს“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდა...

**გოტფრიდ ლენცი**



ჟურნალისტმა გიუნტერ იაუხმა მანუელ ნოიერის ბედი ბაიერნს დაუკავშირა

გამოხმაურება

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!


სერ ალექსი მსაჯებს არ ინდობს


ერთ-ერთი საკამათო ეპიზოდი ფერგიუსონის აზრით. მანჩესტერის თავკაცი აცხადებს, რომ კარაგერი გასაძევებელი იყო

**ალექს ფერგიუსონის** გამოსწორება არ იქნება. რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ბრალდება წაუყენა - გეხსომებათ, ცნობილი ისტორია მსაჯ **ალან უაილის** ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებით - და თავის გასამართლებლად დრო მისცა. მან კი კვირა სალამოს „ენფილდ როუდის“ საპრესკონფერენციო დარბაზიდან მორიგ მსაჯს შეუტია. ამჯერად სერ ალექსის რისხვა „ლივერპულისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრის არბიტრ **ენდრიუ მარინერს** დაატყდა თავს. ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა განაცხადა, რომ მარინერი ტრიბუნების გავლენის ქვეშ მოექცა და გადაწყვეტილებებს შესაბამისად იღებდა:

„ჩვენ მსაჯის ორი შეცდომის გამო წავაგეთ, - განაცხადა დიდმა შოტლანდიელმა მწვრთნელმა, რომელიც ნაგებას, როგორც წესი, სხვას აბრალებს ხოლმე, - მაგალითად, პირველ ტაიმში კარაგერზე პენალტი უნდა დანიშნულიყო. მაიკლ კარიკთან ორთაბრძოლის დროს მან ჩვენი ფეხბურთელი აშკარად მოჩეხა. თუმცა უფრო თვალში საცემი მეორე ეპიზოდი იყო, რომელსაც, ეჭვი არ არის, ყველა დაინახავდა. ეს მეორე ტაიმის ბოლოს მოხდა, როდესაც იმავე კარაგერმა საჯარიმოს მისადგომებთან მაიკლ ოუენი წააქცია. ეს ბოლო იმედის ჯარიმა იყო და ლივერპულელი უნდა გაეგდოთ. კარაგერი საუკეთესო მცველია, რომლის გარეშე მოწინაალმდეგეს ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ მარინერმა კარაგერს წითელი არ ამოუღო, რადგან „ენფილდ როუდზე“ მოსული ფანები ფანატიკურად იქცეოდნენ და მსაჯს ყოველი გადაწყვეტილების მიღება დიდი ზეწოლის ქვეშ უხდებოდა. გახსოვთ, რატომ გააფრთხილეს პატრის ევრა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ტორესი საკუთარ ქუსლს წამოედო და წაიქცა. ვიდიჩის შემთხვევა კი ასე იყო: მან, რასაკვირველია, წესი დაარღვია, მაგრამ გაფრთხილება, რომელიც უკვე მეორე იყო, მაყურებლის ზეწოლის გამო მიიღო. ისეთი ატმოსფერო, იმ სალამოს „ენფილდზე“ რომ იყო, ნებისმიერი მსაჯისთვის ძნელი გასაძლებია. იქნებ ყველაფერი მარინერის გამოუცდელობის ბრალი იყო? რამდენად გამოცდილია მარინერი, დაბეჯითებით ნამდვილად ვერ ვიტყვი“.

ახლა კი, მოდი, „დეილი მეილი“ გადავშალოთ და წარსულში ცნობილი მსაჯის **გრემ პოლის** ტრადიციულ სვეტს ჩავხედოთ. მოგეხსენებათ, ორშაბათობით პოლი უქმეებზე ჩატარებულ ტურს მსაჯის თვალით აფასებს. თუმცა, პოლის მოსაზრებათა ამოსაცნობად მისი სტატიის დაწერილებით წაკითხვა საჭირო არ არის, რადგან წერილს დიდი ასოებით ასეთი სათაური აწერია: **„ბოდიში, სერ ალექს, თქვენ მტყუანი ხართ“.**

„კიდევ ერთი დიდი მატჩი ჩატარდა და კიდევ ერთ მსაჯს დაატყდა თავს რისხვა, - წერს პოლი, - ამიტომ, თავიდან, მოდი, მისი გადაწყვეტილებები განვიხილოთ. ამ პროფესიის ადამიანთათვის ხომ ძალიან გულსატკენია, როდესაც ამა თუ იმ ეპიზოდს სამართლიანად განსჯიან, მაგრამ რისხვასაც სწორედ ამ ეპიზოდის გამო დაიტეხენ თავს. ასეთ შემთხვევებში, მსაჯის კრიტიკა, როგორც წესი იმ ადამიანებს სჩვევიათ, რომელთაც წესების ზედაპირულად გადახედვა უყვართ. წესების თანახმად კი, იმისათვის, რომ ფეხბურთელი საგოლე შეტევის ჩაშლისთვის გააძევონ, ის, ვისაც იგი წააქცევს, მხოლოდ და მხოლოდ საჯარიმოს ხაზისკენ კი არა, უშუალოდ კარისკენ უნდა მიისწრაფვოდეს (სიტყვასიტყვით წესი ასეა: ფეხბურთელი უნდა გააძევონ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგეს, რომელიც ამ ფეხბურთელის გუნდის კარს უშუალოდ ემუქრება, ჩაუშლის აშკარა საგოლე შეტევას ისეთი დარღვევით, რომლის გამოც ჯარიმა ან პენალტი ინიშნება - რედ). ასე და ამგვარად, 87-ე წუთზე, როდესაც ჯეიმი კარაგერმა მაიკლ ოუენი წააქცია, ენდრი მარინერის წინაშე სრულიად სტანდარტული ამოცანა იდგა: უნდა დაენიშნა ჯარიმა, ხოლო კარაგერისთვის ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. ხაზგასმით ვამბობ: კარაგერი - როგორც ეს ალექს ფერგიუსონსა და სატელევიზიო მიმომხილველ-ექსპერტებს ეგონათ - გასაძევებელი არ იყო. მარინერი მართალი გახლდათ მაშინაც, მსაჯის წამატებულ წუთებში ნემანია ვიდიჩს მეორე ყვითელი ბარათი რომ ამოუღო. აქაც ზუსტად ის შემთხვევა იყო, რაც კარაგერის შემთხვევაში - ვიდიჩმა დირკ კუიტი კარიდან შორს, სადღაც შუა მოედანში წააქცია, რისთვისაც მსაჯმა იგი გააფრთხილა და დანიშნა ჯარიმა. სხვა ამბავია, რომ ვიდიჩისთვის ეს ყვითელი მეორე აღმოჩნდა, თორემ ბოლო იმედის ჯარიმისთვის პირდაპირი წითლით არც ვიდიჩი გახლდათ გასაძევებელი. ბოლოს კი გავიხსენოთ კარაგერისა და მაიკლ კარიკის ორთაბრძოლა. კარაგერმა სუფთად ითამაშა. მან ეპიზოდს ჩამოასწრო და ბურთზე ითამაშა. და კიდევ, სერ ალექსმა ეჭვი გამოთქვა, რომ მარინერი შესაძლოა ამ ეპიზოდებში გამოუცდელობის გამო ვერ გაერკვა. დიახ, ეს მსაჯი კარიერაში პირველად გაუძღვა პრემიერლიგის დიდი ოთხეულის შეხვედრას, მაგრამ ის საერთაშორისო არბიტრია, ინგლისელთა შორის მეხუთედ აღიარებული, რომელიც პრემიერლიგას აგერ უკვე ექვსი წელიწადია ემსახურება და სამოც თამაშზე მეტი აქვს ჩატარებული“.

# ...რაც გეკუთვნის და არ გეკუთვნის

„არსენალმა“ კვირას მართლაც კარგი შანსი გაუშვა ხელიდან: „ვესტ ჰემთან“ პირველი ტაიმის შემდეგ **რობინ ვან პერსისა** და **ვილიამ გალასის** გოლებით 2:0-ს იგებდა, მაგრამ მეორე ნახევარში **კარლტონ კოულისა** და **ალესანდრო დიამანტის** დარტყმები გაუშვა და ფრეს დასჯერდა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პენალტი, რომელიც დიამანტიმ გაიტანა შესაძლოა არც დანიშნულიყო - ეგრეთ წოდებულ ასპროცენტიანთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. „არსენალს“ რომ მოეგო, მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს“ თითქმის წამოეწეოდა - მათ შორის სხვაობა ერთი ქულალა იქნებოდა, არადა, თამაში ჩრდილოლონდონელებს ნაკლები აქვთ. ერთი სიტყვით, „მეთოფეებმა“ ვერ იყოჩაღეს და მწვრთნელი **არსენ ვენგერი** გააბრაზეს.

მატჩის შემდეგ ვენგერი აღშფოთებას ვერ მალავდა: „როდესაც გეკუთვნის და შეგიძლია, ქულები ხელიდან არ უნდა გაუშვა. ის კი არა, ხანდახან ისეთი ქულებიც უნდა მიითვალო, რომლებიც არ გეკუთვნის. დღეს, სრულიად დამსახურებული სამი ქულა დავკარგეთ, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თამაშს რაღაც დავაკელით, მაქსიმუმი არ გავიღეთ, რისი გაკეთებაც გვმართებდა, არ გავაკეთეთ. ხომ ხედავთ, ცხრილის თავში ყველაფერი ღიაა. იქ, ბევრი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს და დარწმუნებული გახლავართ, სეზონის ბოლომდე ასე გაგრძელდება“.

პრემიერლიგის წესისა და ტრადიციის თანახმად, ვენგერიც მსაჯის, ამ შემთხვევაში **კრის ფოის** გადაწყვეტილებებით გახლდათ ძალიან უკმაყოფილო. უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელი იმ ჯარიმას აპროტესტებდა, რომელმაც „ვესტ ჰემის“ პირველი გოლი მოიტანა, თუმცა ფრანგს ერთი კარგი თვისებაც აღმოაჩნდა, საკუთარი ფეხბურთელის შეცდომაც აღიარა - ამ ეპიზოდში ვენგერმა მეკარე **ვიტო მანონეს** დასდო ბრალი. რაც შეეხება პენალტის ეპიზოდს, „არსენალის“ მწვრთნელის რწმენით, კოულმა **სონგ ბილონგთან** ორთაბრძოლის ეპიზოდი გაათამაშა.

ვენგერი: „რაც მოხდა ძალიან სამწუხაროა, მაგრამ „ვესტ ჰემმა“ ბოლომდე იბრძოლა და საქმე თავისთვის სასურველ დასასრულამდე ღირსეულად მიიყვანა. მართალია 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ თვით ასეთი ანგარიშის დროს, როდესაც თამაშსაც, თითქოს, ჩვენ ვაკონტროლებდით, გამარჯვებულის შეგრძნება არ მქონდა. ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავუშვით. ძალიან კეთილი უნდა იყო, მეტოქეს ასეთი საჩუქარი რომ უძღვნა. მართალი გითხრათ, ვფიქრობ, რომ ამ ორი სტანდარტულიდან არც ჯარიმა იყო დასანიშნი და არც პენალტი, მაგრამ მსაჯის შეცდომებზე ვერ ავეწყობით. მაგალითად, „ვესტ ჰემის“ პირველი გოლის დროს, მეგონა, ჩვენი მეკარე ბურთს ცხვირწინ კი არა, კუთხურზე მოიგერიებდა“.

„ვესტ ჰემის“ იტალიელი მწვრთნელი **ჯანფრანკო ძოლა** კი მიმდინარე სეზონში კვლავ ერთადერთი მოგებით მიდის.

„მართალია, „არსენალი“ არ დაგვიმარცხებია, მაგრამ თამაშმა სწორედ გამარჯვების შეგრძნება დაგვიტოვა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია - ბრძანა ძოლამ - მთავარია, რომ ჩვენ საბრძოლო სულისკვეთება ბოლო წამამდე არ დაგვიკარგავს. საბრძოლო სულისკვეთება ისაა, რის გარეშეც ვერაფერს გავხდებით. ძალიან კმაყოფილი ვარ და საკუთარი ფეხბურთელებით ვამაყობ. დიამანტი და ჰაინესი მოედანზე რომ შევიდნენ, თამაში შეცვალეს. ალესანდრო ის ფეხბურთელია, რომელიც დამატებით ნაპერწკალს გვმატებს“.


ბობი სამორამ (მარჯვნივ) კოლო ტურე და სიტის დაცვა გვარიანად გაანვალა

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** აღიარა, რომ მისმა გუნდმა სამეულში შესვლის საუცხოო შესაძლებლობა გაატანა ქარს. ისევე, როგორც „არსენალმა“ „ვესტ ჰემთან“, „ფულჰემთან“ შეხვედრაში „სიტიმაც“ მოიპოვა ორბურთიანი უპირატესობა - გოლები **ჯოლეონ ლესკოტმა** და **მარტინ პეტროვმა** გაიტანეს - მაგრამ ამდენივე გაუშვა და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. **როი ჰოჯსონის** ბიჭებისგან ისტლენდელთა კარში გოლები **დემიენ დაფმა** და **კლინტ დემპსიმ** შეყარეს. გარდა ამისა, ლონდონელთა თავდამსხმელებმა - **დიომანსი კამარამ** და **ბობი სამორამ** დაამტკიცეს, რომ მანჩესტერელებს დაცვაში გაცილებით მტკიცე თამაში მართებთ. „სპარკიდ“ წოდებულმა ჰიუზმა დაიჩივლა, რომ მის მცველებს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ სამუშაო. მან თქვა:

# 59 მილიონი გოლს უშვებს

„ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასეთი შედეგი ძალიან გულდასაწყვეტია. ორი გოლი გავიტანეთ, მოგებამდე ხელის გაწვდენალა გვქონდა დარჩენილი, მაგრამ განბილებულები დავრჩით. გოლები რომ გავიტანეთ, მერე საქმე ძალიან ოსტატურად და იოლად უნდა მიგვეყვანა ჩვენთვის სასურველ დასასრულამდე, ამის ნაცვლად კი მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნო, რომ „ფულჰემს“ შინ უკვე ორჯერ შევხვდით, ერთხელ თასზე და ერთხელაც ჩემპიონატში და ამ ორ შეხვედრაში ლონდონელთა გუნდმა ისეთივე წინააღმდეგობა გაგვიწია, როგორიც სხვა, ძლიერმა მეტოქეებმა. მოკლედ, ისინი არავის ჩამოუვარდებიან. რაც შეეხება იმ ორ ბიჭს, თავდასხმაში რომ ჰყავთ, ისინი ნამდვილად სახიფათონი არიან“.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ჰიუზის აღიარებით მეტოქე ხელწამოსაკრავი არ იყო, „სპარკი“ ფიქრობს, რომ მის გუნდს დაცვაში მაინც უკეთ მართებს თამაში. გუნდმა სეზონი ყოჩაღად დაიწყო, პირველ ოთხ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია, თუმცა ბოლო შვიდი თამაშიდან (ყველა შეჯიბრებაში ერთად) შვიდივეში გაუშვა.

მიმომხილველები ამ შედეგზე საუბრისას თავისდა უნებურად დახარჯული ფულის თვლაზე გადადიან. გოლის არგაშვების საქმეს „სიტიში“ სხვებთან ერთად ლესკოტი, **კოლო ტურე**, **უეინ ბრიჯი** და მეკარე **შეი გივენი** უყურებენ, ამ ხალხში კი დაახლოებით 59 მილიონი ფუნტია გადახდილი...

ჰიუზმა თქვა: „ყველამ ვიცოდით, რომ დემპსი სტანდარტული მდგომარეობის დროს არის საშიში, ჩაწოდებული ბურთის დარტყმა და გოლის გატანა შეუძლია, მაგრამ მაინც ვერაფერი მოვუხერხეთ. ჯარიმიდან ჩააწოდეს და ჩვენ მას თავურის დარტყმის საშუალება მივეცით. საერთოდ, სეზონი ცუდად არ დაგვიწყია. მართალია, მერე დაცვაში შეცდომებს ვუმატეთ, მაგრამ ცხრილში ის გრაფა, სადაც გაშვებული გოლების რაოდენობა წერია, შემაშფოთებელი ჯერ მაინც არ არის. თან, თუ დააკვირდებით, საერთოდ, მთელ შეჯიბრებაში გადის ბევრი გოლი. ამ მხრივ, მარტო ჩვენი კარი არ არის გამორჩეული. კიდევ, იმას მოგახსენებთ, რომ ხშირად პრობლემა პასების უზუსტობაში უფროა, ვიდრე დაკარგული ბურთის წართმევაში ანუ თავის ხარისხიანად დაცვაში. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ვცდილობთ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ. ჩვენი ყოველი ვარჯიში ამა თუ იმ კონკრეტული მიზნითაა გაჟღენთილი“.

შემდეგ ტურში „მანჩესტერ სიტი“ „ბირმინგემს“ სტუმრობს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

# აურზაური ღორის გრიპის გამო

## ვინ ურჩია ზიზუმ სამეფო კლუბს?



ლუდოვიკ ჟიული ღორის გრიპით დაავადდა

ეს ტური ყველაზე სკანდალური გამოდგა წლევანდელ სეზონში - საფეხბურთო ამბებმა უკანა პლანზე გადაინია, საქმეში კი N1H1 ვირუსი, იგივე ღორის გრიპი ჩაერთო. მთელი საფრანგეთი შეძრა ინფორმაციამ, რომლის მიხედვითაც „პარი სენ ჟერმენის" ორ ფეხბურთელს (მაშინ ორი იყო ცნობილი) ღორის გრიპის ნიშნები დაუდგინდა. ეს ორი უიღბლო **ლუდოვიკ ჟიული** და **მამადუ სახო** აღმოჩდნენ. „პარი სენ ჟერმენის" მატჩი კვირას უნდა გამართულიყო, დედაქალაქელები მარსელში ტურის ცენტრალურ მატჩში „ოლიმპიკს" უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ თამაშის დღეს საფრანგეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ ფეხბურთელთა უსაფრთხოების მიზნით შეხვედრა გადადო. კვირიდან მოყოლებული, პსჟ-ს ფეხბურთელები და სტაფი 72-საათიან კარანტინში არიან. ერთმა უბედურებამ მეორე შვა - პსჟ-ს ფანები უკვე მარსელში იმყოფებოდნენ, ეს შეხვედრა კი ისედაც მომატებული რისკის მატჩად იყო მიჩნეული და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, როცა პსჟ-ს და „მარსელის" ფანები სტადიონთან შეიტყობდნენ შეხვედრის გადადების შესახებ. „ველოდრომთან" და მის მიმდებარე ქუჩებში რამდენიმე ლოკალური ჩხუბი მოხდა, პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენება და ხულიგნების დაპატიმრებამ მოუწია. შემდეგ ჩხუბები უკვე რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალზე გაგრძელდა, სადაც პსჟ-ს ფანები შინ დასაბრუნებლად შეიკრიბნენ.

პოლიციამ მაინც შეძლო წესრიგის დამყარება, მაგრამ მეორე დღეს ახალი პრობლემა გაჩნდა, ისედაც არცთუ კარგი ურთიერთობის მქონე „მარსელისა" და პსჟ-ს ხელმძღვანელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. პარიზული კლუბის პრეზიდენტმა **რობენ ლაპრუმ** შემდეგი განუცხადა „ლე პარიზიენს": *„პროფესიული ლიგიდან მოგვთხოვეს, რომ ჩავსულიყავით მარსელში და გვეთამაშა. ჩვენც დავმორჩილდით. მარსელში შევიტყვეთ ჟიულის და სისხოს ტესტის შედეგები. გუნდი მარსელში საბრძოლო განწყობით, მოსაგებად ჩავიდა. ჩვენ კიდევ ერთი ფეხბურთელის, ჟერემი კლემანის ტესტის შედეგს ველოდებოდით. გაოცებული ვარ პროფესიული ლიგის შაბათის გადაწყვეტილებით. შაბათს პრეზიდენტმა ფრედერიკ ტირიემ განაცხადა, რომ თამაში აუცილებლად გაიმართებოდა. მე მას ვუთხარი, რომ ღორის გრიპთან მიმართებაში საჭიროა სიფრთხილე, რომ კლემანსაც იგივე ნიშნები აქვს, მაგრამ მისი იზოლირება გუნდისგან დროულად ვერ მოხერხდა. ავუხსენი, რომ არ იყო საჭირო საჯაროდ იმის გამოცხადება, რომ მატჩი აუცილებლად გაიმართებოდა".*

დღეისათვის პარიზული გუნდის 5 წევრს (4 ფეხბურთელი, ერთი ტექნიკური პერსონალიდან) დაუდგინდა ღორის გრიპი. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ამასობაში სცენაზე „მარსელის" პრეზიდენტი **ჟან-კლოდ დასიე** გამოვიდა. მან რადიო არ-ემ-სი-სთან ინტერვიუში პარიზელთა გუნდის ხელმძღვანელობა სასტიკად გააკრიტიკა: *„გამაგებინეთ ერთი, რომელს მოუვიდა თავში ღორის გრიპით დაავადებული ჟერემი კლემანის თვითმფრინავში სხვებთან ერთად ჩასმა. როგორ დავიჯეროთ, რომ ის მართლა დაავადებულია, ან თუ მართლა ასე იყო, მაშინ ნორმალურები არიან პსჟ-ს თავკაცები? რობენ ლაპრუს ახსნა-განმარტებანი ერთობ საეჭვოა. ამ ყველაფერმა კი მარსელის ქუჩებში სერიოზული ინციდენტები გამოიწვია, სადაც ხალხი დაშავდა".*

ახლა „მარსელი" და პსჟ მატჩის გამართვის ხელახალ თარიღზე ვერ თანხმდებიან. სამხრეთელებს უნდათ, რაც შეიძლება მალე გაიმართოს საფრანგეთში კლასიკად მიჩნეული მატჩი, თუნდაც ამ ოთხშაბათს, მაგრამ ფაქტია, რომ პსჟ-ს კარანტინის ვადა მანამდე არ გავა და გუნდს ოთხშაბათისთვის ვარჯიშიც არ ექნება გამართული. აღარაფერს ვამბობთ, რომ 4 დაავადებული ფეხბურთელი ვერაფრით გამოჯანმრთელდება ოთხშაბათისთვის. პროფესიული ლიგა აცხადებს, რომ მატჩი აუცილებლად ზამთრის შესვენებამდე გაიმართოს. ასეთი კი ორი თარილია, 11 ნოემბერი და 2 დეკემბერი. ორივე თარილი არ აწყობს „მარსელს" - პირველი საფრანგეთის ნაკრების პლეი ოფის მატჩის წინაა, მეორე ჩემპიონთა ლიგის („რეალის" წინააღმდეგ). *„ეს უკვე აღმაშფოთებელია. ასე იცავენ ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე ფრანგულ კლუბებს? ერთ თვეში 10 მატჩი გვიწევს, გაგონილა?"* - აღშფოთებულია „მარსელის" თავკაცი **დიდიე დეშამი**.

ამ ამბებმა მეორე პლანზე გადაწიეს საფეხბურთო მოვლენები, არადა, მე-10 ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ავიღოთ თუნდაც „ლიონის" განადგურება „სტად მუნიციპალ დუ რეიზე". ლიდერმა „ნიცასთან" 1:4 წააგო! „ლიონს" ტრავმის გამო ერთბაშად 9 ფეხბურთელი აკლდა. შეცვლაზე შესული **ედერსონის** გოლი 84-ე წუთზე ოდენ პრესტიჟისა გამოდგა. **კლოდ პუელს** მეტი რა დარჩენოდა და მეტოქე ქებაში ცამდე აიყვანა: *„ძალიან გაგვაოცა „ნიცამ", გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, ჩვენ მას ვერაფერი დავუპირისპირეთ. მათ ყველა მომენტი გამოიყენეს, ორჯერ შეუტიეს, ორჯერაც რემიმ ფლანგიდან ჩააწოდა და 4 გოლიც მივიღეთ".*

*„არა მგონია, რომ მატჩის შედეგი თამაშის მიმდინარეობას სამართლიანად ასახავს. ჩვენ ძალიან ბევრი მომენტი გავაცუდეთ, მაშინ, როცა „ნიცა" ეფექტურად იყენებდა თავის მომენტებს. არა უშავს, ეს მარცხი არ ნიშნავს დასასრულს, ჩვენ გველის „სენტ ეტიენთან" თამაში და კარგად უნდა მოვემზადოთ",* - განაცხადა „ლიონის" მცველმა **ჟერემი ტულალანმა**.

„ლიონის" მარცხით კარგად ისარგებლა ჩემპიონმა „ბორდომ" და „ლე მანის" განადგურებით (3:0) ლიდერობა დაიბრუნა. სხვათა შორის, ანგარიში ამ თამაშში... თბილისის „დინამოს" ყოფილმა გოლკიპერმა **დიდიე ოვონომ** გახსნა, მან საკუთარ კარში გაიტანა. ერთი პირობა კი ვიფიქრეთ, **პაულო დუარტე** მოედანზე 19 წლის **გიორგი მაკარიძეს** შეუშვებდა, მაგრამ მწვრთნელმა ეს მაინც ვერ გარისკა. ასე რომ, ქართველის დებიუტი ლიგაში ისევ გადაიდო.

*„ბიჭები კმაყოფილნი უნდა იყვნენ თამაშით. ჩვენ სერიოზულად მივუდექით „ლე მანთან" თამაშს და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. დიდი ხანია თამაშიდან არ გაგვიტანია და ეს დღეს შევძელით. თამაშით ჩვენც ვისიამოვნეთ და გულშემატკივარმაც",* - განაცხადა „ბორდოს" თავკაცმა **ლორან ბლანმა**.

„მონაკომ" ბრაზილიელი **ნენეს** დუბლის წყალობით სტუმრად „ბულონის" დამარცხება შეძლო. ნენემ ორივე გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა, ორივე საჯარიმო დარტყმით. საბრალო „გრენობლს" სულ 2 წუთი აშორებდა სეზონის პირველი ქულის მოპოვებამდე, მაგრამ სტუმარმა „ნანსიმ" პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა და **იუსუფ ჰაჯიმ** მასპინძელთა იმედებს ცივი შხაპი გადაასხა.

ფრანგმა ვარსკვლავმა **ზინედინ ზიდანმა** კი „რეალში" მოღვაწეობა პირველი შეთავაზებით დაიწყო (ზიზუ „რეალის" სკაუტობასაც შეითავსებს სხვა საქმეებიდან) - მან „სამეფო კლუბს" „ტრუას" 17 წლის ნახევარმცველი **სეგა კეიტას** შეძენა ურჩია. კეიტა საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრების წევრია, ის სენეგალელია, მაგრამ სანაკრებო დონეზე საფრანგეთის ნაკრებში თამაში არჩია.

დაბოლოს, ტრადიციულად „ეკიპის" ტურის სიმბოლურ ნაკრებს შემოგთავაზებთ: **ნდი-ასემბე** (ვალანსიენი, 8.0) - **ებონდო** (ტულუზი, 6.0), **პერკისი** (სოშო, 7.0), **აპამი** (ნიცა, 7.0), **გასე** (ნიცა, 7.0) - **სისოკო** (ტულუზი, 7.0), **ლერუა** (რენი, 7.0), **ელბიკი** (ნიცა, 7.0) - **რემი** (ნიცა, 8.0), **ჟელენი** (ოსერი, 70), **ნენე** (მონაკო, 8.0).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

31 ოქტომბერი. **სენტ-ეტიენი-ლიონი, მარსელი-ტულუზი, ლანსი-ლორიანი, ბორდო-მონაკო, ბულონი-ნანსი, გრენობლი-ლილი, ოსერი-მონპელიე.** 1 ნოემბერი. **ნიცა-ლე მანი, რენი-ვალანსიენი, სოშო-პსჟ.**

### ნიცა-ლიონი 4:1

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - მაბიალა, აპამი, პეისლი, გასე - საბლე, კულიბალი, ელბიკი - რემი (88. ბამოგო), ბაგაიოკო (84. ეშუაფნი), მუნიე.

**ლიონი (4-2-3-1):** ვერკუტრი - რევეიერი, კრისი, ტულალანი, სისხო (46. ბაშტოში) - გონალონსი (66. ედერსონი), მაკუნი - გოვუ, პიანიჩი, ლოპესი - გომისი (77. დელგადო).

**გოლები:** 1:0 ბაგაიოკო (17), 2:0 სისხო (40 პენ), 3:0 ელბიკი (69), 4:0 რემი (75), 4:1 ედერსონი (84)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-20 (4-5); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 10 973

### ბორდო-ლე მანი 3:0

**ბორდო (4-4-2):** კარასო - შალმე, სიანი, პლანიუსი, ტრემულინასი - პლაშილი (73. ჟუსიე), დიარა, გურკუფი (66. ბელიონი), ვენდელი (73. ფერნანდო) - გუფრანი, შამახი.

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ანდრადე, სერდანი (76. ლუვიონი), ბაალი - ესტიგარიბია (66. გულონი), ლორიო (74. მაიგა) - ლე ტალეკი, ტომასი, ლამა - ჰელსტადი.

**გოლები:** 1:0 ოვონო (4-საკ. კარში), 2:0 შამახი (67), 3:0 ბელიონი (83)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 27 737

### ბულონი-მონაკო 1:3

**ბულონი (4-4-2):** კონე - ლეკონტი, სუმარე, ლაშორი, დემბელე - მარკი (46. რობერი), დას ნევესი, და როშა (46. რამარე), აგუაზი (84. დიუკატელი) - კუვილიე, ბლაიაკი.

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - ადრიანო, მონგონგუ, პუიგრენიე, ტრაორე - გოსო (72. მოდესტო), ნკულუ ნდუბენა - ალონსო, კუტადო, ნენე - პარკი (72. გაკპე).

**გოლები:** 0:1 პარკი (36), 1:1 ბლაიაკი (67), 1:2 ნენე (86), 1:3 ნენე (94)

**გაძევება:** დას ნევესი (38)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 5-20 (2-9); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 13 650

### სოშო-ლორიანი 1:0

**სოშო (4-4-1-1):** რიშერი - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე - მორის-ბელაი (81. პრივატი), ნოგეირა, გავანონი, მიკარი - მარტინი (75. ბუდებუზი) - სვერკოში (79. ბუტენი).

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, ლე ლანი - მვუემბა (75. მანსური), დიუკასი (57. ფანშონი), დიარა (68. მონტერუბიო) - ვაირუა, გამეირო.

**გოლები:** 1:0 პერკისი (8)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 17-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 11 379

### სენტ ეტიენი-ვალანსიენი 0:2

**სენტ ეტიენი (4-4-1-1):** ჟანო - ვაროლი (85. საკო), ტავლარიდისი, ბენალუანი, ნდავი - მირალიაში, გ. ფერნანდესი, მატუიდი, ა. ფერანდესი (46. პაიე) - ილანი - ბერხესიო (77. ჟილიოტი).

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ასემბე - მატერი, ბისევაცი, აბარდონადო, ტიენე - კოადი (70. ბალდე), გომისი, სანჩესი - დუკურტუა, ოდელი (76. დანიჩი) - პუჟოლი (80. ბენ ხალფალაჰი).

**გოლები:** 0:1 ოდელი (17), 0:2 დუკურტუა (92)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 14-26; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 20-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 27 631

### გრენობლი-ნანსი 1:2

**გრენობლი (4-4-2):** ლე კრომი - სოგე, ჟემალი, სესარი, კურტუა - ბატლე (48. აკრური), რომაო, დიეზი (23. ჟუანი), მატსუი - ბოია, ლიუბოია.

**ნანსი (4-2-3-1):** გრეგორინი - ლოტიე, უადუ, სამი (61. ბაკარი), ლემაიტრი - ბერენგუერი, ანდრე ლუისი - დია (90. ტრაორე), ჰაჯი, ფერე - ალოო ეფულუ.

**გოლები:** 1:0 ლიუბოია (53), 1:1 ჟემალი (74-საკ. კარში), 1:2 ჰაჯი (88-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-3 (5-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 995

### რენი-მონპელიე 3:0

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - მვილა, ლემოანი - სოუ (66. ბანგურა), ლერუა (55. შეირუ), მარვო (88. დანზე) - გიან ასამოა.

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, სპაჰიჩი, ჟენშამი - მარვო (58. კამარა), პიტო, კოშტა (70. ლაკომბი) - ბელჰანდა (58. საიჰი), მონტანიო, აიტ-ფანა.

**გოლები:** 1:0 მარვო (34), 2:0 სოუ (49), 3:0 გიან ასამოა (93)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 0-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-12 (6-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 23 311

### ოსერი-ლილი 3:2

**ოსერი (4-4-2):** სორინი - ენგბარტი, კულიბალი, გრიხტინგი, დუდკა (73. მინიო) - შაფნი, პედრეტი, ნდინგა (55. ოლიეჩი), ბირსა (74. კაპუე) - ნიკულაე, ჟელენი.

**ლილი (4-3-2-1):** ბიუტელი - ბერია, რამი, ჩედჯუ, ემერსონი - კაბაიე (81. დიუმონი), მავუბა, ჰაზარდი (75. ობრანიაკი) - ჟერვინიო, ბალმონი - ფრო (70. ვიტეკი).

**გოლები:** 0:1 ჟერვინიო (26), 1:1 ჟელენი (36), 1:2 ფრო (40), 2:2 ჟელენი (78), 3:2 ნიკულაე (82)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-13 (8-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 11 285

### ლანსი-ტულუზი 0:2

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაჰია, შელი, რამოსი - კოვაჩევიჩი (73. ედუარდო), სოუ - ბუკარი, აკალე (57. მონე-პაკე), რუდე - ჟემაა (65. მაულიდა).

**ტულუზი (4-3-2-1):** პელე - ებონდო, კონგრე, ნუნკეუ, მბენგუე - მაშადო (76. დიდო), კაპუე, [illegible] ბანუ - ბრაატენი, სისოკო - ჟინიაკი.

**გოლები:** 0:1 სისოკო (35), 0:2 ჟინიაკი (56)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 16-25; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-14 (4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 32 576

მარსელი-პსჟ — გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 10 | 7 | 1 | 2 | 19-7 | 22 |
| 2. მონაკო | 10 | 7 | 0 | 3 | 16-10 | 21 |
| 3. ლიონი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-11 | 20 |
| 4. მონპელიე | 10 | 6 | 2 | 2 | 17-13 | 20 |
| 5. მარსელი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-9 | 17 |
| 6. ლორიანი | 10 | 5 | 2 | 3 | 14-10 | 17 |
| 7. ოსერი | 10 | 5 | 2 | 3 | 10-9 | 17 |
| 8. რენი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-6 | 16 |
| 9. ვალანსიენი | 10 | 5 | 1 | 4 | 19-15 | 16 |
| 10. სოშო | 10 | 5 | 0 | 5 | 11-13 | 15 |
| 11. ტულუზი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-7 | 14 |
| 12. ნანსი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-15 | 14 |
| 13. პსჟ | 9 | 3 | 4 | 2 | 13-10 | 13 |
| 14. ნიცა | 10 | 3 | 2 | 5 | 13-21 | 11 |
| 15. ლილი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-14 | 10 |
| 16. სტ. ეტიენი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-14 | 10 |
| 17. ბულონი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-15 | 9 |
| 18. ლე მანი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 |
| 19. ლანსი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-18 | 8 |
| 20. გრენობლი | 10 | 0 | 0 | 10 | 5-21 | 0 |

**ბომბარდირები:** 9 - ნენე (მონაკო); 6- ნიანგი (მარსელი); 5 - რემი (ნიცა), ჰაჯი (ნანსი), გიან ასამოა (რენი), ფრო (ლილი).

### სამწვრთნელო გადაადგილება

## რამოსი წითელი არმიიდან დაითხოვეს



მოსკოვის ცსკა-ს ესპანელი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** მოულოდნელად გაათავისუფლეს პოსტიდან და მის ნაცვლად **ლეონიდ სლუცკი** დანიშნეს. არადა, რამოსი სულ რაღაც 7 კვირა იყო მოსკოვური გუნდის სათავეში. ესპანელმა 10 სექტემბერს გუნდიდან გაგდებული ბრაზილიელი **ზიკო** შეცვალა. კვირას ცსკა-მ 1:3 დათმო „მოსკვასთან", თუმცა ნაკლებად გვგონია, რომ რამოსის გადაყენების მიზეზი კონკრეტულად ეს წარუმატებლობა იყოს. დღეისათვის ცსკა 10 ქულით ჩამორჩება ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ ყაზანის „რუბინს".

*„ორივე მხარის ინტერესების საფუძველზე შეწყვეტილია კონტრაქტი ხუანდე რამოსთან. კლუბი მას დიდ მადლობას უხდის და პროფესიულ წარმატებას უსურვებს",* - ვკითხულობთ ცსკა-ს ოფიციალურ საიტზე. სხვათა შორის, ზუსტად ერთი წლის წინ ესპანელი სპეციალისტი „ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს.

ცსკა-ს პრეზიდენტმა **ევგენი გინერმა** ისე ილაპარაკა, რომ ცხადი გახდა - მომავალ სეზონში კლუბის ბიუჯეტი მცირდება და გუნდი ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდება:

*„მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი სეზონიდან ახალ პროექტს შევიმუშავებთ. მე და რამოსმა ვისაუბრეთ და დავადგინეთ, რომ კრიზისულ სეზონში ის გუნდს ვერ გაუძღვება. მისთვის ძნელი იქნებოდა ახალგაზრდებთან მუშაობა და ამ პროექტზე გადართვა. ის ძალზე კეთილსინდისიერი ადამიანი და ბრწყინვალე სპეციალისტია, მისი მუშაობით კმაყოფილნი ვართ. მან თქვა - როცა სიტუაცია გამოსწორდება, სიამოვნებით ვიმუშავებ თქვენს გუნდშიო",* - განმარტა გინერმა. სხვათა შორის, ცსკა-ს ბიუჯეტის შემცირებაზე ამასწინათ თავად რამოსმაც ილაპარაკა...

ჰოლანდია



ელ ჰამდაუის გააქვს გოლი აიაქსის კარში

# გაკოტრებული ჩემპიონი

ერედივიზიონის მე-11 ტურის ცენტრალური მატჩი ალკმაარში გაიმართა - მოქმედმა ჩემპიონმა „აიაქსს“ უმასპინძლა. შარშან **ლუი ვან გაალის** გუნდმა საშინელ მეტეოროლოგიურ პირობებში შანსი არ დაუტოვა ჰოლანდიურ გრანდს, რომელსაც **მარკო ვან ბასტენი** ხელმძღვანელობდა.

ორივე გუნდმა მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ თუ ერთისთვის ამგვარმა მეტამორფოზამ დადებითი შედეგი მოიტანა, „ალკმაარის“ შემთხვევაში ყველაფერი პირიქით მოხდა.

რა თქმა უნდა, ჩემპიონზე ცუდად მოქმედებს ბოლო დროს კლუბის გარშემო განვითარებული მოვლენები. უახლოეს დღეებში პრეზიდენტის პოსტს დატოვებს **დირკ შერინგი**. მისი ბანკი (DSB Bank) ბანკროტად გამოცხადდა და ამ კაცმა მთელი ქონება დაკარგა.

*„ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე „ალკმაარიც“ დავკარგე“*, - განაცხადა შერინგმა.

ბანკთან ერთად, ალკმაარელთა პრეზიდენტი ხელოვნების ნიმუშთა კოლექციას შეელია, რომელიც 76 მილიონ ევროდ არის შეფასებული. იგივე ბედი ეწია შერინგის სახლს ესპანეთში. პრეზიდენტის თქმით, ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, რომ, უბრალოდ, ოჯახი გამოკვებოს.

პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ალკმაარის“ შეძენას აპირებს მექსიკელი ბიზნესმენი **სალვადორ ნეკოჩეა**. *„ნეკოჩეას დიდი ხანია სურს ევროპული კლუბის შეძენა, „ალკმაარი“ კი იდეალური ვარიანტია. ეს ბრწყინვალე კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს და საკუთარი სტადიონი გააჩნია. შესაძლოა, ფასი 30 მილიონამდე დაეცეს“*, - წერია მექსიკელის ბანაკიდან გავრცელებულ განცხადებაში.

აი, ასეთი მოვლენები უძღოდა წინ ამ საინტერესო შეხვედრას. წელს „აიაქსის“ თამაში მეტწილად ურუგვაელი **ლუის სუარესის** ბომბარდირულ თვისებებზეა დამოკიდებული. მასპინძლებმა ვერ გადაჭრეს სამხრეთამერიკელის ნეიტრალიზაციის პრობლემა და სურაესმა დუბლის წყალობით 15 გოლამდე აიყვანა საკუთარი მონაგარი.

მაგრამ მანამდე იყო ალკმაარელთა მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი ტაიმი და შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის **მუნირ ელ-ჰამდაუის** გოლი. „აიაქსმა“ კი პირველ ტაიმში ღირებული ვერაფერი აჩვენა. ბუნებრივია, **მარტინ იოლმა** ამ პრობლემის მოგვარება სცადა, მაგრამ შეტევის ნაცვლად ნახევარდაცვა გააძლიერა - მოედანზე **გაბრი** შეუშვა. მწვრთნელის ნაბიჯი გამართლებული აღმოჩნდა; ესპანელმა **ენოსთან** და **დე ზეუვთან** ერთად მოედნის ცენტრი გაამაგრა და „ალკმაარს“ წარმატების განვრცობის არანაირი შანსი არ დაუტოვა.

მეტოქისთვის შეტევის შესაძლებლობის მოსპობა - მხოლოდ ნახევარი საქმეა. „აიაქსს“ გოლი სჭირდებოდა და თან რაც შეიძლება მალე. ანგარიში 57-ე წუთზე გათანაბრდა, მაგრამ ამ გოლს კანონზომიერი არ ეთქმოდა. **ემანუელსონი** აშკარად ჩაწოდებას აპირებდა, მაგრამ ბურთი აეჭრა და 40 მეტრიდან კურიოზული გოლი გავიდა.

ამით მასპინძელთა უბედურება არ დასრულებულა და ერთი წუთის შემდეგ „აიაქსი“ წინ გავიდა. **რომედალმა** მარჯვნიდან ჩააწოდა, სუარესი სამი მცველის გარემოცვაში იყო, მაგრამ მაინც მოახერხა ბურთის მიღება, გაჩერება და კარში დარტყმა!

*„საოცარი იყო ის სიტუაცია, როცა პირველი ორი გოლი გავუშვით. ეს არ უნდა მომხდარიყო. შესაძლოა, ემანუელსონს დარტყმა უნდოდა, ან უბრალოდ ჩაწოდება არ გამოუვიდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მეკარე მზად უნდა ყოფილიყო მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის. მეორე გოლიც ასევე კომედიური იყო. სუარესი სამი მცველის გარემოცვაში იმყოფებოდა და მაინც მოახერხა დარტყმა. მადლობა უნდა ვთქვათ, რომ მეტოქემ ოთხზე მეტი გოლი ვერ გაგვიტანა. ეს სამარცხვინო წაგებაა, რადგან პირველ ტაიმში უკეთესად გამოვიყურებოდით“*, - განაცხადა „ალკმაარის“ დამრიგებელმა **რონალდ კუმანმა**.

საინტერესოა, რომ კვირას გამართულ ოთხ მატჩში გამარჯვებულმა გუნდებმა ოთხ-ოთხი გოლი გაიტანეს მეტოქეთა კარში.

შუა კვირაში ევროპის ლიგაზე „შერიფთან“ წაგების შემდეგ, „გრონინგენთან“ მატჩში ლიდერ „ტვენტეს“ შანსებს მეტად ფრთხილად აფასებდნენ, მაგრამ 21-ე წუთისთვის **სტივ მაკლარენის** შეგირდებს პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდათ მოგება - **შტოხმა** და **ტიენდალიმ** ორი ბურთი გაიტანეს, რასაც მეორე ტაიმში „ტვენტეს“ საუკეთესო ბომბარდირებმა **ნ'კუფომ** და **რუისმა** კიდევ ორი გოლი დაუმატეს.

იმავე ანგარიშით მოიგო „ეინდჰოვენმა“, რომელსაც დისკვალიფიკაციამოხდილი **ბალაჟ ჯუჯაკი** დაუბრუნდა. სწორედ უნგრელმა დაიწყო „ნიიმეგენის“ დარბევა. სტუმრებს კვლავ აკლდათ **კოვერმანსი**, თუმცა „ეინდჰოვენმა“, როგორც ჩანს, ისწავლა თავისი საუკეთესო ბომბარდირის გარეშე თამაში.

**XI ტური**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-როდა | 2:1 |
| დენ ჰააგი-სპარტა | 2:3 |
| ფეიენოორდი-ვენლო | 1:0 |
| ვიტესი-ჰერაკლესი | 0:2 |
| ბრედა-ვაალვიკი | 1:0 |
| ალკმაარი-აიაქსი | 2:4 |
| ტვენტე-გრონინგენი | 4:0 |
| ვილემი-ჰერენვეენი | 4:1 |
| ნიიმეგენი-ეინდჰოვენი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 11 | 9 | 2 | 0 | 24-9 | 29 |
| 2. ეინდჰოვენი | 11 | 8 | 3 | 0 | 27-10 | 27 |
| 3. აიაქსი | 11 | 8 | 2 | 1 | 35-9 | 26 |
| 4. ფეიენოორდი | 11 | 7 | 2 | 2 | 19-8 | 23 |
| 5. უტრეხტი | 11 | 6 | 4 | 1 | 13-7 | 22 |
| 6. ჰერაკლესი | 11 | 5 | 2 | 4 | 11-11 | 17 |
| 7. ბრედა | 11 | 5 | 1 | 5 | 12-16 | 16 |
| 8. ალკმაარი | 11 | 5 | 0 | 6 | 20-15 | 15 |
| 9. სპარტა | 11 | 4 | 2 | 5 | 9-15 | 14 |
| 10. დენ ჰააგი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-16 | 12 |
| 11. ნიიმეგენი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-16 | 11 |
| 12. ვიტესი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-20 | 11 |
| 13. ვილემი | 11 | 3 | 1 | 7 | 15-20 | 10 |
| 14. ვენლო | 11 | 1 | 7 | 3 | 14-19 | 10 |
| 15. გრონინგენი | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 16. როდა | 11 | 2 | 4 | 5 | 12-21 | 10 |
| 17. ჰერენვეენი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-17 | 8 |
| 18. ვაალვიკი | 11 | 1 | 0 | 10 | 7-25 | 3 |

**ბომბარდირები:** 15 - სუარესი (აიაქსი); 7 - ელ ჰამდაუი (ალკმაარი), რუისი (ტვენტე), ნკუფო (ტვენტე); 6 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი), ბაკალი (ეინდჰოვენი).

პორტუგალია

# ბრაგამ პირველად წაიფორხილა

ლიდერმა „ბრაგამ“ პირველი ქულები დაკარგა ჩემპიონატში. ამ გუნდის ბრწყინვალე სვლა „რიუ ავემ“ შეაჩერა, რომელიც მეცხრე წუთზე **ჟოაო ტომაშის** მიერ გატანილი გოლით უგებდა ლიდერს, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და პირველივე ტაიმში გაუშვა საპასუხო ბურთი (**ევალდო**). მიუხედავად ამისა, „რიუ ავე“ კმაყოფილი უნდა იყოს ამ ერთი ქულით, რადგან მთელი მეორე ტაიმი „ბრაგამ“ შეტევებში გაატარა და რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენა. ყველაზე რეალური მომენტი 73-ე წუთზე **კარლუშს** ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმა **პაულო სეზარმა** მოიგერია. ეს დაკარგული ორი ქულა კი „ბრაგას“ შესაძლოა, ლიდერობის დაკარგვად დაუჯდეს რადგან გუშინ გვიან ღამით „ბენფიკა“ შინ „ნასიონალს“ ეთამაშებოდა და მოგების შემთხვევაში ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე გადავიდოდა.

გასული ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა პორტუში გაიმართა. წესით, ჩემპიონს შინ იოლად უნდა დაემარცხებინა აუტსაიდერი „აკადემიკა“, რომელიც ერთადერთი მოუგებელი გუნდია ლიგაში. წინა ტურის შემდეგ ამ გუნდის რიგებში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - მთავარ მწვრთნელად **ჟოზე მოურინიოს** ცნობილი ასისტენტ-სელექციონერი **ანდრე ვილაში** დაინიშნა. 31 წლის (!) მწვრთნელმა 2011 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი და ახლა კლუბის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ ვილაში გუნდში სეუ ყოზეს ჯადოქრობას მიიტანს.

ანდრეს დებიუტი სწორედ „პორტუს“ წინააღმდეგ შედგა და მწვრთნელმა აშკარად დაიმსახურა აპლოდისმენტები. პირველი ტაიმი უცნაური გამოვიდა: „აკადემიკამ“ „დრაკონებს“ აჯობა როგორც ზუსტი, ასევე არაზუსტი დარტყმების რაოდენობით. ასეთი რამ პორტუგალიაში იშვიათად ხდება! თუმცა „სტუდენტები“ მაინცდამაინც სახიფათოდ არ ურტყამდნენ და **ელტონმა** მისი კარისკენ წასული ექვსივე ბურთი იოლად მოიგერია.

მეორე ტაიმში კი ხუთი გოლი გავიდა. „აკადემიკამ“ 65-ე წუთამდე გაძლო და პირველი ბურთი მსაჯის შეცდომით გაუშვა. **მარიანო გონსალესის** დარტყმის მომენტში **ფალკაო გარსია** აშკარა თამაშგარეში იყო და მეკარეს ხელს უშლიდა. მაგრამ ბურთი ჩაითვალა. სამ წუთში კი **ერნესტო ფარიასმა** ახლოდან შეაგდო მეორე გოლი. არგენტინელი 11 წუთის შესული იყო მოედანზე. **ჟესუალდო ფერეირამ** ეს შეცვლა გამოიცნო, რადგან ფარიასმა 82-ე წუთზე დუბლის შესრულება მოახერხა. თუმცა მანამდე იყო **მიგელ პედრუს** გოლი, რითაც „აკადემიკას“ ქულის გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ ერნესტოს გოლმა სტუმრებს ეს შანსი მოუსპო.

სხვათა შორის, 29 წლის არგენტინელმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ამ სეზონის შემდეგ დატოვებს გუნდს, რადგან არ აწყობს სათადარიგო მოთამაშის სტატუსი. როგორც პორტუგალიაში წერენ, ფარიასის გადაბირება ბრაზილიურ გრანდს „კორინთიანსს“ სურს.

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ოლანენსე | 0:0 |
| ლეირია-ნავალი | 2:0 |
| რიუ ავე-ბრაგა | 1:1 |
| მარიტიმუ-ფერეირა | 3:1 |
| სეტუბალი-ლეიქსოეში | 1:0 |
| პორტუ-აკადემიკა | 3:2 |
| ბენფიკა-ნასიონალი | 6:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 8 | 7 | 1 | 0 | 30-5 | 22 |
| 2. ბრაგა | 8 | 7 | 1 | 0 | 13-4 | 22 |
| 3. პორტუ | 8 | 6 | 1 | 1 | 18-6 | 19 |
| 4. მარიტიმუ | 8 | 3 | 2 | 3 | 12-10 | 11 |
| 5. რიუ ავე | 8 | 2 | 5 | 1 | 8-6 | 11 |
| 5. სპორტინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 7. ნასიონალი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-14 | 11 |
| 8. ლეირია | 8 | 2 | 4 | 2 | 12-8 | 10 |
| 9. ლეიქსოეში | 8 | 2 | 2 | 4 | 7-14 | 8 |
| 10. ფერეირა | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |
| 11. ოლანენსე | 8 | 1 | 4 | 3 | 5-9 | 7 |
| 12. ბელენენსეში | 8 | 1 | 4 | 3 | 4-9 | 7 |
| 13. ნავალი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-14 | 7 |
| 14. სეტუბალი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-16 | 7 |
| 15. გიმარაეში | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 16. აკადემიკა | 8 | 0 | 3 | 5 | 7-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 11 - კარდოსო (ბენფიკა); 7 - ფალკაო გარსია (პორტუ); 5- კარლაო (ლეირია); 4 - რამირესი (ბენფიკა), კერუჩე (ნავალი), ედგარი (ნასიონალი).

ბელგია

# ორი ლიდერი გამოიკვეთა

ბელგიის ჩემპიონატის მე-12 ტური გამორჩეული არაფრით ყოფილა. ლიდერებმა - „ბრიუგემ“ და „ანდერლეხტმა“ მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და კიდევ უფრო დაცილდნენ თავიანთ კონკურენტებს.

„ანდერლეხტმა“ სწორედ ერთ-ერთი მდევარი - „მეხელენი“ დაამარცხა სტუმრად. ყველა ელოდებოდა, რომ მასპინძლები დიდ ბრძოლას გაუმართავდნენ ბელგიურ გრანდს, მაგრამ „ანდერლეხტმა“ პირველ ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაიტანა და შემდეგ მატჩის ბოლომდე დამაჯერებლად აკონტროლებდა სიტუაციას. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედიზედ მეორე მატჩია გოლს იტანს 16 წლის ვუნდერკინდი **რომელუ ლუკაკუ**.

„ბრიუგეც“ სტუმრად თამაშობდა და მანაც პირველ ტაიმში ორი გოლი გაუტანა „რუზელარეს“, მაგრამ ლიდერს უფრო მეტი ჯაფა დაადგა სამი ქულის მოსაპოვებლად. საქმე ისაა, რომ „ბრიუგე“ 52-ე წუთზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩა მოედანზე, რასაც იქვე ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოჰყვა. სტუმართა ბედად, **კუემაჰამ** ძალიან მალე აღადგინა ორბურთიანი უპირატესობა და „რუზელარემ“ მხოლოდ ანგარიშის კიდევ ერთხელ მინიმუმამდე შემცირება მოახერხა.

ლიდერთა კიდევ ერთი მდევრისთვის - „სტანდარდისთვის“ ორმაგად უსიამოვნო გამოდგა საშინაო შეხვედრა „ვარეგემთან“. გარდა იმისა, რომ მოქმედმა ჩემპიონმა ორი ქულა დაკარგა, მას დაახლოებით ექვსი კვირით გამოაკლდა ცნობილი ფრანგი ნახევარმცველი **ოლივიე დაკური**, რომელიც სულ ახლახან შეუერთდა „სტანდარდს“. საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ბოლო ტურში ბარძაყის ტრავმა მიიღო. ასე რომ, **სტივენ დეფურისა** და დაკურის ტრავმების შემდეგ, „სტანდარდის“ რუმინელ დამრიგებელს **ლასლო ბოლონის** კვლავ მოუწევს ცენტრის გაძლიერებაზე ზრუნვა.

**XII ტური**

| | |
|---|---|
| ლოკერენი-გენკი | 0:2 |
| სერკლი-კორტრიიკი | 1:1 |
| შარლერუა-ვესტერლო | 1:1 |
| ბეერსხოტი-მუსკრონი | 3:2 |
| სტ. ტრუიდენი-გენტი | 1:2 |
| სტანდარდი-ვარეგემი | 1:1 |
| რუზელარე-ბრიუგე | 2:3 |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 12 | 8 | 3 | 1 | 27-15 | 27 |
| 2. ანდერლეხტი | 12 | 8 | 2 | 2 | 22-11 | 26 |
| 3. მეხელენი | 12 | 7 | 0 | 5 | 19-17 | 21 |
| 4. სტანდარდი | 12 | 5 | 6 | 1 | 21-11 | 21 |
| 5. ვარეგემი | 12 | 5 | 4 | 3 | 21-17 | 19 |
| 6. გენტი | 12 | 5 | 3 | 4 | 21-15 | 18 |
| 7. ბეერსხოტი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-17 | 18 |
| 8. სტ. ტრუიდენი | 12 | 5 | 2 | 5 | 16-17 | 17 |
| 9. ვესტერლო | 12 | 4 | 2 | 6 | 13-20 | 14 |
| 10. გენკი | 12 | 3 | 5 | 4 | 16-15 | 14 |
| 11. კორტრიიკი | 12 | 3 | 5 | 4 | 14-15 | 14 |
| 12. სერკლი | 12 | 3 | 4 | 5 | 19-19 | 13 |
| 13. შარლერუა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-21 | 13 |
| 14. ლოკერენი | 12 | 3 | 2 | 7 | 16-22 | 11 |
| 15. მუსკრონი | 12 | 2 | 4 | 6 | 13-20 | 10 |
| 16. რუზელარე | 12 | 1 | 3 | 8 | 14-29 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), სიდიბე (სტ. ტრუიდენი), დისა (რუზელარე), ტერეო (შარლერუა); 6 - მაკიესე (ვარეგემი), ოკვუნვანე (მუსკრონი), შევალიე (ვარეგემი).

შოტლანდია

# ლიდერთა მორიგი როქი

შოტლანდიის პრემიერლიგაში კიდევ ერთხელ შეიცვალა ლიდერი. „რეინჯერსს“ კვლავაც ცუდი დროება უდგას, რისი დამადასტურებელი იყო შინ „ჰიბერნიანთან“ დაკარგული ორი ქულა. თუმცა გლაზგოელთა დამრიგებელი **უოლტერ სმიტი** კმაყოფილი დარჩა თამაშით. უბრალოდ, მომენტები ვერ გამოვიყენეთო - ამბობდა „რეინჯერსის“ მწვრთნელი. ტრადიციული სიტყვებია.

შანსები საკმარისად იყო ორივე გუნდის კართან - ხან **მაკგრეგორი** იყო მოწოდების სიმაღლეზე, ხან **სტეკი** ყოჩაღობდა. მეცხრე წუთზე თავურით ანგარიში **კრის ბოიდმა** გახსნა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა, მაგრამ მისმა გუნდმა ლიდერობა ვერ შეინარჩუნა. **უიტაკერმა** იოლად მოატყუებინა თავი **სტოუკს** და **ენტონიმ ჯონ ჰიუზის** გუნდს ქულა მოუტანა.

„სელტიკმა“ კი კარგად ისარგებლა კონკურენტის წაფორხილებით და ლიდერობა დაიბრუნა. „კელტებმა“ სტუმრად „ჰემილტონთან“ პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს გამარჯვებულის ბედი. **შონ მელონიმ ანდრეას ჰინკელის** პასით „მაკრატელათი“ გახსნა ანგარიში, 14 წუთში კი **მაკდონალდმა** 2:0 გახადა ანგარიში. „სელტიკის“ კარში დებიუტი ჰქონდა პოლონელ **ლუკაშ ზალიუშკას**, რომელმაც ტრავმირებული თანამემამულე **არტურ ბორუცი** შეცვალა. 27 წლის ახალბედამ ვერ შეძლო საკუთარი კარის „მშრალად“ შენახვა - მისი დებიუტი ოდნავ გააფერმკრთალა **ანტუან-კურიერმა**.

**IX ტური**

| | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი იუნ | 0:2 |
| ჰართსი-ფალკირკი | 0:0 |
| კილმარნოკი-სტ. ჯონსტონი | 2:1 |
| რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| სტ. მირენი-მოზერველი | 3:3 |
| ჰემილტონი-სელტიკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 9 | 6 | 2 | 1 | 17-8 | 20 |
| 2. რეინჯერსი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-6 | 19 |
| 3. ჰიბერნიანი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 4. დანდი იუნ | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| 5. მოზერველი | 9 | 3 | 5 | 1 | 11-9 | 14 |
| 6. სტ. მირენი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-'2 | 12 |
| 7. აბერდინი | 9 | 2 | 5 | 2 | /-7 | 11 |
| 8. კილმარნოკი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-9 | 9 |
| 9. ჰართსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| 10. სტ. ჯონსტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 13-20 | 6 |
| 11. ჰემილტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-17 | 5 |
| 12. ფალკირკი | 9 | 0 | 4 | 5 | 4-13 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 - ბოიდი (რეინჯერსი); 4 - კადამარტერი (დანდი იუნ), რაიორდანი (ჰიბერნიანი), კ. მილერი (რეინჯერსი), მელონი (სელტიკი), მაკდონალდი (სელტიკი), კაილი (კილმარნოკი), ფორსბი (მოზერველი).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშვნა

# იგი წავა და სხვა მოვა...

მისი ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია: **გორდონ დევიდ სტრაჩანი**, 52 წლის შოტლანდიელი მწვრთნელი და ყოფილი ფეხბურთელი. ფეხბურთელობის წლებში თამაშობდა „დანდიში", „აბერდინში", „მანჩესტერ იუნაიტედში", „ლიდს იუნაიტედსა" და „ქოვენთრი სიტიში". შოტლანდიის ნაკრებში ჩაატარა 50 შეხვედრა, გაიტანა 5 გოლი. იყო აგრესიული და იმავდროულად ტექნიკური მარჯვენა ნახევარმცველი. სამწვრთნელო კარიერა ინგლისში დაიწყო. სათავეში ედგა „ქოვენთრი სიტისა" და „საუთჰემპტონს", რის შემდეგაც სამშობლომ უხმო და 2005-09 წლებში გლაზგოს „სელტიკს" წვრთნიდა. 2003 წელს სტრაჩანის ხელმძღვანელობით „საუთჰემპტონი" ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გავიდა, ხოლო „სელტიკში" გატარებული ოთხი სეზონიდან სამი შოტლანდიის ჩემპიონის ტიტულით დაასრულა. ამ კვირაში კი სკოტი სპეციალისტი ისევ ინგლისს დაუბრუნდა, სადაც ჩემპიონატის ცხრილში მეოთხე ადგილზე მყოფ „მიდლსბროს" მწვრთნელი გახდა. შეგახსენებთ, რომ „მიდლსბრო" პრემიერლიგიდან გასულ სეზონში ბოლოსწინა, მე-19 ადგილით გავარდა.

სტრაჩანმა, „ბოროს" სათავეში, გასულ კვირაში მოხსნილი **გარეთ საუთგეიტი** შეცვალა. საუთგეიტის გათავისუფლება კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან საკმაოდ უცნაური საქციელი იყო, რადგან მისი მოხსნის მომენტისთვის გუნდი ლიდერს ერთადერთი ქულით ჩამორჩებოდა, თუმცა ახსნა ყველაფერს აქვს. ამ შემთხვევაში საქმე ასეა: საუთგეიტის ბოლო შეხვედრას „მიდლსბროს" მწვრთნელის თანამდებობაზე, მხოლოდ და მხოლოდ 17 459 მაყურებელი დაესწრო. ეს გახლდათ „რივერსაიდის" სტადიონის ანტირეკორდი, რაზეც კლუბის მეპატრონემ და თავმჯდომარე **სტივ გიბსონმა** თვალები ვეღარ დახუჭა. გიბსონმა ჟურნალისტებს განუცხადა:

*„რაც ფეხბურთში ვარ, ასეთი მძიმე გადაწყვეტილება არ მიმიღია. გარეთმა „მიდლსბროს" თავის დროზე დიდებული კაპიტნობა გაუწია, ხოლო შემდეგ, კლუბის ისტორიის ურთულეს წუთებში მწვრთნელად დაუდგა. ჩვენ ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ის მეტისმეტად არასახარბიელო დროს იწყებდა „მიდლსბროს" თავკაცად მუშაობას, მაგრამ გავრისკეთ. ის საუცხოო ადამიანია და ყველა ის თვისება აქვს, რაც ჩვენი გუნდის მწვრთნელს მოეთხოვება. მეტსაც გეტყვით, მთელ ინგლისურ ფეხბურთს სჭირდება მისი დარი ადამიანები".*

როდესაც საუთგეიტის თანამდებობიდან მოხსნის ამბავი ქვეყანას მოედო, ბევრმა, მათ შორის სერ **ალექს ფერგიუსონმა** აღშფოთება ვერ დამალა.

*„განტევების ვაცი ყოველთვის მწვრთნელია, - დაიჩივლა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, - სტივ გიბსონს კარგი თავმჯდომარის რეპუტაცია აქვს, მაგრამ იმით, რაც გარეთ საუთგეიტს გაუკეთა, ყველა გააოცა. განსაკუთრებით გასაკვირი იყო მისი არგუმენტები".*

რას იზამ, ფეხბურთი ბიზნესია, სადაც სჯობს ტრიბუნებზე მაყურებელი შეკრიბო და ფული გადაახდევინო, ვიდრე მოიგო და შენს სანახავად ცოტა ხალხი მოვიდეს - თუკი, მართლა შეიძლება, რომ ხალხმა თავისი გუნდის მოგების სანახავად სიარული არ ინდომოს. თუმცა, იყო თუ არა ის, რაც გიბსონმა თქვა, საუთგეიტის მოხსნის ნამდვილი მიზეზი, კაცმა არ იცის.

**ილია ბაბუნაშვილი**



გორდონ სტრაჩანი

ბოხუმი

# ჰერლიხი დიდ ფეხბურთში ბრუნდება!

ახლო წარსულში ცნობილი გერმანელი თავდამსხმელი **ჰაიკო ჰერლიხი**, რომელიც 37 წლისაა, დიდ ფეხბურთში ბრუნდება - ოღონდ, არა ფეხბურთელის (კარიერა დიდი ხანია, დაასრულა), არამედ, მთავარი მწვრთნელის რანგში. „ბოხუმის" ხელმძღვანელებს ამ ინფორმაციის დადასტურება ჯერ არ სურთ, მაგრამ „კიკერის" ცნობით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ჰერლიხი „ბოხუმს" ამ კვირაშივე ჩაიბარებს, კვირას კი, „აინტრახტთან" შეხვედრაში დებიუტი ექნება. ამრიგად, ჰერლიხი „მაინცის" თავკაც **თომას ტუხელისა** (36 წლის) და „შტუტგარტის" მწვრთნელ **მარკუს ბაბელის** (37) შემდეგ, ბუნდესლიგაში მესამე ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი იქნება.

ერთი თვეა, რაც „ბოხუმს" დროებითი თავკაცი **ფრანკ ჰაინემანი** წვრთნის. მან პოსტიდან გაგდებული **მარსელ კოლერი** შეცვალა. მართალია, ჰაინემანმა კარგად დაიწყო (1:0 „ნიურნბერგთან" და 1:1 „ვოლფსბურგთან"), მაგრამ ბოლოს სამი ოფიციალური თამაში წააგო (0:2 დორტმუნდში, 1:4 „ვერდერთან" და მანამდე, 0:3 „შალკესთან", გერმანიის თასზე). ახლა კი, „ბოხუმის" შეფები ჰაინემანს ისევ „ჩამოლაბორანტებას" უპირებენ და „კიკერის" ცნობით, გადაწყვეტილია, რომ მას ჰაიკო ჰერლიხი შეცვლის.

ყოფილ თავდამსხმელს (258 მატჩი ბუნდესლიგაში, 75 გოლი „ლევერკუზენის", „გლადბახისა" და „დორტმუნდის" მაისურით; 5 მატჩი გერმანიის ნაკრებში) ზაფხულში „კაიზერსლაუტერნის" შეფები ეპატიჟებოდნენ. ოქტომბრის შუა რიცხვებამდე ჰერლიხი გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში) და პატარა ბუნდესგუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

**გოტფრიდ ლენცი**



ჰაიკო ჰერლიხი ბოხუმს გაწვრთნის




3 გოლი 3 თამაშში. ბარიოსმა გატანა დაიწყო

დორტმუნდი

# ხომ მხედავ, დიეგო?

## საგოლე მანქანა დაიძრა: ლუკას რამონ ბარიოსი მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს

დორტმუნდის „ბორუსიას" საგოლე მანქანა როგორც იქნა ამუშავდა. მიონხენგლადბახში (1:0), „ბოხუმთან" (2:0) და ლევერკუზენში (1:1), „შავ-ყვითლების" გოლეადორმა **ლუკას რამონ ბარიოსმა** თითო გოლი გაიტანა და თანაც, სამივე შეხვედრაში ანგარიშს ხსნიდა, რაც მის გოლებს უფრო ძვირფასს ხდის. ახლა, 24 წლის არგენტინელს ბოლო სამ მატჩში სამი გოლი აქვს და ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარიოსი უკვე სრულფასოვანი დორტმუნდელია და ბუნდესლიგასაც შეეგუა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი ხანია, „პანტერად" წოდებულ ფეხბურთელს არგენტინის ნაკრების სკაუტები გულმოდგინედ აკვირდებიან, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი. ლუკასი ჯერ კიდევ ჩილეში თამაშის დროს იყო „ალბისელესტეს" თავკაც **დიეგო მარადონას** თვალთახედვის არეში, როცა „კოლო კოლოს" მაისურით 37 მატჩში 38 გოლი გაიტანა და „მსოფლიო გოლეადორის" წოდება მოიპოვა. ახლა კი ლუკასი უკვე ევროპაში თამაშობს და კონტინენტის ერთ-ერთ წამყვან ლიგაში მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს.

*„არგენტინის ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა. მთავარი ის არის, რომ „ბორუსიაში" მუდმივად ვითამაშო და ბევრი გოლი გავიტანო. თუ ამას შევძლებ, ვიცი, მარადონა დამიფასებს," -* ამბობს ბარიოსი. ფაქტია, რომ თუ ასე გააგრძელა, მარადონა მას გვერდს ვერ აუვლის და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს, რადგან არგენტინის ნაკრებს ნამდვილად არ ჰყავს ბევრი შედეგიანი თავდამსხმელი.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ლუკასი კიდევ უამრავ სიხარულს მოგვანიჭებს. მას ყველაფერი აქვს, რაც მაღალი კლასის თავდამსხმელს უნდა ჰქონდეს. სწრაფი და კარზე დაგეშილი ფორვარდია,"* არგენტინელს აქებს „დორტმუნდის" პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალი**.

ფეხბურთელით, რომელიც დორტმუნდელებმა ზაფხულში 4.5 მილიონ ევროდ შეიძინეს, უაღრესად კმაყოფილია მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპიც**. *„ახლა რომ ვთქვა, მსოფლიო დონის გოლი გაიტანა-მეთქი, მერე ოთხი დღე გაზეთები მხოლოდ ამაზე დაწერენ. ასე რომ, არაფერს ვიტყვი," -* ირონიულად და ორაზროვნად თქვა „ლევერკუზენთან" მატჩის შემდეგ კლოპმა. არადა, ბარიოსს მართლაც შესანიშნავი, კარგი თავდამსხმელისთვის ზედგამოჭრილი გოლი გამოუვიდა: ძალიან მაღლა ახტა და ბურთს საკმაოდ შორი დისტანციიდან ძალიან მაგრად „ურქინა", თანაც აყლაყუდა ფინელ მცველ **სამი ჰიიპიას** აჯობა, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია.

დღეს „ბორუსია" გერმანიის თასზე თამაშობს და მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ოსნაბრიუკს" ხვდება. წესით, დორტმუნდელებს ამ თამაშის მოგება არ უნდა გაუჭირდეთ - მით უმეტეს, რომ მთავარი ბომბდამშენი კარგ ფორმაში ჰყავთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# პისარო გაიფურჩქნა

## ზედიზედ ოთხი მოგება და ბრძოლა ლიდერობისთვის. ბრემენში ისევ უკრავენ...

ბრემენის „ვერდერმა" ამოქაჩა და მერე როგორ! არც „ლევერკუზენი", არც „ჰამბურგი", არც „შალკე" და მით უმეტეს, არც „ბაიერნი" - დღესდღეობით საუკეთესო გერმანული გუნდი სწორედ **თომას შააფის** „ვერდერია", რომელმაც ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, მესამე ადგილზეა და „ლევერკუზენი"-"ჰამბურგის" ლიდერთა „დუეტს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. ბევრს ეგონა, რომ **დიეგოს** დაკარგვის შემდეგ, რომელმაც ზაფხულში ტურინის „იუვენტუსს" მიაშურა, ბრემენელებს სერიოზული კრიზისი დაეწყებოდათ, მაგრამ ფაქტი სახეზეა: „ვერდერი" შესანიშნავად გამოიყურება და მეტიც, ეს გუნდი დიეგოს წასვლით თითქოს მარწუხებისგან გათავისუფლდა. თუკი მანამდე მთელი გუნდი ბრაზილიელ ფლეიმეიკერზე თამაშობდა, დღეს „მუსიკოსები" გუნდურ ფეხბურთს გვთავაზობენ. თანაც, დიეგო ძალიან კარგად შეცვალა **მესუთ იოზილმა**, მაგრამ ბრემენელთა წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი მაინც პერუელი თავდამსხმელი **კლაუდიო პისაროა**.

ეს უკანასკნელი „მუსიკოსებმა" ერთწლიანი არენდის შემდეგ, ზაფხულში საბოლოოდ გამოისყიდეს, გადაუხადეს რა „ჩელსის" დაახლოებით 4-5 მილიონი ევრო. პისაროც იმედებს ამართლებს: კლაუდიოს მიმდინარე სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა ცხრილს ლევერკუზენელ **შტეფან კისლინგთან** ერთად ლიდერობს.

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე გასაკვირი ნამდვილად აღარ არის ის ფაქტი, რომ პისარო გერმანიის ჩემპიონობაზე ალაპარაკდა, თუმცა თვითკრიტიკაც არ აკლია. *„სიმართლე გითხრათ, საუკეთესო ბომბარდირობაზე არასდროს მიოცნებია, რადგან ჩემთვის გუნდის წარმატება ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო. ახლაც ასეა, მაგრამ საკუთარ თავს აშკარად ვატყობ იმასაც, რომ ამ სეზონში ბომბარდირის წოდების მოპოვებაც ძალიან მინდა. გამოგიტყდებით, ამ წოდებაზე პირველად ვფიქრობ, -* განუცხადა პისარომ „კიკერს" და იქვე დასძინა, *- ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ნამდვილად შეგვწევს ძალა, გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები. ყველა ჩემი თანაგუნდელი ამბობს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან ძნელია და რომ ამ სეზონში ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, მაგრამ მე პირველივე ტურის შემდეგ ვთქვი, რომ ჩემი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა."*

პერუელი თავდამსხმელი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში თვითკრიტიკითაც გამოირჩა და მაგალითად, დაეთანხმა „ბაიერნის" ყოფილ დამრიგებელ **ოტმარ ჰიტცფელდს**, რომელმაც თავის დროზე თქვა, კლაუდიო ალვირახსნილ ცხოვრებას ეწევაო. *„ოტმარი მართალია. ჩემი ალვირახსნილობით ბევრი დავკარგე. დღეს ვხვდები: აშკარად შემეძლო, რომ კარიერაში გაცილებით მეტისთვის მიმეღწია," -* ამბობს კლაუდიო.

ერთი რამ ფაქტია: პისარომ ვერც ერთი მწვრთნელის ხელში ვერ შეძლო, ყოფილიყო ძალიან წარმატებული ფეხბურთელი, გარდა ერთისა და ეს ერთადერთი სპეციალისტი, რომლის ხელშიც პერუელი ყოველთვის შედეგიანია, „ვერდერის" თავკაცი თომას შააფი გახლავთ.



ვერდერის წარმატების შემოქმედები: კლაუდიო პისარო და აარონ ჰანტი

*„შააფი გენიალური მწვრთნელი და შესანიშნავი პიროვნებაა. იგი არის სპეციალისტი, რომელიც ნებისმიერ ფეხბურთელს მოარჯულებს და ნებისმიერი ხასიათის მქონე მოთამაშეებისგან შემდგარ კოლექტივს წარმატებულ გუნდად აქცევს. შააფს ბევრ რამეში ვამსგავსებ ჟოზე მოურინიოს, რომელიც ასევე აღმაფრთოვანებს ფეხბურთელებისადმი მიდგომით. თომასი, ისევე, როგორც ჟოზე, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია!"* - აცხადებს „მუსიკოსების" ლიდერი, რომელმაც მიზნად გერმანიის ჩემპიონობა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობა დაისახა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

## სტივენ ჯერარდი

# სასამართლოს შემდეგ სხვა ადამიანი გავხდი

**„ლივერპულის“ კაპიტანმა პირველად ილაპარაკა გულახდილად იმ უძლიერეს სტრესზე, რომელიც მან გასულ ზაფხულს გადაიტანა - ეს არის სასამართლო პროცესი იმ ჩხუბის გამო, რომელიც რვა თვის წინ საუთპორტის ერთ-ერთ ბარში მოხდა და რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა სტივენ ჯერარდი. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ჰენრი გლოუბმა ფეხბურთელი გაამართლა, გამოძიებას სტივენისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ამიერიდან ჯერარდი ცდილობს თავი აარიდოს ასეთ ბარებში მოხვედრას, მაგრამ თუ მაინც შევიდა იქ, არავითარ შემთხვევაში არ აღნიშნავს რაიმე მოვლენას...**

### საშინელი შეცდომა

**სტივენ ჯერარდს** არ შეუძლია დაწვრილებით განიხილოს სასამართლო პროცესი და ბრალდება, რომელიც მის წინააღმდეგ ჩხუბში დაზარალებულმა 34 წლის **მარკუს მაკგიმ** წამოაყენა. სტივი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მთელი დრო, სანამ ეს გახმაურებული საქმე განიხილებოდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეფიქრა ფეხბურთზე.

*„ყოველთვის მქონდა ზუსტი წარმოდგენა იმაზე, როგორ უნდა იქცეოდნენ ფეხბურთელები მოედნის მიღმა. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ საქმე სულაც არ ეხება განსაკუთრებულ იმიჯს ან პუბლიკაზე თამაშს. უბრალოდ ვიცი, რომ ასობით მოზარდი მბაძავს, მე ხომ მათგან უამრავ წერილს ვიღებ. მაშინ სასამართლოში, გონებაში სულ ერთი აზრი მიტრიალებდა: არ მქონდა მათი და სხვა გულშემატკივრების დალალატებისა და ამ დარბაზში მოხვედრის უფლება.*

*დიახ, ჩემთვის ძალიან არასასიამოვნოა, თუ ეს ადამიანები სტივენ ჯერარდზე ცუდს ფიქრობენ. ამიტომაც იყო სასამართლოს განაჩენი ჩემთვის ასეთი მნიშვნელოვანი. ყველაზე მეტად მაშინ ავღელდი, როცა ბრალდების მხარე გამოდიოდა სიტყვით. ჩემ შესახებ გაზეთებში ვკითხულობდი და ვფიქრობდი: „ნეტავ ადამიანებმა არ დაიჯერონ ის, რასაც ჩემზე წერენ“.*

*რა თქმა უნდა, ამ სასამართლო პროცესმა შემცვალა, ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო. მივხვდი, რომ არასწორ დროს არასწორ ადგილას მოვხვდი. რა თქმა უნდა, ამიერიდან უფრო ფრთხილად ვიქნები. ახლა, თუ ჩვენ 5:1-ს გავიმარჯვებთ, პირველ ადგილს დავიკავებთ და მე ორ გოლს გავიტან, ამ მოვლენას ბარში ჩემს მეგობრებთან ერთად არ აღვნიშნავ. უბრალოდ ვივახშმებ და შინ 11 საათზე გვიან არ დავბრუნდები. ჩვენ ძალიან კარგად გვიხდიან და უნდა შეგვეძლოს მსხვერპლის გაღება.*

*სასამართლოს დარბაზში ჯდომისას, ჩემს თავს მუდმივად ვეკითხებოდი, რომ არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ მოვხვდებოდი ამ ოთახში. ჩემთვის სამარცხვინო, უსიამოვნო და ცოტათი საშიში იყო იქ ყოფნა. ადრე ასეთი რამ არასოდეს მიგრძნია. ვიჯექი და ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩემი თანაგუნდელები ტაილანდში ფეხბურთს თამაშობენ, მე კი იმის ნაცვლად, რომ მათ გვერდით ვყოფილიყავი, სასამართლოს დარბაზში ვიმყოფებოდი. გამამართლეს, მაგრამ მაინც ვერ ვიხსენებ თუნდაც ერთ წუთს, რომელიც პროცესის დროს მომეწონა და რომლის გამოც სიამაყეს ვგრძნობდი.*

*ვნანობ, რომ ყველაფერი ასე მოხდა. სამწუხაროა იმ ღამეს სახლში რომ არ წავედი, თუმცა შემეძლო ამის გაკეთება. შევეგუე იმას, რომ ზოგიერთ ადამიანს ამიერიდან სამუდამოდ დაამახსოვრდება ეს სასამართლო პროცესი და ამას ჩემს ბიოგრაფიაში ბინძურ ლაქად ჩათვლის. ეს იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.*

*ახლა მინდა ეს ეპიზოდი წარსულს ჩავაბარდეს. რაღაცებს შევცვლი, მაგრამ ძირითადად, ძველებურად ცხოვრებას გავაგრძელებ. მე ხომ ყოველთვის ვცდილობდი ადამიანებთან ისევე მოვქცეულიყავი, როგორც ისინი იქცევიან ჩემთან. ვფიქრობ, მე პატივს მცემენ იმის გამო, რომ მეც პატივს ვცემ გარშემომყოფებს. და კიდევ, ახლა უფრო ყურადღებით დავგეგმავ ჩემს თავისუფალ დროსა და შვებულებასაც კი“.*

### სამუდამოდ წითელი

სიტუაცია, რომელშიც სტივენ ჯერარდი აღმოჩნდა, განსაკუთრებით უჩვეულოდ ეჩვენებათ იმათ, ვინც მას კარგად იცნობს. რა თქმა უნდა, არსებობენ ფეხბურთელები, რომელთა გამოჩენაც სასამართლო დარბაზში მსგავსი ჩხუბის შემდეგ არავის უკვირს. ჯერარდი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. ის თავისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევა და თან ხალხში „უბრალო ბიჭის“ სახელი აქვს. თავისი კარიერის საუკეთესო წლები სტივ ჯიმ ერთ კლუბს მიუძღვნა, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგის ორი ყველაზე წარმატებული კლუბი - „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ არაფერს იშურებდნენ მასთან კონტრაქტის გასაფორმებლად. სერ **ალექს ფერგიუსონი** მას **როი კინს** უწოდებდა, ეს კი შოტლანდიელისგან უდიდესი კომპლიმენტია, **ჟოზე მოურინიოს** კი ოთხი წელი ეგონა, რომ ჯერარდი უკვე „ჯიბეში“ ჰყავდა. მაგრამ სტივენმა ბოლო მომენტში მაინც „ენფილდზე“ დარჩენა ამჯობინა. ცოტა ხნის წინ, ჯერარდმა ახალი კონტრაქტი გააფორმა „ლივერპულთან“. პრემიერლიგის მოგების სურვილი ყოველწლიურად ძლიერდება. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე დაძაბული ფინალის მოგებაც კი გაუფერულდება იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთიდან ისე წავა, რომ სამშობლოში ვერ შეიგრძნობს მთავარ საფეხბურთო სიხარულს.

*„თუ მე ინგლისის ჩემპიონი ვერ გავხდები, ეს ჩემს გულში დიდ სიცარიელეს დატოვებს. და მაინც, „ლივერპული“ რომც არ ითვლებოდეს ტიტულისთვის ბრძოლის კანდიდატად, მე ამ შემთხვევაშიც გამიჭირდება ამ კლუბის დატოვება. შემიძლია „ლივერპულში“ მოვიპოვო ჩემი გამარჯვებების 90 პროცენტი და ჩემპიონი სხვა გუნდში გავხდე, მაგრამ ასეთ მედალს ჩემთვის დიდი ფასი არ ექნებოდა.*

*„ლივერპულთან“ ერთად რვა წლის ასაკიდან მოვდივარ. მახსოვს ჩემი პირველი ფინალი - კარდიფში უორთინგტონის თასზე „ბირმინგემ სიტის“ წინააღმდეგ. ზღვა ხალხი ავტობუსის გარშემო და მე განცვიფრებული ვუყურებდი მათ სახეებს...*

*ეს იყო წუთები, როცა ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი მოვლენის ნაწილი ვიყავი, ვიდრე უბრალოდ საფეხბურთო გუნდია. მე შეიძლება იმ ბრბოდან ერთ-ერთი ვყოფილიყავი, მაგრამ მათგან განსხვავებით ბურთით თამაში უკეთესად გამომდიოდა. მაშინ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ.*

*თუ თქვენ მატჩის წაგების შემდეგ „ლივერპულის“ ავტობუსში ჩასხდებით და მე და ჯეიმი კარაგერს შემოგვხედავთ, მოისურვებთ შორს დაიჭიროთ ჩვენგან თავი. განსხვავება იმაშია, რომ ასაკთან ერთად მე ამ დაძაბულობისგან სიამოვნების მიღება ვისწავლე. დღეს ჩვენ ვცდილობთ ეს გრძნობა ლეგიონერებსაც გადავცეთ“.*

### რაფა ღმერთია!

ჯერარდისთვის კიდევ ერთი მოტივაცია - **რაფაელ ბენიტესია.** მათ შორის ურთიერთობა ყოველთვის სანიმუშო არ ყოფილა. ესპანელი მწვრთნელის ინსტინქტური სურვილი - მოედანზე მუდმივად წესრიგი ჰქონდეს, აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა ჯერარდის პოზიციურ უდისციპლინობას, რომელიც მთელ მოედანზე დარბოდა ბურთის მოსაპოვებლად. მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ არ შეიძლებოდა ჯერარდისთვის ცენტრალური ნახევარმცველის ადგილის ნდობა და ის წინ წასწია. სტივს ეს არ მოეწონა, მაგრამ აგრძელებდა შესანიშნავი ფეხბურთის ჩვენებას, რომელიც „ლივერპულს“ ყველა ფრონტზე ბრძოლაში ეხმარებოდა. დროთა განმავლობაში ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობა გაჩნდა. ჯერარდი პატივს სცემდა ბენიტესის ყურადღებას ყველანაირი წვრილმანისადმი და მის მისწრაფებას სრულყოფისკენ. ბენიტესს კი მოსწონდა ჯერარდის უნარი - გადაეწყვიტა ამა თუ იმ მატჩის ბედი. არასწორი იქნებოდა „ლივერპულში“ სტივენ ჯერარდის როლისთვის კომპრომისი გვეწოდებინა, იმიტომ, რომ ასეთი განსაზღვრება სისუსტეს გულისხმობს. მაგრამ არის რაღაც განსაკუთრებული იმაში, რომ ცენტრში წინ წაწეული სტივენის დაცვითი თვისებები შეზღუდულია.

*„რაფასთან ხუთწლიანი თანამშრომლობის შემდეგაც კი არ დამიკარგავს სურვილი რაიმე სასიამოვნო გავაკეთო მისთვის ან ყოველ მატჩში მოვაწონო თავი. ასე ხდება ყველა დიად მწვრთნელთან მიმართებაში. მე ორ მათგანში გამიმართლა - ბენიტესთან და ფაბიო კაპელოსთან ვმუშაობ. როცა ხედავ, როგორ შრომობენ ისინი, როგორ წვრილმანებს აქცევენ ყურადღებას, ხვდები, რომ მათ დაუფასებელი სამუშაო აქვთ.*

*ასეთი სიტუაცია ავიღოთ: მე თამაში გამომდის. ბოლო წუთზე გავიტანეთ გოლი, მოვიგეთ - 2:1 და ორივე ბურთი მე შევაგდე. გასახდელში ვბრუნდები, სიამოვნებისგან ვღიღინებ და ვფიქრობ: „შესანიშნავი დღე გამოვიდა“. შემდეგ ის შემოდის გასახდელში, მიუთითებს ჩემს შეცდომებზე, მთავაზობს მინდორზე გასვლას და იმის ჩვენებას, როგორ უნდა მემოქმედა სინამდვილეში.*

*ან ასეთი სიტუაცია: თამაშობ ზედიზედ ათ მატჩს, გეჩვენება, რომ მინდორზე დაფრინავ, ის კი ამასწინდელი მატჩის დისკს იღებს, რომელიც კარგ და ცუდ სათამაშო ფრაგმენტებად არის დაყოფილი. შენ ფიქრობ: შეუძლებელია, მე ხომ კარგად ვითამაშე. მაგრამ ყურადღებით აკვირდები და თავად ხედავ, რომ ერთ ეპიზოდში არასწორად შევარჩიე პოზიცია, მეორეში ძალიან გვიან ჩავები თამაშში, მესამეში მეტოქე გამექცა. უყურებ და საკუთარ თავს ეკითხები: ეს ადამიანი საერთოდ იცლის ძილისთვის?*

*თავიდან, როცა ის ასეთ რამეს აკეთებდა, ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუთუ მას არ უნახავს ჩემი ბოლო 150 მატჩი „ლივერპულის“ შემადგენლობაში? ის მოდიოდა და ერთს და იმავეს მიჩიჩინებდა: „მარცხენა ფეხი, მარცხენა ფეხი...“*

*ყველას ვეუბნებოდი: „26 წლის ვარ. თუ მას მიაჩნია, რომ ჩემი მარცხენა ფეხი არ მუშაობს, ესე იგი ის არასოდეს ამუშავდება“. მაგრამ გავიდა რამდენიმე კვირა და მე მარცხენა ფეხით გოლი გავიტანე. ის ჩემთან მოვიდა და ღიმილით მითხრა: „დღეს გაგიმართლა, მარცხენათი გაიტანე“.*

*მოგვიანებით გავაცნობიერე. ეს მისი მუშაობის სტილია, სამწვრთნელო ნოუ ჰაუ. ის ასე აქეზებს ფეხბურთელებს, აიძულებს მათ მუშაობას. ფეხბურთელს ან ესმის ეს და ორმაგი ენერგიით განაგრძობს მუშაობას, ან აღშფოთებას ვერ მალავს და მწვრთნელს აღარ უსმენს. ასეთებს ბენიტესთან არაფერი ესაქმებათ“.*

### კაპელოს სტილი

სტივენ ჯერარდი სიამოვნებით ლაპარაკობს ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოზე** და მის სტილს ბენიტესის მეთოდებს ადარებს.

*„ვფიქრობ, სწორედ რაფა დამეხმარა ფაბიო კაპელოს მუშაობის სტილთან უკეთ შეგუებაში. მისი მუშაობის სტილი ჰგავს ბენიტესისას. მასაც ბევრი ხერხი აქვს იმისთვის, რომ მოთამაშეს „ვარსკვლავური ავადმყოფობა“ არ შეეყაროს. ეს მაშინ არის საჭირო, როცა ფეხბურთელს საკუთარი თავი გენიოსად მიაჩნია.*

*მე მომეწონა კაპელოს სტილი ზაგრებში ხორვატების დამარცხების შემდეგ. მწვრთნელის პირველი შეფასება ასეთი იყო - შეგვეძლო უკეთესად გვეთამაშა. არადა, ჩვენი მეგობრები, რომლებიც იმ მატჩს ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალს, აღფრთოვანებულნი იყვნენ ინგლისის თამაშით, გულშემატკივრები ველურ ექსტაზში ჩაცვივდნენ, ის კი უკვე მომდევნო შეხვედრაზე ფიქრობდა.*

*ყველანი ძალიან დაღლილები ვართ. მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს მოდუნება უნდათ, მაგრამ ფაბიო უკვე მზად არის ჩვენს გასამხნევებლად და ისევ ბრძოლაში გასაშვებად. იმ წუთებში, რასაც უნდა ფიქრობდე ასეთ მეთოდზე, მოგვიანებით ხვდები, რომ მწვრთნელის ენერგია ძალას გმატებს და ისევ ბრძოლა გინდება.*

*უყურებ კაპელოს ტიპის ადამიანს და გრძნობ, რომ მას შეუძლია დაგეხმაროს უფრო მეტის მიღწევაში. როგორც მწვრთნელი, ის ყოველთვის მომწონდა. როცა მან ჩვენს ნაკრებში მიწვევა მიიღო, მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს შეიძლება გარდამტეხი მომენტი ყოფილიყო ჩვენი გუნდისთვის.*

*არ მინდა ისე დავტოვო ფეხბურთი, რომ ჩემს სანაკრებო კარიერაში კულმინაციურ მომენტად ის მეოთხედფინალი (ევრო 2004-ზე პორტუგალიის წინააღმდეგ) აღიქმებოდეს, რომელიც პენალტების სერიაში წავაგეთ. მინდა მიღწევები და დიადი გუნდი დამამახსოვრდეს...*

*მახსოვს, უმნიშვნელოვანესი მატჩების სრულ გაუგებრობაში რომ ვიყავი. არ ვიცოდი კონკრეტულად რომელ ადგილზე მომიწევდა თამაში და რა უნდოდა ჩემგან მწვრთნელს.*

*ახლა კი პირიქითაა - მოუთმენლად ველი ნაკრების შეკრებებსა და ვარჯიშებს, იმიტომ, რომ მინდა დონ ფაბიოს გვერდით ვიყო, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ მასწავლოს.*

*კაპელო არ ეპატიჟება ფეხბურთელებს ვახშამზე ან კინოში, ის იმათ რიცხვს არ განეკუთვნება, ვისი გაბრაზებაც ღირს. მაგრამ ამავდროულად, ის ქვის არ არის - შეუძლია მოვიდეს და ფეხბურთელს მხრებზე მოუთათუნოს ხელი.*

*ხშირად მეკითხებიან, რისი გაკეთება მინდა ფეხბურთის შემდეგ. ვპასუხობ, რომ მწვრთნელობას ვაპირებ. მაგრამ შემდეგ დავფიქრდები: შევძლებ კი ისეთივე მაღალი დონის მწვრთნელი გავხდე, როგორებიც ბენიტესი და კაპელო არიან? ისინი გამოსასვლელი დღის გარეშე, დღე-ღამეში 24 საათი მუშაობენ. ფეხბურთი მათი ცხოვრებაა, მათ სხვა არაფერი აქვთ. არ მგონია, ისეთივე „არანორმალური“ გავხდე, როგორებიც ისინი არიან.*

*თამაშების შემდეგ ფეხბურთიდან გამოთიშვა მიყვარს. ორი გოგონა მყავს და მათ დიდ ყურადღებას ვუთმობ, გოლფს ვთამაშობ. რაფაზე ბევრს ვფიქრობდი და გამახსენდა, რომ ხუთწლიანი თანამშრომლობის განმავლობაში არ გვქონია ერთი საუბარიც კი, რომელიც ფეხბურთს არ შეეხებოდა. კაპელოც ასეთია. ეს ადამიანები ძალიან მაკვირვებენ“.*



**გია თვალაბეიშვილი**

2425

ჭიდაობა

# წარმატება თურქეთის რესპუბლიკის თასზე

ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავეები დიდი წარმატებით გამოვიდნენ სტამბოლში, „რესპუბლიკის თასზე". ეს ტურნირი მხოლოდ ვაჟებში ტარდება და თანაც ორივე სტილით მოჭიდავეთა შორის. ჩვენებიც ორივე ტურნირში გამოვიდნენ, ხოლო შეჯიბრება მომავალ სეზონზე მოფიქრალმა მწვრთნელებმა ახლების გამოსაცდელად გამოიყენეს და ზოგიერთ წონაში რამდენიმე ფალავანიც წაიყვანეს.

რაოდენობრივად ტურნირში უფრო წარმატებულნი „თავისუფლები" იყვნენ - მათ რვა მედალი მოიპოვეს, ბერძენ-რომაელებმა კი - ხუთი, მაგრამ საინტერესოა, რომ ოქრო-ვერცხლის მედლებით ორივე ტოლ-სწორია - ერთი ოქრო და სამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, ორივე ნაკრებს ოთხ-ოთხი ფინალისტი ჰყავდა, მაგრამ შეთანხმებულებივით მხოლოდ თითო გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოიგეს. ამ სტატისტიკის შემდეგ შეხსენებაც არ გინდათ, რომ „თავისუფლებმა" ოთხი ბრინჯაო მოიპოვეს, ბერძენ-რომაელებმა - ერთი. „თავისუფალთა" ოქრო **ლაშა ტალახაძის** (65) მონაგარია, ვერცხლის მედლები ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა **დავით ხუციშვილმა** (74), იმავე ტურნირის ვიცე-ჩემპიონმა **დავით მარსაგიშვილმა** (84) და **ომარ გუსოშვილმა** (96), მოიპოვეს, ბრინჯაოსი - **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60), **დავით გალეგაშვილმა** (66), **თევდორე ებანოიძემ** (96) და **თორნიკე ხიდეშელმა** (96).

ბერძენ-რომაელთა ნაკრების ჩემპიონი **პაატა ბაკურიძეა** (74), ვიცე-ჩემპიონები - **მინდია წულუკიძე** (55), **უჩა ჩიტიაშვილი** (74) და **სერგო გოგისვანიძე** (120). მესამე საპრიზო ადგილზე **ბექა ჩოფლიანი** (96) გავიდა.

ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელია „თავისუფალთა" ჩემპიონის ვინაობა - ტალახაძე ნაკრებში შედარებით ახალი სახეა და დიდად არც აქამდე გამოირჩეოდა, ამხელა წარმატების მოლოდინი რომ გვქონოდა. თან ნაკრების ლიდერებად სხვები მიიჩნევიან, მაგრამ ტალახაძემ სასიამოვნოდ გაგვაოცა და სოლიდურ ტურნირში თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. მან ფინალში ირანელი **არფე ფაზლი** დაამარცხა, იქაური სკოლა კი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. მისასალმებელია, რომ სეზონს სტაბილურად მაღალ დონეზე ატარებენ ხუციშვილი და მარსაგიშვილი. თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების შემდეგ მათ წააგეს მსოფლიოს პირველობა, თუმცა ამან ვერ გატეხა. ეს იმის წინაპირობაა, რომ უფრო დიდი წარმატებებიც მოვა, ხოლო თბილისში მოპოვებული მედლები შინაური კედლების დამსახურება არ ყოფილა. ისიც სათქმელია, რომ ორი კვირის წინ ორივემ უკრაინის საერთაშორისო ტურნირში ასევე ვერცხლის მედლები მოიპოვა. სტამბოლში ორივე რუსეთის წარმომადგენელ ლეკთან დამარცხდა - ხუციშვილმა **არსენ შალაევთან** წააგო, მარსაგიშვილმა - **მაგომედხაჯი ხატიევთან**.

როგორც ვხედავთ, ჩვენები ყველაზე დიდი წარმატებით 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვიდნენ, სადაც კვარცხლბეკზე ოთხი მედალოსნიდან სამი ქართველი იყო - გუსოშვილი, ებანოიძე და ხიდეშელი, რომელთაგანაც ყველაზე გამოცდილი ხიდეშელია. გუსოშვილმა ფინალი ასევე რუსეთის წარმომადგენელ **მარატ იბრაგიმოვთან** დათმო. საგულისხმოა ჩოჩიშვილის მედალიც, რომელმაც ორი კვირის წინ უკრაინული ტურნირი მოიგო. ალბათ, მწვრთნელები გაცილებით მეტს ელოდნენ მძიმეწონოსან **ლევან ბერიანიძისგან**, რომელიც წარუმატებლად გამოვიდა. არადა, ამ წონაში ძალზე საინტერესო დაუსწრებელი პაექრობაა გაჩაღებული მასსა და **გიორგი საკანდელიძეს** შორის, რომელიც წლეულს ევროპა-მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. გუნდის თავკაცმა **ვლადიმერ სხირელმა** ორივე ფალავანი შეგნებულად წაიყვანა უკრაინაში - აინტერესებდა მათი შეხვედრა უშუალოდ ტურნირზე და არა სპარინგებზე, თუმცა ჩვენებურთა გზები იქ არ გადაიკვეთა, ისე გავიდნენ მესამე ადგილზე. ამჯერად სხირელმა საკანდელიძე დაასვენა, რადგან მან წინა კვირას ხასავიურტში საკონტინენტთაშორისო თასზე იჭიდავა, უკრაინის ტურნირიდან ერთ კვირაში. ამიტომ ამჯერად მხოლოდ ბერიანიძე გამოსცადეს.

ბერძენ-რომაელებში გასაკვირი არაა ბაკურიძის წარმატება - ის ამ ნაკრების გამოცდილი წევრია, ხოლო ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონიცაა. ამჯერად ის ერთი წონით ზევით გამოვიდა, სადაც ქართული ფინალი გაიმართა - გამოცდილმა ბაკურიძემ გამოუცდელ და ახალბედა ჩიტიაშვილს მოუგო. საყურადღებოა წულუკიძის ვერცხლიც - ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ახალ წონაში იჭიდავა. ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე იყო ცნობილი, რომ ის წონას გამოიცვლიდა - სტაბილურად იკლებს ლამის 10 კილოგრამს. მისასალმებელია, რომ ახალ წონაში პირველი ნაბიჯი წარმატებულად გადადგა - მსგავს ცვლილებას ყოველთვის სჭირდება გარკვეული დრო ადაპტაციისთვის. სამწუხაროდ, ფინალური შეხვედრის მიმდინარეობაზე გუნდის თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილის** თბილისში დაბრუნებამდე ვერაფერს გეტყვით, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ უკეთესი შედეგის ჩვენებაში ხელი მსაჯებსაც შეეშალათ - წულუკიძე ფინალში მასპინძელ **ენეს ბასარის** შეხვდა. ცხადია, სასიხარულოა ქუთაისელი გოგისვანიძის წარმატებაც, მაგრამ გარკვეული მიზეზით უფრო ჩოფლიანს გამოვარჩევთ - სპეციალისტთა ნაწილი მას **ვლადიმერ ქარჩავაზე** არანაკლებ პერსპექტიულად მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ ქარჩავა წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა და თბილისელი მაყურებელი ლამაზი, დამაჯერებელი ჭიდაობით არა უბრალოდ მოხიბლა, ალაფრთოვანა. ამბობენ, რომ მას დიდად არც ჩოფლიანი ჩამორჩება და მათი სახით **რამაზ ნოზაძეს** ღირსეული შემცვლელები ეზრდება. საინტერესოა, რომ ორივე ახალგაზრდა ოზურგეთში, ერთ დარბაზშია გაზრდილი.

**ირაკლი თავაძე**

სარგისიანის ტურნირი

# ქართული ფინალი ვანაძორში

საქართველოს ნაკრები წარმატებით გამოვიდა სომხეთში, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ სტეფან სარგისიანის სახელობის ტურნირში. ტრადიციულ შეჯიბრებას სარგისიანის მშობლიური ქალაქის - ვანაძორის სპორტის სასახლემ უმასპინძლა და მასპინძლებთან ერთად მასში ჩვენები, რუსები, უკრაინელები და ირანელები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა სამი ოქრო, ორი ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვა, ჯამში 11 მედალი. ჩემპიონები **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) და **დავით ოთიაშვილი** (120) გახდნენ. მეორე ადგილებზე **გელა სალირაშვილი** (74) და **გიორგი ნიკურაძე** (120) გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55), **მალხაზ მუზიაშვილმა** (66), **ნიკოლოზ გაგნიძემ** (84), **არჩილ ქიტიაშვილმა** (84) და **დაჩი ქერაშვილმა** (96) მოიპოვეს.

გოჩაშვილმა ფინალში ირანელ **ტერტერიანს** მოუგო, გავაშელიშვილმა კი ძლიერი მასპინძელი **ედგარ იენოკიანი** დაამარცხა. რაც შეეხება მძიმე წონას, აქ ქართული ფინალი გაიმართა და ორივეს წარმატება მისასალმებელია. ოთიაშვილიც და ნიკურაძეც, პრაქტიკულად, ხელახლა გამოჩნდნენ დიდ სპორტში, სალირაშვილმა კი გადამწყვეტი შეხვედრა უკრაინელ თანამემამულე **გია ჩიხლაძესთან** დათმო.

**ირაკლი თავაძე**

## განცხადება

25 ნოემბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ჩატარდება საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

მის: ი. ჭავჭავაძის 49ა.

ჭადრაკი

# ქალთა ნაკრებმა ლიდერობა შეინარჩუნა

შარშან დრეზდენში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს და უკრაინის ქალთა ნაკრები გუნდები ერთურთს არ შეხვედრიან, მაგრამ ღირსეული კონკურენტები გამოდგნენ და საბოლოოდ თანაბარი ქულები დააგროვეს. ჩვენებმა მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით აჯობეს მეტოქეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. გუშინ ისინი სერბეთში ევროპის ჩემპიონატზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პაექრობა დიდხანს არ გაგრძელებულა — ოთხივე პარტია (**ნანა ძაგნიძე-კატერინა ლაჰნო, ლელა ჯავახიშვილი-ნატალი ჟუკოვა, სოფიკო ხუხაშვილი-ინა გაპონენკო, ნინო ხურციძე-ნატალია ზდებსკაია**) ყაიმით დამთავრდა.

გაცნობებთ დანარჩენი მატჩების შედეგებს: **სომხეთი-აზერბაიჯანი 2:2, პოლონეთი-რუსეთი 1,5:2,5, სერბეთი-უნგრეთი 0,5:3,5, საფრანგეთი-გერმანია 3:1, რუმინეთი-სლოვენია 3:1, საბერძნეთი-ჩეხეთი 2:2, ჰოლანდია-ისრაელი 1,5:2,5, ესპანეთი-იტალია 2,5:1,5, ბულგარეთი-ავსტრია 4:0, ხორვატეთი-თურქეთი 3,5:0,5, ჩერნოგორია-ბოსნია 3:1, ნორვეგია-ინგლისი 0,5:3,5, ფინეთი-მაკედონია 1,5:2,5.**

მას შემდეგ, რაც სომხები და აზერბაიჯანელები დაზავდნენ, საქართველოს ქალთა ნაკრებმა 9 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან: **აზერბაიჯანი** - 8 (13.5), **რუსეთი** - 8 (13.5), **უკრაინა** - 8 (12.5), **რუმინეთი** - 7 (12.5), **საფრანგეთი** - 7 (12.5), **სომხეთი** - 7 (12.5), **პოლონეთი** - 6 (13.5), **საბერძნეთი** - 6 (12.0), **უნგრეთი** - 6 (11.5)...

იყო დრო, დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** ბაქოელ **თეიმურ რაჯაბოვს** ავარჯიშებდა, მერე ერთხანს **ბაადურ ჯობავასაც** უწევდა კონსულტაციებს (ამჟამად აზერბაიჯანის ვაჟთა ნაკრების კაპიტანია). გუშინ მისი ნამონაფრები ნოვი სადში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჯობავამ ლაზიერების ენდშპილში 74-ე სვლაზე აიძულა მეტოქე, საათი გაეჩერებინა. სამწუხაროდ, ლიდერის გამარჯვებამ გუნდს წარმატება ვერ მოუტანა, რადგან **მიხეილ მჭედლიშვილი** და **ლევან ფანცულაია**, შესაბამისად, **ვუგარ გასიმოვთან** და **გადირ გუსეინოვთან** დამარცხდნენ, ხოლო **თორნიკე სანიკიძე შაჰრიარ მამედიაროვს** დაუზავდა. საბოლოოდ აზერბაიჯანმა 2,5:1,5 გაიმარჯვა და 10 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. რუსეთმა ისრაელს 3:1 აჯობა და 8 ქულით (13,5) საქართველოსთან (12) ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.




ვაჟთა გუნდების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ისრაელი-რუსეთი 1:3, საფრანგეთი-სომხეთი 2:2, ესპანეთი-სერბეთი (1) 2:2, ჰოლანდია-ჩეხეთი 2:2, საბერძნეთი-უკრაინა 1:3, პოლონეთი-გერმანია 2:2, უნგრეთი-ავსტრია 3:1, ბულგარეთი-სერბეთი (2) 3:1, რუმინეთი-ინგლისი 2:2, სლოვენია-დანია 1,5:2,5, იტალია-ბელგია 2:2, შვეიცარია-ბოსნია 3:1, ჩერნოგორია-ნორვეგია 1,5:2,5, თურქეთი-ფინეთი 3:1, ხორვატეთი-მაკედონია 2,5:1,5, ლიტვა-ისლანდია 3:1, შოტლანდია-უელსი 1,5:2,5, ლუქსემბურგი-მონაკო 3:1.**

ლიდერთა უახლოეს მდევრებს – უნგრეთს (13,5), საფრანგეთს (12,5), ესპანეთს (12,5), ჰოლანდიას (12,5), უკრაინას (12,5), სომხეთს (12) და სერბეთის პირველ ნაკრებს (12) 7-7 ქულა აქვთ.

დღევანდელი ორთაბრძოლებიდან დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი შეხვედრები:

ქალები. **საქართველო-აზერბაიჯანი, რუსეთი-უკრაინა, საფრანგეთი-სომხეთი, რუმინეთი-ესპანეთი, ისრაელი-პოლონეთი, უნგრეთი-საბერძნეთი, გერმანია-ჩეხეთი.**

კაცები. **უკრაინა-საქართველო, აზერბაიჯანი-რუსეთი, სომხეთი-ესპანეთი, ჰოლანდია-საფრანგეთი, სერბეთი(1)-უნგრეთი, ჩეხეთი-ბულგარეთი, გერმანია-ისრაელი, დანია-პოლონეთი.**

**ვაჟა დანელია**

# ოქროს დედოფლის ლაურეატები


ნანი უნაფქოშვილი

ქართველ მოჭადრაკეებს ბოლო დროს ბევრი თანამდგომი გამოუჩნდა. ერთ-ერთი იტალიურ-ქართული სამრეწველო (IGI) ჯგუფია, რომლის ინიციატივითა და დაფინანსებით თბილისის ჭადრაკის სასახლეში მეორედ გათამაშდა IGI-ის თასი „ოქროს დედოფალი". ფესტივალში (მთავარი მსაჯი — ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ მიქაძე**) 10-16 წლის მოზარდები მონაწილეობდნენ შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად. გუშინ გადამწყვეტი პარტიები გაიმართა, რომლებმაც გამარჯვებულები გამოავლინა.

10-წლიან ვაჟებში ყველას **ლუკა ლიჩელმა** აჯობა, რომელიც ბოლო ტურში **რატი პერტიას** დაუზავდა და 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ქულა გაიყვეს **თორნიკე იარაჯულმა** და **გურამ ჭელიძემ, გიორგი ვარაზაშვილმა** და **ვანო ოქრუაშვილმა** კი შავი ფიგურებით, შესაბამისად, **ლუკა ქორიძე** და **საბა ამირიძე** დაამარცხეს. 5,5-5,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილები **გიორგი ვარაზაშვილმა, რატი პერტიამ, თორნიკე იარაჯულმა** და **ვანო ოქრუაშვილმა** გაინაწილეს.

გოგონებში 6 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **მარიამ ჯავახიშვილი**. ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით **დალი ნანეიშვილს** მოუგო. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა **ნინო ქერდიყოშვილის** მძლეველი **მარიამ თვალავაძე**, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. 5-5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებზე **მარიამ შუბითიძე, ნინო ქერდიყოშვილი** და **მაია ბეჭვაია** გავიდნენ. საგულისხმოა, რომ ბეჭვაია 8 წლისაა და ამ ასაკში პირველობა მას ერგო.

12-წლიანებში **ვასილ დოთიაშვილმა ლევან ხიზანიშვილს** აჯობა და 5,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. **საბა ბიბიჩაძემ** ერთპიროვნულ ლიდერ **გიორგი ბოსიკაშვილს** გადაუღობა ოქროსკენ მიმავალი გზა. მშვიდობიან ზავს მოაწერეს ხელი **გიორგი ბეჭვაიამ** და **სანდრო მუმლაძემ**. სწორედ, **ბოსიკაშვილმა, ბეჭვაიამ, მუმლაძემ და ბიბიჩაძემ** გაიყვეს მეორე-მეხუთე ადგილები.

16-წლიანებში ბოლო ტურის წინ 5 ქულით **მარიამ თევზაძე** ლიდერობდა ერთპიროვნულად. გუშინ იგი **თორნიკე გაბუნიას** დაუზავდა, სამაგიეროდ, **ნანი უნაფქოშვილმა** შავი ფიგურებით **ოთარ მანგიაშვილი** დაამარცხა და ასევე 5,5 ქულით და უკეთესი კოეფიციენტი პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე **თევზაძე** გავიდა, მესამე ადგილი **ნიკა ვოლკოვს** ხვდა, რომელმაც ბოლო ტურში **ალექსანდრე ებრალიძეს** მოუგო.

ფესტივალის საზეიმო დახურვისას IGI ჯგუფის მენეჯერმა **მაგდა ჩანტლაძემ** და **ზურაბ მიქაძემ** პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მედლებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს, ხოლო გამარჯვებულებს იტალიაში დამზადებული IGI-ის თასები — „ოქროს დედოფალი" გადასცეს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# უილბლო დღე

არგენტინაში მიმდინარე 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მე-5 ტური საქართველოს წარმომადგენლებისთვის უილბლო აღმოჩნდა. ვაჟებში **გიორგი მარგველაშვილმა** შავი ფიგურებით დიდოსტატ **ედუარდო იტურისაგასთან** წააგო. ეს მისი პირველი მარცხია ამ ტურნირზე. ერთპიროვნული ლიდერი, ჩინელი **იუი იანი** თეთრებით **სერგეი ჟიგალკოს** დანებდა. **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა მიხაილ ოლშევსკის** სძლია. დაზავდნენ **მაქსიმ როდშტეინი-დმიტრი ანდრეიკინი, ავეტიკ გრიგორიანი-დავიდ იოველი.**

მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **ლეონარდო ტრისტანი** (3)-გიორგი მარგველაშვილი (3), სერგეი ჟიგალკო (4,5)-მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (4,5), იუი იანი (4)-მაქსიმ როდშტეინი (4), **ლი ჩაო** (4)-ედუარდო იტურისაგა (4), დავიდ იოველი (3,5)-**ფალკო ბინდრიჩი** (4).

გოგონებში **მირანდა მიქაძე შვამინათან სოუმიას** დაუზავდა, ხოლო **ნაზი პაიკიძე დეიზი ტელო კორისთან** დამარცხდა. ჩინელმა **ჟან სიაოვენმა ბეთულ ილდიზი** დაჯაბნა და ერთპიროვნულად დაწინაურდა. **ოლგა კალინინამ** თეთრებით **როუთ რადმინისთან** წააგო. ყაიმზე შეთანხმდნენ **ზოია სევერიუხინა** და **ჟოზეფინა პაულეტი.**

მე-6 ტურში ითამაშებენ: როუთ რადმინი (4)-ჟან სიაოვენი (4,5), ბეთულ ილდიზი (3,5)-დეიზი ტელო კორი (4), ჟოზეფინა პაულეტი (3,5)-**ანა აირაპეტიანი** (3,5), **იუდით ფუქსი** (3,5)-ზოია სევერიუხინა (3,5), **ფიონა სთეილ-ანტონი** (3,5)-ოლგა კალინინა (3,5), **კუბრა ოზთურქი** (3,5)-მირანდა მიქაძე (3,5) ნაზი პაიკიძე (3)-**მატილდე კონგიუ** (3)...

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

ბუნდესლიგა

# მგლებმა კბილები გამოაჩინეს


ლაშა გამყრელიძე

ლაშა გამყრელიძის "მიტელდოიჩერი" ბუნდესლიგაში წლეულს გადავიდა და ქართველი გამთამაშებელიც აღნიშნავდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ახალ სეზონში ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ბუნდესლიგის ხუთი ტურის შემდეგ გუნდის გეგმები აუცილებლად შეიცვლებოდა – "მიტელდოიჩერმა" უკვე ოთხი მატჩი მოიგო... სძლია ლიდერებსაც და, თუ ასე განაგრძო, პლეი ოფშიც მაღალი შედეგებისთვის იბრძოლებს.

მეოთხე გამარჯვებას "მგლებმა" ("დოიჩერის" სიმბოლო სწორედ ეს ცხოველია) "ფენიქსთან" მიაღწიეს, თანაც სტუმრად – 85:75.

ხუთი ტურის შემდეგ ლაშას გუნდი ბუნდესცხრილის თავშია. მას ქულებით მხოლოდ "არტლანდ დრაგონსი" უსწრებს, თუმცა "ურჩხულებს" "მიტელდოიჩერზე" ერთით მეტი მატჩი აქვთ გამართული, მოგებათა რაოდენობა კი თანაბარია.

"ფენიქსთან" მატჩი "მგლებმა" პირველ ტაიმში მოიგეს – დიდ შესვენებაზე 15-ქულიანი ფორით (55:40) გავიდნენ. მეორე ოცწუთეულში მასპინძლებმა სხვაობის ოდენ 10 ქულამდე შემცირება მოახერხეს და, როგორც ვთქვით, 75:85 დათმეს.

"მიტელდოიჩერს" მეტოქის კალათისკენ **ივან ელიოტი** გაუძღვა, რომელმაც 19 ქულა ჩააგდო. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 27-ს უწია. ამ მაჩვენებლით მეორე იყო ლაშა გამყრელიძე – 16. ქართველმა გამთამაშებელმა შეხვედრა ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 27 წუთი ითამაშა, 4-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი ჩააგდო, ერთი საჯარიმოც მიაყოლა და 8 ქულა მოუგროვდა. გარდა ამისა, ლაშას ანგარიშზე 7 პასი და 5 მოხსნაა. სხვათა შორის, სტუმრებმა სწორედ ფარზე მოპოვებული უპირატესობით იმარჯვეს — მათ "ფენიქსს" მოხსნებში 44:30 აჯობეს.

მომდევნო ტურში, 30 ოქტომბერს "მიტელდოიჩერს" სერიოზული გამოცდა ელის – **ტაირონ ელისისა** და **გორდონ ჰერბერტის** ყოფილ კლუბ "სკაილაინერსს" უმასპინძლებს. ფრანკფურტელებს სამი მოგება აქვთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**


მარცხნივ გიორგი შერმადინი

საბერძნეთის ჩემპიონატი

# შერმადინმა საქართველოდან საბერძნეთში წვიმა წაიღო

"პანათინაიკოსმა" საკონტროლო მატჩებში მოსკოვის ცსკა-ს ორჯერ იოლად აჯობა და რა გასაკვირია, თუ საბერძნეთის ჩემპიონატის პირველივე ტურში ლარისას "ოლიმპია" არ ამოასუნთქა. საგარეო მატჩში **გიორგი შერმადინის** თანაგუნდელებმა ოლიმპიელებს 83:48 აჯობეს.

გეხსომებათ, შერმადინი კარიერას რომ იწყებდა, სუპერლიგის მატჩები ვერის ბაღის დარბაზში იმართებოდა. იქ ყველა სხვა "სიკეთესთან" ერთად მოედანზეც ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. ჰოდა, კალათბურთელებს ტილოს ნაჭრებისთვის გვერდის ავლა უხდებოდათ.

...და რა შუაშია ნაჭერი, წვიმა და "პანათინაიკოსი"? – იკითხავთ. გთავაზობთ ერთ-ერთ ბერძნულ გაზეთში გამოქვეყნებული მიმოხილვის ფრაგმენტს და პარალელი თავად გაავლეთ:

*"ლარისას" არენაზე კალათბურთელებს სერიოზული პრობლემა შეუქმნა წვიმამ. თამაშისას დარბაზში წყალი ჩამოვიდა და ნაჭრები უშუალოდ მოედანზეც დააფინეს. თავიდან შეხვედრა გაგრძელდა, მაგრამ მალე მსაჯმა ჩასტვინა და კალათბურთელები მოედნიდან გაიყვანა. 15-წუთიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანი გაშრა და მატჩი ჩვეულ რიტმში განახლდა."*

ასეთ ექსტრემალურ პირობებს მიჩვეულმა გიორგი შერმადინმა მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა. მან 18 წუთში 9 ქულა (7-დან 4 ორქულიანი) და 7 მოხსნა მიითვალა. ქართველ ცენტრზე მეტი მხოლოდ **კალათესმა** (15 ქულა) და **პეკოვიჩმა** (14) ჩააგდეს.

მატჩის შემდეგ ლარისას "ოლიმპიას" მწვრთნელმა დარბაზის უხარისხობის გამო მოიბოდიშა, ხოლო "პანათინაიკოსის" თავკაცმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** აღნიშნა:

*- შეხვედრას პირველივე წუთებიდან სერიოზულად მივუდექით. ჩვენი პრინციპი მეტოქის პატივისცემაა. ამიტომ "ოლიმპიასთან" სათამაშოდაც კარგად მოვემზადეთ. თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა კალათბურთელებს მივეცი და მათაც გაამართლეს. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ გვქონდა შეცდომებიც, რომლებიც დროდადრო უნდა გამოვასწოროთ.*

საინტერესოა, როცა "ოლიმპიამ" ოდენ 48 ქულა ჩააგდო, სტუმართა მწვრთნელი შეცდომებზე ლაპარაკობს... თუ საბერძნეთის პირველობის მომდევნო მატჩამდე "პანათინაიკოსის" კალათბურთელებმა შეცდომები გამოასწორეს, გამოდის, რომ 1-ელ ნოემბერს "არისს" მისსავე მოედანზე 40 ქულაც არ უნდა ჩააგდებინონ...

მანამდე "მწვანეებს" ევროლიგის მატჩი ელით, 29 ოქტომბერს რუსულ "ხიმკის" უმასპინძლებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფინეთი

# ბაქრაძე უმაღლესისკენ მიიწევს

გასულ უქმეებზე ფინეთის მეორე ლიგაში **გივი ბაქრაძემ** ორი მატჩი ითამაშა. შაბათს მისი "კორიკობრატი" "აანეკოსკენს" ესტუმრა და 82:78 დაამარცხა, ხოლო კვირას "ვარტი" მიიღო და 62:56 მოუგო.

ბაქრაძე ორივე შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. "აანეკოსკენთან" დაპირისპირებისას ქართველმა გამთამაშებელმა მოედანზე 21 წუთი გაატარა და 4-4 მოხსნა პასი მოაგროვა. დამაგვირგვინებელ ფაზაში არაზუსტი იყო – 2 ორქულიანი და 1 სამიანი ააცილა.

მომდევნო მატჩში გივიმ 32 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა და 2-2 პას-ჩაჭრა მიითვალა. 17 წლის ქართველმა გადამწყვეტ მომენტში ერთი ორქულიანი და ორი საჯარიმო ისროლა, რომელთაგან ერთი თავისუფალი ტყორცნა გამოიყენა და საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე "კორიკობრატი" 61:56 დააწინაურა. ლაპუელებმა საბოლოოდ 62:56 გაიმარჯვეს.

ბაქრაძის გუნდმა ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და ცხრილში სამ გუნდთან ერთად მეორე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ვიქტორ სანიკიძე

სერია A

# სანიკიძეც გაიხსნა

იტალიის ჩემპიონატის საწყისი ორი ტური **ვიქტორ სანიკიძესა** და **მანუჩარ მარკოიშვილს** აკლიმატიზაციისთვის დასჭირდათ. მესამეში ორივემ დამაჯერებლად ითამაშა. გუშინ გაუწყეთ, რომ მანუმ "მონტეგრანეროს" 13 ქულა ჩაუგდო. დღეს ვიქტორ სანიკიძის მონაგარზე გეტყვით. მართალია, ვიქტორმა 10 ქულას ვერ უწია, მაგრამ საკვანძო ეპიზოდებში მოედანზე იყო და თანაგუნდელებს (16 წუთში) 9 ქულით, 4 მოხსნითა და 1 პასით შეეწია. ვიქტორმა ხუთი ორქულიანი ისროლა და ერთადერთი ააცილა. მე-13 ნომრით მოასპარეზე "ვირტუსის" ქართველი კალათბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 13 შეადგინა. ყველაზე მაღალი მქკ ბოლონიელთა სნაიპერ **დევიდ მოსს** ჰქონდა - 16. მოსმა გუნდს 17 ქულა შემატა.

ახლა მატჩზე. იტალიის ჩემპიონატის მესამე ტურში ბოლონიის "ვირტუსმა" "ნაპოლის" უმასპინძლა და 76:62 დაამარცხა.

სანიკიძის თანაგუნდელებმა მატჩის დასაწყისში 8-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. ამ საქმეში დიდი წვლილი ქართველმა ფორვარდმა შეიტანა. იგი თამაშში მერვე წუთიდან ჩაერთო და მომდევნო ოთხ წუთში 8 ქულა ჩააგდო. მისი მეოთხე ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე მასპინძელთა სასარგებლოდ 27:19 დაფიქსირდა.

მესამე პერიოდიდან დევიდ მოსმა გაილაღა და ნეაპოლელებს შანსი არ დაუტოვა.

სერია A-ში სამ გუნდს სამივე მატჩი აქვს მოგებული. ცხრილში მათ მოსდევს ოთხეული ორ-ორი გამარჯვებით. სწორედ ამ კვარტეტში მოექცნენ სანიკიძის "ვირტუსი" და მარკოიშვილის "კანტუ".

იტალიის პირველობის მეოთხე ტურში, 1-ელ ნოემბერს ბოლონიის "ვირტუსი" ტერამოში ადგილობრივ "ტერკასს" შეხვდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ხელბურთი

# ჩელენჯ ტროფის შესანარჩუნებლად

უკვე ვწერდით, რომ 29 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები მოლდოვაში გაემგზავრება, სადაც "ჩელენჯ ტროფის" A ჯგუფში ითამაშებს. უკვე დადგენილია ტურნირის განრიგიც და ჩვენი გუნდის საბოლოო შემადგენლობაც.

დავიწყოთ კალენდრით. 30 ოქტომბერს სასტარტო მატჩში საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანს შეხვდება, 31 ოქტომბერს სომხეთს, 1-ელ ნოემბერს კი მასპინძელ მოლდოვას. ამ კვარტეტში გამარჯვებული B ჯგუფის საუკეთესო გუნდს დაუპირისპირდება და "ჩელენჯ ტროფის" ჩემპიონიც გამოვლინდება. B ჯგუფში ფინეთი, შოტლანდია, მალტა და ირლანდია ითამაშებენ. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები ამ ტურნირის მოქმედი ჩემპიონია.

ჩვენი გუნდი სოფელ დილმის დარბაზში ვარჯიშობს ახალი მწვრთნელების, **მერაბ მეტრეველისა** და **ირაკლი კეკელიძის** ხელმძღვანელობით. ლეგიონერების უმრავლესობა ნაკრებს უკვე შეუერთდა და იმედია, დანარჩენებიც დაუბრკოლებლად ჩამოვლენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: **შოთა თევზაძე** (ბაკაუ, რუმინეთი), **გიგა ტორონჯაძე** (სტუ-შევარდენი);

მოედნის მოთამაშეები: **სერგო დათუკაშვილი** (გორენიე, სლოვაკეთი), **ვლადიმერ რუსია** (ოდორჰეი, რუმინეთი), **რატი მსხვილიძე** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **რევაზ ჭანტურია** (მეტალურგი, მაკედონია), **ირაკლი ჩიქოვანი** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **ილია გოგალაძე** (სტუ-შევარდენი), **უჩა მაისურაძე** (თბილისი), **ვანო ქარდავა** (თბილისი), **შოთა გრიშიკაშვილი** (ართვინი, თურქეთი), **ამირან ყიფიანი** (სტუ-შევარდენი), **აკაკი ტალახაძე** (სტუ-შევარდენი), **გიორგი ნივნივაძე** (თბილისი), **ტიტე კალანდაძე** (თბილისი), **გიორგი კობახიძე** (სტუ-შევარდენი), **სერგეი კირილოვი** (ბულგარეთი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ხსოვნა
### ტრიფონ (ბიჭიკო) მესხი



ქართული ფარიკაობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ტრიფონ (ბიჭიკო) მესხმა. იგი იყო მუშკეტერთა ყველაზე წარმატებული აღმზრდელი საქართველოში. როგორც მწვრთნელმა, დიდ სპორტს აზიარა პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი, სახელოვანი ოსტატები გურამ კოსტავა, მორის სახვაძე და სხვები.

მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება.

65 წლისა გარდაიცვალა 1993 წელს.

გამოხმაურება

# ორი გიორგი ნამატჩევს

საბერძნეთის ჩემპიონატის სადებიუტო ტურში **გიორგი ცინცაძის** "ტრიკალამ" სტუმრად აეკ-ი რომ დაამარცხა, გუშინდელ ნომერში გაუწყეთ. დღეს ამავე გვერდზე გაეცნობოდით **გიორგი შერმადინის** "პანათინაიკოსის" მატჩის მიმოხილვას, რომელშიც წვიმაზეა ლაპარაკი.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებდა, რატომ ითამაშა ცინცაძემ ოდენ 7 წუთი და როგორ წვიმდა "ლარისას" არენაზე. ამ კითხვებით უშუალოდ ცინცაძესა და შერმადინს მივმართეთ.

რადგან ბუს თამაში ერთი დღით ადრე გაიმართა, ჯერ მას მოვუსმინოთ:

*- საკონტროლო შეხვედრებისას სათამაშო დროის პრობლემა არ მქონია. ამიტომ მეც გამიკვირდა, რატომ მათამაშა მწვრთნელმა მხოლოდ 7 წუთი. ხვალ ამის შესახებ მწვრთნელს აუცილებლად ვკითხავ...*

ცინცაძემ აღნიშნა, რომ "ტრიკალა" პირველი მატჩისთვის კარგად მოემზადა და აეკ-ისთვის მისსავე მოედანზე შანსი არ მიუცია.

გაცილებით შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსმა", რომელმაც სტუმრად ლარისას "ოლიმპია" 83:48 დაამარცხა.

*- ლარისას დარბაზში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. საქართველოში მეც შევსწრებივარ წვიმის გამო მოედანზე დაფენილ ტილოებს, მაგრამ თბილისში წყალი აქა-იქ ჩამოდიოდა, ლარისაში კი მთელ მოედანს აწვიმდა.*

შერმადინი საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ჩანდა:

*- 9 ქულა და 7 მოხსნა მოვაგროვე, მაგრამ მეტის გაკეთება შემეძლო. ერთი-ორი ჩასაგდები ბურთი ავაცილე. თუმცა მთავარია, რომ სარეკორდო სხვაობით მოვიგეთ. ასე რომ, არა მხოლოდ საქართველოში, საბერძნეთშიც ფიქსირდება მსგავსი რეკორდები.*

დაველოდოთ მომდევნო ტურს და იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალ კვირას სამ ქართველზე მოგვიწევს წერა – **ნიკა ცქიტიშვილს** ხომ "პანიონიოსთან" ორწლიანი კონტრაქტი აქვს, თუმცა სავიზო პრობლემები შეექმნა და საბერძნეთში ამიტომაც აგვიანდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ლელოელები თანაგრძნობას ვუცხადებთ კოლეგას დავით ერაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

ჩოგბურთი

# ცოტა პროგრესი ყველას

ქალთა რეიტინგ-ლისტის მონინავე ორასეულში ორი ქართველი ჩოგბურთელია. 19 წლის **ანა ტატიშვილი** 312 ქულით მსოფლიოს 179-ე ჩოგანია (+2), ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** 308 ქულით მსოფლიოს 181-ე ჩოგანი (+2). **მაკა ჩახნაშვილმაც** უმნიშვნელოდ აინაცვლა რეიტინგში, ის 256 ქულით 210-ე პოზიციაზეა (+2). **სოფიო შაფათავა** ხუთი ადგილით წინ, 114 ქულით 350-ე პოზიციაზე გადავიდა. სხვები: 454 (+4) **მანანა შაფაქიძე** - 72; 484 (+31) **თათია მიქაძე** - 62; 503 (+15) **სოფიო ქვაცაბაია** - 60; 517 (+12) **ეკა გორგოძე** - 57; 1031 (+15) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1113 (+8) **ანა ჯიქია** - 3. მოკლედ, თითქმის ყველას წინსვლა აქვს, ოღონდ უმნიშვნელო. თათია მიქაძემ 31 საფეხურით გაიუმჯობესა რეიტინგი და 500-ეულში შევიდა. წყვილთა რეიტინგში ჩვენებურები ასე განლაგდნენ: 155. ანა ტატიშვილი, 162. ოქსანა კალაშნიკოვა, 183. მაკა ჩახნაშვილი, 277. სოფიო შაფაქიძე, 382. მანანა შაფაქიძე, 428. ეკა გორგოძე, 472. თათია მიქაძე, 571. სოფიო ქვაცაბაია, 730. ანა ჯიქია, 764. მაგდა ოქრუაშვილი, 1045. **სოფიო შარანგია.**

ვაჟთა რეიტინგში 7 საფეხურით დაწინაურდა **ნიკოლოზ ბასილაშვილი,** რომელიც 50 ქულით მსოფლიოს 571-ე ჩოგანია. სხვები: 1034 (+10). **ლაზარე კუხალაშვილი** - 8 ქულა; 1051 (-51). **ლადო ჩიხლაძე** - 7; 1542 (+13). **გიორგი ცივაძე** - 1; 1618 (+13). **გიორგი რევაზიშვილი** - 1; 1618 (+13). **სოზარ გოქაძე** - 1; 1618 (+13). **ნოდარ ითონიშვილი** - 1.

სტამბოლის გარეუბან ტედის ჰარდის საფრის კორტებზე 25-ათასიანი ტურნირი იწყება. ორი ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადიდან ცდილობს ტურნირზე მოხვედრას. მე-11 ნომრად განთესილმა მანანა შაფაქიძემ ბულგარელ **იზაბელა შინიკოვას** დაძაბულ ბრძოლაში აჯობა - 4:6, 6:1, 6:1. ეკა გორგოძე მე-15 ნომრად არის განთესილი, მან თურქ **იპეკ ბიროლს** მოუგო - 6:4, 6:2. მეორე წრეში მანანა მე-6 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **მარლო მედენსს** (374) ხვდება. გორგოძის მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი რუმინელი **მიხაელა ბუზარნესკუა** (392).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# ბერუაშვილის სახელობის ტურნირი გორში



მთავარი პრიზის მფლობელი ბექა ფოფხაძე

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა ტიტულოვანი ქართველი ფალავნის დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში. დიდი სპორტსმენის მემორიალური ტურნირი ჭაბუკთა შორის გორში უკვე 25 წელიწადია ტარდება. თავდაპირველად საერთაშორისო იყო, 90-იანი წლების შუა ხანებიდან კი მხოლოდ ქართველი მოჭიდავეები მონაწილეობენ. წლეულს 1993-95 წლებში დაბადებული გორის, ქარელის, კასპის, სამაჩაბლოს, ბორჯომის, მარნეულის, ზუგდიდის, ზესტაფონის, საგარეჯოს და თბილისის წარმომადგენლები იბრძოდნენ წარმატებისთვის ცხრა წონით კატეგორიაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**46 კგ**: 1. ნოდარ რაზმაძე (გორი), 2. თორნიკე ჭოველიძე (სამაჩაბლო); 3. ერეკლე არხოშაშვილი (გორი) და ბექა რევაზიშვილი (კასპი); **50 კგ**: 1. მინდია ლოლიჯაშვილი, 2. ბექა ბუჟღულაშვილი, 3. იმედა ოქროპირიძე და ბექა შავდათუაშვილი (ყველა - გორი); **55 კგ**: 1. გიორგი გიუნაშვილი (გორი), 2. გიორგი საჩალელი (თბილისი), 3. რომან გოგიაშვილი (გორი) და ზაზა სიმონიშვილი (ქარელი); **60 კგ**: 1. ანდრო ბერუაშვილი, 2. თემურ გოგიაშვილი, 3. ჯემალ ზურაბაშვილი და ლევან მადუაშვილი (ყველა - გორი); **66 კგ**: 1. ირაკლი ლომიძე, 2. შოთა ოქროპირიძე, 3. თორნიკე მინდიაშვილი და შმაგი ხარაული (ყველა - გორი); **73 კგ**: 1. ზვიად გერგედავა (თბილისი), 2. დავით კვაშილავა (ზუგდიდი), 3. გიორგი სარიშვილი (მარნეული) და ზურაბ ყიფშიძე (თბილისი); **81 კგ**: 1. გიორგი სეტიელი, 2. ლევან ყარაბულაშვილი, 3. გურამ სალინაშვილი და ვლადიმერ ბექაური (ყველა - თბილისი); **90 კგ**: 1. ბესო გალუსტაშვილი, 2. გიორგი ქავთარაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიგა თაყაძე (გორი) და ნოდარ ტაბატაძე (ზესტაფონი); **+ 90 კგ**: 1. ბექა ფოფხაძე (ზესტაფონი), 2. უშანგი გასიტაშვილი (გორი), 3. გიგა გელაშვილი და სერგო ბალიაშვილი (ორივე - გორი).

ქალაქის კულტურისა და სპორტის სამსახურმა გამარჯვებულები და პრიზიორები სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა. საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს **გიორგი სეტიელი.** დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის პრიზი, რომელითაც, ტრადიციულად, მძიმე წონაში გამარჯვებული ჯილდოვდება, ბექა ფოფხაძემ დაიმსახურა.

**ვასილ ბალახაძე**
ავტორის ფოტო

დებიუტანტი

## ბექა ღვინიაშვილი (ძიუდო)



**დაიბადა** 1995 წლის 26 ოქტომბერს სოფ. რუისში

**ვარჯიში დაიწყო** გორის კობა კურტანიძის სახელობის ძიუდოს დარბაზში 2004 წელს. მწვრთნელები ანზორ თენაძე და ნიკო ბიბილაშვილი

**ამჟამად ვარჯიშობს** გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში იმავე მწვრთნელებთან.

**მიღწევები**: თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი (2009 წ), ერევნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ორგზის აქვს მოგებული დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტურნირი (2007, 2008), საქართველოს პირველობების მრავალგზის გამარჯვებული.

**მიზანი**: მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობა.

**ჰობი**: ცურვა

**ვასილ ბალახაძე**
ავტორის ფოტო

რაგბი

ლეგიონერები

# სოხაძის ბრინჯაო და მაჩხანელის მესამე ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში ხუთი ტურის შემდეგ ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი ლიდერობს. ამათგან ორი ჯერაც დაუმარცხებელია. მათ გარდა საპლეიოფო ოთხეულში მოსახვედრად პრეტენზიას კიდევ ექვსი „ქართული გუნდი" აცხადებს.

A ჯგუფში ზედიზედ მეოთხედ მოიგო **თენგიზ გელანტიას** „სენ ნაზერმა" და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. ჩვენებურის გუნდმა მე-5 ტურში „ლიმოჟს" უმასპინძლა და 27:20 მოუგო. გელანტია განაცხადში არ იყო.

სტუმრად წააგო „ნურთან" **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანმა" - 16:19. კოპალიანს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. „ორლეანი" სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.

**A ჯგუფი: სენ მედარი-პუატიე 0:6, სენ ნაზერი-ლიმოჟი 27:20, ნუარი-ორლეანი 19:16, ბობინი-ვანი 16:18.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. სენ ნაზერი - 17 ქულა, 2. ლიმოჟი - 15, 3. ბობინი - 14, 4. ვანი - 14, 5. ორლეანი - 10, 6. ნუარი - 9, 7. სენ მედარი - 9, 8. პუატიე - 7.**

B ჯგუფში სტარტზე განცდილი მარცხის შემდეგ ზედიზედ მეოთხედ მოიგო **შალვა სუთიაშვილის, გიორგი ნემსაძის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ". ქართველი მწვრთნელის, **ვიქტორ დიდებულიძის** შეგირდებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს „დიჟონი" - 30:9. სუთიაშვილმა და ნემსაძემ სრულად ითამაშეს, ესაკია 63-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთია მატჩში 58-ე წუთიდან ჩაერთო. კობაური განაცხადში არ იყო. „მასიმ" ამ გამარჯვების წყალობით სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე აინაცვლა.

ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი". ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად სტუმრად წააგო „ტურთან" - 6:15. ბოლღაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნიკოლაენკო შეხვედრაში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „შალონთან" დამარცხდა **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი" - 16:26. ყუფარაძე განაცხადში არ იყო.

**B ჯგუფი: ტური-ლილი 15:6, შალონი-მონლუსონი 26:16, მასი-დიჟონი 30:9, ეპერნაი-ბურგ ან ბრესი 13:29.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. შალონი - 22 ქულა, 2. მასი - 18, 3. ბურგ ან ბრესი - 17, 4. დიჟონი - 13, 5. მონლუსონი - 11, 6. ლილი - 6, 7. ტური - 5, 8. ეპერნაი - 1.**

C ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე". ლანგედოკელები მეტოქეებს ბევრად სჯობნიან, რაც სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს. „ბეზიე" დაუმარცხებლად ასპარეზობს და +145 ბალანსი აქვს, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია. მე-5 ტურში ბეზიელებმა სტუმრად დაამარცხეს „მონტო" მშრალი ანგარიშით - 39:0. მალაღურაძე მიმდინარე სეზონში ძირითად შემადგენლობაში პირველად დააყენეს და თავიდან ბოლომდე ითამაშა.

„ბეზიეს" კვალში უდგას **ბესო უდესიანის, ირაკლი მაჩხანელისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენტ ეტიენი", რომელმაც დღემდე მხოლოდ ერთი მარცხი განიცადა. სენტეტიენელებმა ამჯერად შინ დაამარცხეს **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდე" - 28:10. უდესიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელმა სრულად ითამაშა და მატჩის მიწურულს მიმდინარე სეზონში მესამე ლელო მიითვალა. საყვარელიძე განაცხადში არ იყო. გუნდიშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს.

„სენ ეტიენს" ფეხდაფეხ მისდევს **დავით კაჭარავას** „ნიცა", რომელმაც შინ მოუგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ტურნეფოის" - 26:9. კაჭარავა ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს.

შინ „რომანთან" მოიგო **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა" - 17:12 და ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა. კუთარაშვილი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**C ჯგუფი: მონტო-ბეზიე 0:39, სენტ ეტიენი-ბედარიდე 28:10, შატორენარი-რომანი 17:12, ნიცა-ტურნეფოი 26:9.**

**სატურნირო ცხრილი: 1. ბეზიე - 24 ქულა, 2. სენტ ეტიენი - 18, 3. ნიცა - 10, 4. შატორენარი - 9, 5. რომანი - 9, 6. მონტო - 8, 7. ტურნეფოი - 7, 8. ბედარიდე - 4.**

D ჯგუფში მნიშვნელოვნად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა **გია ლაბაძის** „მარსელმა". „ლაბომ" და კომპანიამ შინ დაამარცხეს **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერი" - 50:15. ლაბაძე 71-ე წუთზე შეცვალეს. გიორგაძემ სრულად ითამაშა, მაისურაძე მოედანზე 55-ე წუთიდან გამოჩნდა.



თემურ სოხაძე

**D ჯგუფი: კარკასონი-მაზამე 26:13, კასტანე-ლა სეინი 16:32, მარსელი-შამბერი 50:15, მონმელიანი-ობენა 26:16.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 21 ქულა, 2. ობენა - 16, 3. ლა სეინი - 14, 4. მარსელი - 13, 5. კასტანე - 9, 6. მაზამე - 7, 7. შამბერი - 7, 8. მონმელიანი - 5.**

E ჯგუფში კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობს **გიორგი მჭედლიშვილის** „ვალანსი". ჩვენებურის გუნდმა მე-5 ტურში სტუმრად დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ორტეზი" - 26:22. მჭედლიშვილი 59-ე წუთზე შეცვალეს. „ვალანსს" ახლა 22 ქულა აქვს და ოთხი ქულით უსწრებს მეორეადგილოსან „მარმანდს"

F ჯგუფში ზედიზედ მესამედ მოიგო **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგომ". პერიგოელებმა საკუთარ მოედანზე ერთ-ერთი აუტსაიდერი, „ოლორონი" დაამარცხეს - 29:5. ქართველთაგან მხოლოდ მარგველაშვილმა ითამაშა. ის შეხვედრაში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

ხუთიდან ხუთი მარცხი აქვს **დავით გასვიანის, ნიკოლოზ მალალდაძისა** და **დიმიტრი ბასილაიას** „ლე ბუგეს". ამჯერად ლებუგელებმა საკუთარ მოედანზე წააგეს „გროლესთან" - 11:19. გასვიანმა სრულად ითამაშა, ბასილაია 56-ე წუთზე შეცვალეს. მალალდაძე განაცხადში არ იყო.

**F ჯგუფი: პერიგო-ოლორონი 29:5, ლე ბუგე-გროლე 11:19, ტიროსი-ლურდი 22:6, ლანჟონი-ჟირუ 51:10.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ტიროსი - 21 ქულა, 2. ლანჟონი - 19, 3. პერიგო - 13, 4. ლურდი - 13, 5. გროლე -10, 6. ჟირუ - 9, 7. ოლორონი - 6, 8. ლე ბუგე - 3.**

ამასობაში დასასრულს უახლოვდება რუსეთის სარაგბო ჩემპიონატი. **რატი ურუშაძის** „ენისეიმ" ფინალის საპასუხო შეხვედრა სტუმრად გამართა მონინოში ვვა-სთან და 13:20 დამარცხდა. ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი, მესამე შეხვედრა დაინიშნა, რომელიც 28 ოქტომბერს მონინოშივე გაიმართება. აქ გამარჯვებული ჩემპიონის ტიტულს ირგუნებს.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა **თემურ სოხაძის** „კრასნი იარი". იარელებმა, ამჯერად საკუთარ მოედანზე, მოსკოვის „სლავას" მეორე მატჩიც მოუგეს - 46:5. სოხაძის ანგარიშზე 21 ქულაა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქართული სპორტის ყოველდღიური სიახლეები
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებგვერდზე
www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ბატონს 8 მილიონი შესთავაზეს



ინგლისური პრესისთვის ცნობილი გახდა **ჯენსონ ბატონისა** და „ბრაუნ გრან-პრის" მოლაპარაკებების დეტალები. როგორც გაზეთი „თაიმსი" წერს, ბრიტანულმა საჯინიბომ 2009 წლის ჩემპიონს მომავალი წლისთვის 8 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც გაცილებით აღემატება ბრიტანელი პილოტის წლევანდელ შემოსავალს. როგორც იცით, მიმდინარე სეზონის სტარტზე ბატონი ჯამაგირის მნიშვნელოვან შემცირებას დათანხმდა, მაგრამ ტიტულის მოპოვების შემდეგ საგაისოდ შესაბამისი ანაზღაურება მოითხოვა.

შედარებისთვის, ფორმულა 1-ის წინა წლების ჩემპიონებს ასეთი ხელფასები აქვთ: **კიმი რაიკონენი** - 25 მილიონი ფუნტი, **ფერნანდო ალონსო** - 20 მილიონი და **ლუის ჰემილტონი** - 15 მილიონი.

„ბრაუნ გრან-პრის" შეფმა **როს ბრაუნმა** თავისი გუნდის ახალი შეთავაზების შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ ბატონი 2010 წლის სეზონისთვის სხვა გუნდში გადასვლას არ მოისურვებს.

*„ცხადია, რომ ბატონი დიადი ავტომრბოლია და სხვა გუნდები ცდილობენ მის გადაბირებას. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ჩვენი მიზანი ჯენსონის შენარჩუნებაა და ჩემი აზრით, მოვახერხებთ ამის გაკეთებას.*

*ბატონს „ბრაუნ გრან-პრისთან" კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ კარგად გვესმის, რომ მისი ამჟამინდელი ხელფასი არ შეესაბამება მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსს.*

*ჯენსონთან მოლაპარაკებები გრძელდება. ვცდილობთ, ვიპოვოთ ბალანსი ჩვენს შესაძლებლობებსა და მის მოთხოვნებს შორის, რათა ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. ასი პროცენტით არაფრის მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ჩვენთან დარჩება"*, - მოჰყავს როს ბრაუნის სიტყვები ტელეკომპანია BBC-ის.

# ეკლსტოუნი ბრიტანეთს ემუქრება

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ეკლსტოუნი** აცხადებს, ბრიტანეთი არანაირ პრივილეგიას არ მიიღებს მომავალი წლის კალენდარში მოსახვედრად. როგორც ცნობილია, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ეტაპის მასპინძლობაზე „სილვერსტოუნი" და „დონინგტონი" აცხადებენ პრეტენზიას, თუმცა ეკლსტოუნს არც ერთი ტრასის მზადყოფნა არ მოსწონს.

*„სჭირდება თუ არა ჩვენს სერიას ბრიტანეთის გრან-პრი?* - სვამს კითხვას ეკლსტოუნი. - *ბრიტანელები თავიანთ ეტაპს ტრადიციულს უწოდებენ, რადგან ის მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის კალენდარში იყო შესული. მაგრამ ჩემი აზრით, ტრადიციული ეტაპებია - იტალია და მონაკო, რადგან ეს ორი რბოლა ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას იმართებოდა. ბრიტანეთი კი თავის ეტაპს სხვადასხვა ტრასაზე ატარებდა. მაშინ სად არის აქ ტრადიცია? მე მას ვერ ვხედავ".*

გასულ წელს ეკლსტოუნმა ბრიტანეთის გრან-პრი „სილვერსტოუნს" იმის გამო ჩამოართვა, რომ ავტოდრომი მოძველებული იყო და ეტაპის გამართვა „დონინგტონს" მიანდო. თუმცა ამ ტრასის მფლობელები ვერ ასწრებენ 2010 წლისთვის ავტოდრომზე საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას.

ამ მომენტისთვის 2010 წლის კალენდრის სამუშაო ვარიანტში ბრიტანეთის გრან-პრის ჩატარების თარიღად 11 ივლისია მოხსენიებული, მაგრამ ეს ეტაპი, შესაძლოა, საერთოდ ამოიღონ განრიგიდან, როცა დეკემბერში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია კალენდრის საბოლოო ვარიანტს დაამტკიცებს.

კალათბურთი

# პორტუგალიური ტრაგედია

პორტუგალიის „ოვარენსეს" ამერიკელი ლეგიონერი **კევინ უაიდმონდი** ტურნირ „ტროფეი ანტონიუ პრატაშზე" მესამე ადგილისთვის მატჩის მსვლელობისას გარდაიცვალა. ტრაგიკული ინციდენტი „აკადემიკასა" და „ოვარენსეს" შეხვედრის დროს მოხდა.



როგორც ავტორიტეტული პორტუგალიური გამოცემა A Bola იუწყება, უაიდმონდმა მოედანზე ათი წუთი დაყო და მეოთხედებს შორის შესვენებისას გონება დაკარგა. კალათბურთელს პირველადი სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმების მცდელობის მიუხედავად, ამერიკელი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

*„კევინი სკამზე იჯდა, მწვრთნელის მითითებებს ისმენდა და უცებ ძირს დაეცა,* - ამბობს „ოვარენსეს" წარმომადგენელი **ჟოზე ედუარდო**. - *ამერიკელს კონვულსიები დაეწყო. მასთან ექიმი მივიდა და გულის მასაჟი ჩაუტარა.*

*საავადმყოფოში მაშინ მიიყვანეს, როცა გული უკვე გაჩერებული იყო და მისი რეანიმირება შეუძლებელი აღმოჩნდა".*

მატჩი შეწყდა, ხოლო პირველი ადგილისთვის შეხვედრა „ბენფიკასა" და „ვიტორიას" შორის აღარ ჩატარდა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა სპორტსმენის გულის გაჩერების მიზეზი. 23 წლის უაიდმონდი „ოვარენსეში" 2009 წლის სექტემბერში ჩაირიცხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

*NHL რეგულარული ჩემპიონატი*

**ფილადელფია-სან ხოსე 1:4**

1:1, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ჰიტლი-8 (ჯ. ტორნტონი-14, დ. ბოილი-9), 1:1 პოუ-3 (პიორალა-1, სივრეტი-2), 1:2 მალორტა-1 (მარლო-6, დ. ბოილი-10), 1:3 მალორტა-2 (მარლო-7, ფერეირო-2), 1:4 ორტმაიერი-3 (ვლასიჩი-2).

**ვანკუვერი-ედმონტონი 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 გრაბნერი-2 (ერჰოფი-7, ედლერი-5), 2:0 ჰ. სედინი-4 (სამუელსონი-5, ჰორდიჩუკი-1).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 6:2**

2:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 ჰანძუში-5 (დ. ბრაუნი-8, ფროლოვი-8), 2:0 კოპიტარი-9 (დრიუსკი-3), 3:0 სტოლი-3 (პერსი-2, პურსელი-2), 3:1 ვერმეტი-3 (კომოდორი-2, ჩიმერა-2), 4:1 კოპიტარი-10 (სტოლი-7, დაუტი-8), 4:2 ჰუსელიუსი-5 (უმბერგერი-4, ნეში-9), 5:2 ფროლოვი-2, 6:2 ფროლოვი-3 (დაუტი-9, ჯ. ჯონსონი-3).

ამბები

ჰოკეი

## ფილადელფია შენეჰანს უმიზნებს

ტელეკომპანია ESPN-ის მიმომხილველ **პიერ ლებრიუნის** ინფორმაციით, „ფილადელფია ფლაიერზის" ხელმძღვანელობა ვეტერანი თავდამსხმელის **ბრენდან შენეჰანის** შეძენით არის დაინტერესებული.

მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია. ამ მომენტისთვის ფორვარდი დამოუკიდებელი ვარჯიშებით ინარჩუნებს სპორტულ ფორმას.

შეგახსენებთ, რომ 40 წლის შენეჰანი ოქტომბრის დასაწყისში „ნიუ ჯერსი დევილზმა" დააყენა ტრანსფერზე, მაგრამ ვეტერანის აყვანა არც ერთმა გუნდმა არ მოისურვა და ბრენდანი თავისუფალი აგენტი გახდა.

მძლეოსნობა

## ჩინეთის ჩემპიონი დოპინგს იღებდა

ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილში ჩინეთის ჩემპიონი **ვან ჟინი** დოპინგის მიღებაშია მხილებული. დოპინგსინჯმა ჩემპიონის ორგანიზმში ტესტოსტერონის გადაჭარბებული დოზა აღმოაჩინა.

ვან ჟინი ქვეყნის ჩემპიონი 22 ოქტომბერს ეროვნულ თამაშებზე გახდა, მაგრამ დოპინგანალიზის დადებითმა პასუხმა ამ ტიტულის გარეშე დატოვა. გარდა ამისა, მორბენალს არ მისცეს 200 მეტრ დისტანციაზე ბრძოლის უფლება, სადაც ჟინი ფინალში იყო გასული. ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელს მისცემენ ჩინელ სპრინტერს.

ვან ჟინი უკვე მესამე ქალი სპორტსმენია, რომელიც ჩინეთის ეროვნულ თამაშებზე აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს. მანამდე დოპინგზე გამოიჭირეს **ლი ჟიე** (ტყვიის სროლა) და **გო ლინინი** (ნიჩბოსნობა).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| საემიროები-მალავი | 2:0 |
| ესპანეთი-აშშ | 2:1 |
| ურუგვაი-ს. კორეა | 1:3 |
| ალჟირი-იტალია | 0:1 |
| **ევრო 2010** | |
| **UNDER 17** | |
| ინგლისი-ყაზახეთი | 6:2 |
| სერბეთი-აზერბაიჯანი | 0:0 |
| მოლდოვა-ნორვეგია | 0:0 |
| იტალია-საბერძნეთი | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| რედინგი-ლესტერი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-მანტოვა | 1:1 |
| **სერია C1/A** | |
| მონცა-კრემონეზე | 3:0 |
| **სერია C1/B** | |
| ვერონა-პეშინა | 5:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| პადერბორნი-არმინია | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გინგამი-ჰავრი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| ბენფიკა-ნასიონალი | 6:1 |
| **დანია** | |
| ორჰუსი-ნორდსილანდი | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გაის-ბრომაპიოკარნა | 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვადუცი-ვილი | 3:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი (ა)-კერკირა | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სამსუნი-გირესუნი | 0:3 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-ეთნიკოსი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-სიგმა | 1:2 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნო მორე-სლავია | 1:1 |
| **ლატვია** | |
| ვენტსპილსი-სკონტო | 0:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ბეითარი | 2:1 |
| **არგენტინა** | |
| ტიგრე-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| კოლონი-სან ლორენსო | 2:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. კატოლიკა-ს. მორნინგი | 3:0 |
| **კოლუმბია** | |
| ატ. ნასიონალი-სანტა ფე | 1:2 |
| **მექსიკა** | |
| პუებლა-მორელია | 2:1 |
| ამერიკა-გვადალახარა | 1:0 |
| **აშშ** | |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 0:1 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სკა-ბარისი | 2:2 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 2:4 |
| ატლანტი-ს. იულიაევი | 0:6 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-სიოდერტალე | 8:1 |
| ლულეა-ბრიუნასი | 2:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ვენა** | |
| ჰერნიხი-კრივოი | 3:6, 3:6 |
| კენდრიკი-ბრანდსი | 6:7, 5:7 |
| ოდესნიკი-როსოლი | 6:2, 5:7, 7:6 |
| ალმაგრო-ლუჩაკი | 5:7, 7:6, 6:1 |
| ჟილი-კუბეკი | 4:6, 6:4, 6:4 |
| **ATP. ლიონი** | |
| მონაკო-უანა | 6:3, 6:2 |
| ბენეტო-მარტინი | 7:6, 6:1 |
| სერა-კ. როხუსი | 6:3, 6:3 |
| **ATP. სანქტ-პეტერბურგი** | |
| ტროიცკი-კ. ბეკი | 6:7, 6:4, 4:6 |
| ფაუ-ვოეკი | 6:3, 6:2 |
| შუტლერი-ისტომინი | 4:6, 4:6 |

TV პროგრამა

**27 ოქტომბერი. სამშაბათი**

**I არხი**

**13:30** გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:35** სპორტული სამყარო.
**09:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:00** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**11:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
**12:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
**14:45** საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბუდაპეშტი, უნგრეთი.
**15:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
**17:25** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი.
**19:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:20** კალათბურთი. ევროლიგა. I ტური. ციბონა-მონტეპასკი.
**21:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:15** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი.
**01:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:15** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
**01:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
**03:35** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვიტორია.
**05:20** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**06:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-დეტროიტი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

**08:55** კალათბურთი. ევროლიგა. I ტური. მაკაბი-ოლიმპია.
**10:35** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
**12:20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**13:15** სპორტული სამყარო.
**13:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
**15:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-მინესოტა.
**17:15** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-გრემიო.
**19:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. დურბანი. ს. აფრიკა.
**21:05** კალათბურთი. ევროლიგა. I ტური. ხიმკი-რეალი.
**22:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
**00:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:40** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფულჰემი-რომა.
**03:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი.
**05:10** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-გრემიო.
**06:55** ცურვა. მსოფლიოს თასი. დურბანი. ს. აფრიკა.

**EUROSPORT**

**11:35** მულტისპორტი.
**11:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-ს. კორეა. ნიგერია.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ალჟირი-იტალია. ნიგერია.
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-აშშ. ნიგერია.
**16:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი.
**18:00** ჩოგბურთი.
**18:05** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი (LIVE).
**21:30** ევროგოლი - სპეციალური გამოშვება.
**21:40** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დოჰა. კატარი (LIVE).
**23:15** ჩოგბურთი.
**23:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-გერმანია. ნიგერია.
**01:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ნიგერია.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
**03:15** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ალკანისი. ესპანეთი.
**03:45** ევროგოლი - სპეციალური გამოშვება.

ჩოგბურთი



# სეზონს დოჰა დახურავს

კატარის დედაქალაქ დოჰაში დღეს იწყება WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი, რომელშიც სეზონის შედეგების მიხედვით რვა საუკეთესო ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

ტრადიციულად პირველ ეტაპი ჯგუფურია. კენჭისყრის მიხედვით ჩოგბურთელები ორ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ.

**თეთრი ჯგუფი**

დინარა საფინა (რუსეთი, 1)
კაროლინ ვოზნიაცკი (დანია, 4)
ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 6)
ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 8)

**წითელი ჯგუფი**

სერენა უილიამსი (აშშ, 2)
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 3)
ელენა დემენტიევა (რუსეთი, 5)
ვენუს უილიამსი (აშშ, 7)

დღეს სამი მატჩი გაიმართება: **ვიქტორია აზარენკა-ელენა იანკოვიჩი, ელენა დემენტიევა-ვენუს უილიამსი, სერენა უილიამსი-სვეტლანა კუზნეცოვა.**

წლის შემაჯამებელი ტურნირი დოჰაში მეორედ ტარდება. WTA-ის წლევანდელი ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 4 550 000 დოლარს შეადგენს, რაც ამ ტურნირის ჩატარების ისტორიაში ყველა დროის რეკორდია.

წლევანდელ მონაწილეთა შორის სხვადასხვა დროის მსოფლიოს ოთხი პირველი ჩოგანი ირიცხება. სამ ჩოგბურთელს ერთხელ მაინც აქვს მოგებული „დიდი სლემის" ტურნირი. რვიდან ორმა ჩოგბურთელმა წელს პირველად შეაღწია რეიტინგის საუკეთესო ათეულში და WTA-ის ჩემპიონატში პირველად თამაშობს. წელს გათამაშებული 53 ტურნირიდან 21-ში ამ რვა ჩოგბურთელს დარჩა გამარჯვება.

ტურნირის ისტორიაში დებიუტანტებს იშვიათად უმართლებდათ: მხოლოდ ორჯერ სერენა უილიამსმა (2001) და **მარია შარაპოვამ** (2004) შეძლეს პირველივე ცდაზე გამარჯვების მოპოვება. წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტები არიან ბელარუსი ვიქტორია აზარენკა და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი.** აზარენკა ერთ-ერთია იმ 13 ჩოგბურთელიდან, რომელმაც წელს პირველად მოიგო WTA-ის ტურნირი (სულ სამი). ვოზნიაცკიმაც წელს სამი ტურნირის მოგება მოახერხა.

მონაწილეებს შორის WTA-ის ჩემპიონატში ყველაზე მეტჯერ დემენტიევას უთამაშია - ცხრაჯერ. ამდენჯერვე მოიპოვა ტურნირში თამაშის უფლება სერენა უილიამსმა, მაგრამ სამჯერ მან ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა.

მოქმედი ჩემპიონი **ვენუს უილიამსია**, რომელიც შარშან პირველად გავიდა ფინალში და პირველად მოიგო მთავარი პრიზი.

**წინა წლების გამარჯვებულები**

| | |
|---|---|
| 1971 ჯინ კინგი (აშშ)-რიდი (ავსტრა) | 6:4, 4:6, 6:1 |
| 1972 ევერტი (აშშ)-რიდი (ავსტრა) | 7:5, 6:4 |
| 1973 ევერტი (აშშ)-რიჩი გუნტერი (აშშ) | 6:3, 6:3 |
| 1974 გულაგონგი (ავსტრა)-ევერტი (აშშ) | 6:3, 6:4 |
| 1975 ევერტი (აშშ)-ნავრატილოვა (ჩეხ) | 6:4, 6:2 |
| 1976 გულაგონგი (ავსტრა)-ევერტი (აშშ) | 6:3, 5:7, 6:3 |
| 1977 ევერტი (აშშ)-ბარკერი (ბრიტ) | 2:6, 6:1, 6:1 |
| 1978 ნავრატილოვა (ჩეხ)-გულაგონგი (ავსტრა) | 7:6(0), 6:4 |
| 1979 ნავრატილოვა (ჩეხ)-ოსტინი (აშშ) | 6:3, 3:6, 6:2 |
| 1980 ოსტინი (აშშ)-ნავრატილოვა (ჩეხ) | 6:2, 2:6, 6:2 |
| 1981 ნავრატილოვა (ჩეხ)-ჯაგერი (აშშ) | 6:3, 7:6(3) |
| 1982 ჰანიკა (გერ)-ნავრატილოვა (აშშ) | 1:6, 6:3, 6:4 |
| 1983 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 6:2, 6:0 |
| 1984 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 6:3, 7:5, 6:1 |
| 1985 ნავრატილოვა (აშშ)-სუკოვა (ჩეხ) | 6:3, 7:5, 6:4 |
| 1986 ნავრატილოვა (აშშ)-მანდლიკოვა (ჩეხ) | 6:2, 6:0, 3:6, 6:1 |
| 1986 ნავრატილოვა (აშშ)- გრაფი (გერ) | 7:6(6), 6:3, 6:2 |
| 1987 გრაფი (გერ)-საბატინი (არგ) | 4:6, 6:4, 6:0, 6:4 |
| 1988 საბატინი (არგ)-შრაივერი (აშშ) | 7:5, 6:2, 6:2 |
| 1989 გრაფი (გერ)-ნავრატილოვა (აშშ) | 6:4, 7:5, 2:6, 6:2 |
| 1990 სელეში (იუგ)-საბატინი (არგ) | 6:4, 5:7, 3:6, 6:4, 6:2 |
| 1991 სელეში (იუგ)-ნავრატილოვა (აშშ) | 6:4, 3:6, 7:5, 6:0 |
| 1992 სელეში (იუგ)-ნავრატილოვა (აშშ) | 7:5, 6:3, 6:1 |
| 1993 გრაფი (გერ)-სანჩეს ვიკარიო (ესპ) | 6:1, 6:4, 3:6, 6:1 |
| 1994 საბატინი (არგ)-დავენპორტი (აშშ) | 6:3, 6:2, 6:4 |
| 1995 გრაფი (გერ)-ჰუბერი (გერ) | 6:1, 2:6, 6:1, 4:6, 6:3 |
| 1996 გრაფი (გერ)-ჰინგისი (შვეიც) | 6:3, 4:6, 6:0, 4:6, 6:0 |
| 1997 ნოვოტნა (ჩეხ)-პირსი (საფ) | 7:6(4), 6:2, 6:3 |
| 1998 ჰინგისი (შვეიც)-დავენპორტი (აშშ) | 7:5, 6:4, 4:6, 6:2 |
| 1999 დავენპორტი (აშშ)-ჰინგისი (შვეიც) | 6:4, 6:2 |
| 2000 ჰინგისი (შვეიც)-სელეში (იუგ) | 6:7(5), 6:4, 6:4 |
| 2001 ს. უილიამსი (აშშ)-დავენპორტი (აშშ) | უარი |
| 2002 კლაისტერსი (ბელ)-ს. უილიამსი (აშშ) | 7:5, 6:3 |
| 2003 კლაისტერსი (ბელ)-მორესმო (საფ) | 6:2, 6:0 |
| 2004 შარაპოვა (რუს)-ს. უილიამსი (აშშ) | 4:6, 6:2, 6:4 |
| 2005 მორესმო (საფ)-პირსი (საფ) | 5:7, 7:6(3), 6:4 |
| 2006 ანენი (ბელ)-მორესმო (საფ) | 6:4, 6:3 |
| 2007 ანენი (ბელ)-შარაპოვა (რუს) | 5:7, 7:5, 6:3 |
| 2008 ვ. უილიამსი (აშშ)-ზვონარევა (რუს) | 6:7(5), 6:0, 6:2 |

**შენიშვა:** 1971 წელს ტურნირი ჰიუსტონში გაიმართა, 1972-73 - ბოკა რეტონი, 1974-76, 2002-05 - ლოს ანჯელესი; 1977, 1979-2000 - ნიუ იორკი; 1978 - ოკლენდი; 2001 - მიუნხენი; 2006-07 - მადრიდი; 2008 - დოჰა.

# უცნაური თხოვნა ფედერერს



შვეიცარიელმა საჩოგბურთო ექსპერტებმა თანამემამულეს, მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერს** სთხოვეს, მონაწილეობა არ მიიღოს ტურნირში, რომელიც ბაზელში გაიმართება.

ასეთი უცნაური თხოვნის (მას ხელს აწერს 500 კაცი) მიზეზი ისაა, რომ საჩოგბურთო სტადიონზე განთავსებული იქნება თამბაქოს მწარმოებელი ცნობილი კომპანიის ემბლემა. ევროსაბჭოს ბევრ ქვეყანაში სპორტულ შეჯიბრებებზე თამბაქოს სიმბოლიკის გამოყენება აკრძალულია. შვეიცარიაში კი ასეთი წესი არ მოქმედებს. ბაზელის ტურნირის სპონსორთან დაკავშირებით კამათი წინა წლებშიც ყოფილა, მაგრამ თამბაქოს გამო ტურნირისადმი ბოიკოტის გამოცხადების წინადადება ფედერერმა პირველად მიიღო.

სხვათა შორის, გუშინ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ახალი სპონსორი იშოვა. ეს არის შოკოლადის მწარმოებელი შვეიცარიული კომპანია Lindt & Sprungli.

გარიგების ფინანსური დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




